




ქმარი

652/2
1991

1991 2






ბათუმი. 1991 წლის 3 ივნისი. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ა. ჩანტლაძის ფოტო.

ქრონოსი

გამოცემის



33-ე
წელი

ლიბერალურულ-მსაბგვრული და საზოგადოებრივ-კოლტიკური შურნალი
საპარტიველოს მშენებელთა კავშირისა და ახარის ბანყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აქარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
ღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

2

1991

მარტი
აკრილი



გ ა თ შ ვ ი

შინაარსი

ისტორიის ფურცლები

მიხეილ მშვიდლობაძე — ღვაწლი მამულიშვილისა	3
„მეჰმედი ნახეთ, როგორ მოვიდა“	7

კოეზია, პროზა

თეიმურაზ ლანჩავა — ლექსები	8
ნათელა კახიძე — ძველი ქორწი- ლი (მოთხრობა)	13
ჯემალ ქათამაძე — ლექსები	19
ზურაბ ხაბაძე — ლექსები	23
რამაზ სურმანიძე — ემრულა (კი- ნომოთხრობა. გაგრძელება)	25
ბადრი თევზაძე — ლექსები	42
ომჳირ ღლონტი — ლექსები	47
შალვა ჩიტიშვილი — ახლა რა დროა? (პოემის ნაწყვეტი)	48

გარდასულ დღეთა გახსენება

ალექსანდრე ჩხაიძე — ერთხელ	52
----------------------------	----

ახალი თარგმანები

უორუ სიმენონი — ბაიეელი ქალბატონი (მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნეს თინა სარჯველაძემ და გივი კაჭკაჭიშვილმა) 66

წერილები

სიმონ გოგიტიძე — პირველი ქრისტინი მეფის მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია. (დასასრული) 73

ჯურაბ სურმანიძე — დღიურის ისტორიიდან 80

რევაზ ლორთქიფანიძე — აჭარის ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა ფორმების შესახებ 84

ტოკონიგების კვალდაკვალ

იური სიხარულიძე — გონია 89

გასულ ორ თვეში 93

ნომერი გააფორმა — ა. ლომაძემ.
ტექნიკური ხელმძღვანელი — შ. დარჩია.

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩჩილაძე,
ჯურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),

ზოთა ჯორიძე,
დავით თელორაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაშელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი
მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ.
3-33-71.

გადეცა წარმოებას 5.04.91, ხელმწიფილია დასაბეჭდად 24.4.91, საომომცემლო თაბახი 4,8, შეკვპპ № 475, ქალაღდის ზომა 60×90^{1/16}, რაჟი 4000.

აჭარის პოლიგრაფიული საწარმოო ერთიანება, ბათუმი, იბერიის 91.

Полиграфическое производство
объединение Аджарии. Батуми,
Иберийская, 91.

ღვაწლი გამუღიშვილისა

19. 965

როგორც ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აჭარა დედასამშობლო საქართველოს დაუბრუნდა. მუსლიმან ქართველებს შორის საჭირო იყო უაღრესად მოფიქრებული, მუყაითი და გერგილიანი მუშაობა, რომ დიდი ხნით მოწყვეტილი ძმები უმტკივნეულოდ შეთვისებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენი კუთხის გათვითცნობიერებას განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, სერგი მესხმა, ივანე მაჩაბელმა და სხვებმა.

მაგრამ, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ყურნალ „თეატრი“ და ცხოვრების“ რედაქტორის იოსებ იმედაშვილის შეფასებით, ზაქარია ჭიჭინაძემდე ეს საქმიანობა მაინც არ იყო „განიადგებული“, უფრო ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. დედასამშობლოსთან მუსლიმან ქართველთა დაახლოება თავისი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მიზნად გაიხადა და ქართველ მოღვაწეთა შორის „ყველაზე დიდი მუშაობა“ გასწია სწორედ ზაქარია ჭიჭინაძემ.

ზაქარია ჭიჭინაძემ აჭარის გაცნობა და მის მცხოვრებთა შორის ქართული წიგნების გავრცელება 1895 წლის ზაფხულში განიზრახა. თან წაიღო სპეციალურად დაბეჭდილი სახალხო წიგნები: „არსენას ლექსი“, „ქალ-ვაჟიანი“ და ხალხური ლექსები. ყოველ წიგნში ჩართო ქართული ანბანი და გაუდგა გზას. იმ წელს და მომდევნო 1896 წლის ზაფხულში ზაქარიამ მოიარა ზემო და ქვემო აჭარის სოფლები, ხალხს უსასყიდლოდ დაურიგა წიგნები, შეკრიბა ამ კუთხის გამაჰმადიანების შესახებ ხალხში დარჩენილი მრავალი ამბავი და გაზეთ „ივერიის“ საშუალებით აუწყა მკითხველ საზოგადოებას. „საინტერესოა ის საშუალება, — წერს ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი თედო სახოკია, — რომელიც ბ-ნ ჭიჭინაძეს უხმარია ამ ხალხის დასახლოებლად და მისი გულის მოსაგებად.

ბ-ნი ჭიჭინაძე თურმე შედიოდა მათს ჯამეებში, შესვლის წინათ ფეხთ იხდიდა მათსავით... ხალხის გული მაშინვე მოიყვავილა და ყველასათვის ძვირფასი სტუმარი შეიქნა. თანაც ქართულ წიგნებს უკითხავდა. ხალხში მიძინებული გრძნობა ქართველობისა იღვიძებდა და დიდი სიამოვნებით ართმევდნენ წიგნაკებს და ანბანსა სწავლობდნენ. ერთი წლის

წინათ, 1897 წლის ზაფხულში, როცა ამავე მხარეს მეც ვეწვიე სტუმარად, არა ერთგან და ორგან შემხვდა ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის დატოვებული წიგნაკები, რომლებშიც ქართული ასოებით არაბული ლოცვები და აქაური ლექსები იყო ჩართული. ამ ლოცვებისა და ლექსების ხალისით ქართული ანბანიც უსწავლიათ და მადლიერი გრძნობით იგონებდნენ ამ წიგნაკების დამრიგებელს ბ-ნს ჭიჭინაძეს, ან როგორც ესე ეძახიან, „ზაქარია-ეფენდი“-სა, ესე იგი სწავლულ ზაქარიას — „კაი კაცია, გურჯული (ქართული) ქითაბები (წიგნები) დაგვირიგა და ჩვენთან ერთად ჩვენს ჯამეში ლოცულობდა“.

დღევანდელი შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოში თედო სახოკია ბერიძეების ოჯახს ეწვია. ყადი ეფენდი ბერიძე, ხულოს მეჯლისის წევრი, მთელ სოფელში ცნობილი იყო თავისი შეძლებით, რასაც, რა თქმა უნდა, მისი თანამდებობაც უწყობდა ხელს. „სახლში თვითონ ბერიძე დაგვიხვდა და წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობით გავვიძახე პინძლდა. ბერიძე აქეთკენ ნასწავლ კაცად ითვლება, რის გამო ეფენდის ტიტული აქვს. ქართულად წმინდად ლაპარაკობს, თუმცა წერა-კითხვა არ იცის, ხოლო თურქულად თავისი ღირსების შესაფერი სწავლა აქვს მიღებული. თბილისელ ქართველებში დაახლოვებით იცნობს აჭარაში ქართული წიგნების შემოტანის პიონერს, ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს. მეტის ქებითაც იხსენიებს ჩვენს დაულალავს მოღვაწეს: „ჩვენს ჯამეებში დადიოდა, ჩვენთან ერთად ლოცულობდა...“

იოსებ იმედაშვილი იგონებს ზაქარია ჭიჭინაძის სიცოცხლის ბოლო ხანს მასთან ერთად აჭარაში უკანასკნელ მოგზაურობას. „...აჭარა-ქობულეთში თითქმის ერთი თვე დაყავით, — წერს იგი. — ზაქარია მეტად გახარებული იყო. უკან დაბრუნებისას მატარებელში რომ ჩავსხედით, ვკითხე:

— ზაქარია, ეს ვიცი, რომ აჭარლებისათვის არაბული ლექსები ქართული ასოებით დაბეჭდე. რა მიზანი გქონდა?

— რომ ქართული წერა-კითხვა ესწავლათ და შეეგნოთ, რომ ქართველები არიან.

— მართლა მაგათ სალოცავში ლოცულობდი?

— ვლოცულობდი.

— გწამდა?

— ...როცა ჩვენი ერისთვის საჭირო იქნება, ეშმაქსაც ვილოცავ... და თუ საჭირო იქნება, შენც — არაბული კი არა, ქაჯურიც უნდა ისწავლო და იცოდე კიდევ შენი ქვეყნის სასიკეთოდ.

— კიდევ შეხვალ სალოცავად მეჩეთში?

— რატომაც არა, ოღონდაც ჩვენს ქვეყანას ეშველოს.



მითხრა და მერე ენაწყლიანად განაგრძო, თურქეთმა როგორ ჩამოგვაცალა საქართველოს დიდი ნაწილი, სამცხე-საათაბაგო თავისი მდიდარი მიწა-წყლით და ისტორიული ძეგლებით, როგორ გაავრცელა ისლამი, შემდეგ ნაწილი სამუსლიმანო საქართველოსი როგორ შემოვიერთეთ, კარიზმი — თვითმპყრობელობა როგორ აწვეთებდა ყურში ქართველ მუსლიმანთ, რომ ისინი ვითომც თურქები იყვნენ, როგორ გვთიშავდნენ ურთიერთისაგან და სხვა...

ისეთის გატაცებით, ისეთი თანდათანობით მომითხრობდა, თითქოს ყოველ მოვლენას დასწრებია, ყოველ ამბავს ხელით ეხებაო“...

ახალშემოერთებული აჭარის ესეოდენი სიყვარულისა და ასეთი ფანტიკური მუშაობის გამო ზაქარია ჭიჭინაძე აკაკის მეგობრული შეხუმრების ობიექტი გამხდარა. იოსებ იმედაშვილი გვიამბობს: „...ზაქარია ჩვენს მდაბიო ხალხს ძლიერ უყვარდა, ხოლო ჩვენი მოწინავე საზოგადოების მესვეურნიც პატივისცემით ეპყრობოდნენ. განსაკუთრებით აკაკის უყვარდა.

ერთხელ აკაკი თავისებური მზიური ღიმილით მოგვესალმა გოლოვინის (აწ რუსთაველის) პროსპექტზე მიმავალთ, მკლავი-მკლავში გაყრილ ზაქარიასა და მე. ეს ისე ჩქარა მოხდა, რომ ჩვენ სალამი ვერ დავასწარიით.

ურთიერთი მოვიკითხეთ.

— სხვა, რასა იქ შენ და შენი აჭარა? — შეეკითხა ზაქარიას.

— კაი ხანია არ ვყოფილვარ, გიახლებით და დაბრუნებისას მოგახსენებთ.

— კაი ხანია? მაინც რამდენი დღეა ეგ შენი „კაი ხანი“? — კვლავ შეჰღიმა აკაკიმ.

— ერთი-ორი თვე.

აკაკიმ კიდევ უფრო გაიღიმა:

— ბარემ იქვე დასახლდი, ჩემო ზაქარია, იმათი მოქრისტიანებისა რა ვითხრა, მაგრამ შენ რომ გამაჰმადიანებული ხარ, ეს კი ცხადია.

— რაზე მიბრძანებ? — შეეკითხა შეკრთომით ზაქარია.

— რაზე და... თურმე იმათ ჯამეში ფეხმორთხმული მაჰმადს ლოცულობ, — განმარტა ღიმილით აკაკიმ.

— რას იზამ, როცა ეს ჩვენი ერისათვის საჭიროა, — მიუგო ზაქარიამ, — თუკი თქვენ, ბატონო აკაკი, ერის გადასარჩენად ბაგრატ მეფეს სჯული გამოაცვლევინეთ, მე განა დამნაშავე ვიქნები, რომ ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის, ჩვენ ძმა მუსლიმანთა ჯამეში ვილოცო?...

— გეხუმრე, ჩემო ზაქრო, გეხუმრე, შე კაცო, კი არ უნდა გაფხუკია-

ნდე. ჩვენი ერის გამთელებისა და გადარჩენისათვის ყველაფერი უნდა ვიკისროთ, ჯამეში კი არა, თუნდ ჯოჯოხეთში ვილოცოთ, — უთხრა აკაკიმ, თან ჩვენს შუა ჩამდგარმა ზაქარეას მკლავში ხელი გაუყარა...
საქართველო

ეს საუბარი იმით დამთავრდა, რომ აკაკიმ ზაქარია ჭიჭინაძესა და იოსებ იმედაშვილს სამახსოვრო ფოტოსურათის გადაღება შესთავაზა.

ამ დიდ ღვაწლთან ერთად, ზაქარია ჭიჭინაძემ აჭარის თემზე არაერთი ფასდაუდებელი ნაშრომი შექმნა და დაბეჭდა.

ეს ერთი შეხედვით სუსტი კაცი არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. თავისი მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე მან 250-ზე მეტი წიგნი დაწერა, ე. ი. წელიწადში საშუალოდ ხუთი, რომელთაგან სიცოცხლეში 115 გამოაქვეყნა. მათგან რვა აჭარას და სამაჰმადიანო საქართველოს მიუძღვნა. მარტო ამ წიგნების სახელწოდებათა ჩამოთვლაც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა დიდი მონღომებთა და რუდუნებით მუშაობდა მათი ავტორი აჭარის წარსულის წარმოსაჩენად: „ოსმალეთის ყოფილი საქართველო“, „ქართველების გამაჰმადიანება“, „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება, — მუჰაჯირთ ემიგრაცია“, „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“, „ქართველ მაჰმადიანთა ლოცვები არაბულის სიტყვებით და ქართული ასოებით“, „ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები“, „ალი ფაშა თავდგირიძე და მისი გვარის ღალატი“. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მრავალი საგაზეთო და საყურნალო წერილი, რომლებშიც აღწერილია აჭარის წარსული, ცალკეულ ისტორიულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, მათი ღვაწლი ეროვნული ერთიანობის, ენისა და ადათ-წესების შენარჩუნებისათვის.

იოსებ იმედაშვილის გადმოცემით, ზაქარია ჭიჭინაძე სიცოცხლის ბოლო წუთებშიც აჭარაზე და აჭარლებზე ფიქრობდა. საავადმყოფოში მწოლარე მომაკვდავი უმცროს მეგობარს უბარებდა: „...აჭარელ აბაშიძეებს და სხვა მუსლიმან ქართველებს ეტყვი, რომ... საქართველოს კალთა მაგრა დაიჭირონ, რომ ჩვენი სამშობლო ისევ აღორძინდეს, როგორც თამარის დროს იყო... კომუნალური მთავრობა... ნახე და უთხარი: ჩემი სახლი კერძო მდგმურებისაგან გასწმინდონ და შიგ ჩაასახლონ აჭარელ-ქობულეთელი უბინაო სტუდენტები, ქართველი მუსლიმანები... არ დაგავიწყდეს, მუსლიმან აბაშიძეებს უთხარი, ...საითაც აბაშიძენი იქნებიან, სხვანიც იქით“...

„მეკმედი ნახეთ, როგორ მოვიდა“



ქვემოთმოყვანილი დოკუმენტი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეში მცხოვრებ 94 წლის ნური თავდგირიძის ოჯახში ინახება.

ნური თავდგირიძე იყო ერთ-ერთი აქტიური წევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის მიერ შექმნილი სამუსლიმანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტისა.

ნურის მამაც, ხუსეინი, — რელიგიისა და სამართლის მცოდნე პიროვნება — სტამბოლში ძალზე ცნობილი კაცი იყო, მაგრამ მაინც სამშობლოში დაბრუნება არჩია და სოფელ ჯაბნიძეებში დასახლდა.

1918 წელს ბათუმში ჩამოსულმა ანკარის მეჯლისის წარმომადგენელმა მისი გადაბირება განიზრახა, მაგრამ ხუსეინმა მასთან საუბარზეც უარი თქვა. განაწყენებული „სტუმარი“ თურქეთში დაბრუნდა და ჩვენი კუთხის ჭეშმარიტ მამულიშვილებზე, კერძოდ, მემედ აბაშიძეზე ცილისმწამებლური წერილი გამოგზავნა.

შემოკლებით ვთავაზობთ ამ წერილს, რომელიც არაბულიდან მუხამედ ვანლიშმა თარგმნა.

თვალი გაახილეთ, სამშობლოს ძმებო, ნუ დავიწარებთ, ასეთი დროა. შევერთდეთ, ძმებო, თორემ საქმე ცუდადაა. ბევრი ტყუილდება ქონებაზე, გონება დასძლია სიგლახაკისაკენ. ზოგი ნასწავლიც ამ დანაშაულს ეზიარება. ქვეყნის დაქცევაა..

ხელი ხელს მივცეთ, ახალგაზრდებო და მოხუცნო.. ფულზე არ გაიყიდოთ, იცოდეთ. ბაქო, განჯა, კავკასია და დაღესტანი გავვერთიანდეთ ერთ გულად და ერთ სულად.. თუ ამ სიტყვებს კარგად მოისმენთ, კარგსა და ცუდს განასხვავებთ. ბევრი კი, ალბათ, ვერ გაერკვა, არ მოვტყუვდეთ, თორემ ბოლოს ვინანებთ. პროვოკატორები გაერივნენ შუაში, ბევრი აიძულეს ფულითა, სახელად მეჭმედი, ნახეთ, როგორ მოვიდა.. ხალხი მოატყუილა, გზა აუბნია, მუსლიმანებში არეულობა შექმნა. წარღვნა მოახლოვდა, იმის ნიშანია. არ დაუჭეროთ მის სიტყვებსა, ნუ ინდომებთ, სახეზე შეხედოთ.. მეჭმედმა ერთი ცუდი საქმე ჩამოაგდო ხალხში, შეხედეთ იმ უჭკუოსა, დაარწმუნა გლეხობა, ჯვიდან გადაიყვანა ბოლო დროს, ქვედა აჭარა კინაღამ დააქცია. ძალიან ცუდი საქმე აქვს წამოწყებული, საქართველოსკენ გადაძლია.

მემედ აბაშიძემ მაშინვე გაუგზავნა პასუხი თურქეთის მეჯლისს, სადაც ზაზგასმით იყო აღნიშნული, რომ აჭარის დედასაქართველოსგან ჩამოშორებას ვერავითარი ძალა ვერ შესძლებდა.

ელირსა ვისმეს?

ელირსა ვისმეს აღსრულება ყოვლისწადილის,
ფრთა გამოისხეს ოცნებებმა, თუ ჰპოვეს ჯვარცმა,
უარყოს უნდა რამდენი რამ, რომ კაცის სახელს
ღმერთის და კაცის ღირსებები შემატოს კაცმა.
იპოვა ვინმემ, რაც დაჰკარგა ქვეყნად წანწალში,
წუთისოფლის გზამ დაუბრუნა წაგვრილი განძი,
მიუახლოვდა ვინმე მაინც ჰორიზონტს წამით,
გადააბიჯა ღვთის არშინით მოზომილ მანძილს?!
თუა ამოა ამა სოფლის მდგმურთა გოდება,
ამოა თუა ჩვენი ყოფა, ძრწოლვის გზა-შარა,
თუ ისევ ჩვენ-არ, სხვას როგორღა მოაგონდება
ის, რაც ჩვენს თვალწინ მივიწყების მტვერმა წაშალა.

ვჰვრებ გარინდებით

ვჰვრებ გარინდებით

საქართველო ცხოვრობს სხვა გზებით,
ექებს მომავალს დადინჯებით,
უფრო სხვა გზებით.

გასაძლისია ძნელი, თორემ

ხვალის ცის ტატნობს

გაათბობს სხვა მზე,

ქართველი რომ სურვილობს, ნატრობს.

იმ მზემდე უნდა მიღწევა და

მიტანა ჩვენს ძვლებს.

ვინც ამას შესძლებს,

მჯერა, იგი ყველაფერს შესძლებს.

შენთან მაკავარიანს

ვიზებირებდი ლექსებს თქვენსას,
შექმნილებს თრთოლვით,
სავსეს მზეებით,
ალაგ-ალაგ შეფიფქულს თოვლით.
ვგრძნობდი დამთრგუნველ მღელვარების
ულმობელ ხანძარს,
ვხედავდი ცისფრად მიმოქარგულ
ოქროსფერ ტაძარს.
ვამჩნევდი ხიდებს, ბეწვის ხიდებს
და იქვე გზაწვრილს,
მქონდა ხილვები უნაზესი
ოცი წლის ყმაწვილს.
სულ ერთი იყო, როგორ წერდით,
ან რისთვის წერდით,
მეჩვენებოდა, ვმალდებოდი
და ცისკენ მწევდით.
ახლდა სურნელი ყველა სტრიქონს
ალუბლის ტოტის
და აბზაცები ამძაფრებდნენ
მომავლის ლოდინს.
ხულისშემძვრელად განვიცდიდი
მრავალწერტილებს,
სიტყვები ჰკავდნენ მფრინავ რაშებს
თავაწყვეტილებს.
უჭირდა მშობელს, შენც ლომივით
ბრღვეინავდი, ქუხდი,
გადაგვარებას, დამცირებას
ერისას წუხდი.
სამშობლო იყო შენი ხატი
და საფიცარი.
ანთიხარ, ასე, რაც მახსოვხარ,
რაც გავიცანი.

რა ჭეშმარიტი წყალობაა ბედისგან ნიჭი..
კვარცხლბეკზე დაგვამს, გაგაღმერთებს და გაღიარებს,
ვაგიჩენს მონებს, მტრებს, მეგობრებს, თაყვანისმცემლებს
და შენს არსებას ნაკუწ-ნაკუწ დაანაწილებს

მრისხანებად,
სათნობად,
ამაობად.

ცისფერ ბილიკებს დაღრნის იჭვი და მოლოდინი,
განსრულების უამს, ხელგამოწვილი მიქელგაბრიელს
შერჩება განძად მხოლოდ ჩონჩხი, სხვა არაფერი.
იმღერებს სული მარადიულ მიუსაფრობას,
ხოლო ბორცვიდან, შენს მკერდზე რომ ამოიძართა,
გაჩნდება სევდა წარმავლობის და მოგონების.

რა ჭეშმარიტი წყალობაა ბედისგან ნიჭი..
მოაშთობს ბნელეთს, ამოძირკვავს სიცარიელეს
და ათასობით აკივლებულ სულს მეამბოხეს
დაეფინება ვით მალამო, წალეკავს ტკივილს.
რა ამაოა უნიჭოთა ხელის გაწვდენა,
მოწყალებისთვის რადგან ღმერთი არაფერს კარგავს
და საკუთარ თავს ვერ მოაქცევს იქ ტყვეობაში,
სად უმეცრება, სიბრალული ძრწოლოვით და შიშით
ბორკილს უმზადებს ნათელმოსილ გონების ჩიტებს,
ტვირთია ნიჭი და უსუსურ მოკვდავის მზერას
არ ძალუძს ამ ტვირთს მუშტრის განცდით წაებოტინოს,
რადგანაც ღმერთი არ შეისვამს უბადრუტს მხრებზე...
ლუკმას არსობის მიწა ბადებს და არა ღმერთი.
რა ჭეშმარიტი წყალობაა ბედისგან ნიჭი..

ბრმის მონოლოგი

აღარ გათენდა...

თუ ღამეა, ცა რისთვის ჩაქრა,
ვარსკვლავი მაინც რად არა სჩანს,

წყვედიადი მაკრთობს.

რად უსტვენს ჩიტი დილის საარს,

თუ ძილის დროა,

აბა და რა დროს ვალობაა წვეარამში ამ დროს.

გრძელია ღამე...

უსაშველო, მკრთალ ფარდას ბინდის

ჰკიდებს ვიღაცა უსახური,

ფერს აცლის მნათობს.

ცხოვრება მკრთალი, მომლოდინე,

თავის გზით მიდის

და სულს განწირულს

ტკივილების ხმაური ართობს.

მივდივარ საით...

სულერთია უკან რას ვტოვებ,

წინ რად ვისწრაფვი, ან სობოლაში

რა დამრჩენია,

შენ ყველას უმზერ, მე საკუთარ

თავს ვერ ვხედავდე,

ღმერთო ძლიერო,

რანაირი განაჩენია.

18.II.1991 წ.

იმერეთი...

იმერეთი ტყემლებს დაუფიფქია,

ტყემალივით შენც ჩახჩახებ, ირთვები,

სიცილია, შენი სულის სინათლე,

სინათლეა შენი სულის მზითვევი.

გაზაფხულად შემოენთე მთა-გორებს,

ცას რომ ფერფლავს, ტრფობის უღვთო ცეცხლია,

ჩემი თავი ხომ არავის გაგონებს,

ან შემთხვევით, სხვაში ხომ არ შეგცვლია.

იმერეთი..

ალუჩების საუფლო,

მთვარის შუქზე გამობმული გზაშარა,

ჩემზე მეტად შეგიყვარებს სხვა უფრო,

თუ საწუთრომ ჩემი ხსოვნა წაშალა,

სიბნელეშიც გამინათე გზაწვრილი,

ელვასავით კაშკაშებ და ინთები,

ჩემში ისევ გააცოცხლე ყმაწვილი,

ლექსს გიწერენ მოცახცახე თითები.
ეს რამდენი პატარძალი მორთულა,
დღე სარკეა, ყველა სარკეს უცქერის,
იმერეთი ტყემლებს დაუფიფქია,
მაისის მზე თამადაა უცვლელი.

* * *

ზიხარ და ფიქრობ, გარდასულ დღეებს
რა გამოსტყუე კრძალვით თუ რიდით,
ვის ღობე-ყორეს ამოეფარე,
ვის მდინარეზე გადადი ხიდით.
რომ არ ყოფილხარ არასდროს ფლიდი,
ესეც გეყოფა დასტურად ნიჭის,
ნაცნობს და უცნობს მოკეთედ თვლიდი
და თუმცა ზოგჯერ ძალიან გიჭირს,
არ გადრეკილხარ, არ უნახიხარ
მტერს დაჩოქილი,
შემცბარი, მკრთალი,
და მაინც, როცა ძლიერ გიჭირდა,
შენ ღირსეულად გეჭირა თავი.
უბრალოება და სათნოება
მარადიული შენი განძია,
მომხვეჭელობის სენმა მაცდურმა
ვერ დაგიმონა, ვერ გადაგძლია,
ზიხარ და ფიქრობ გაფრენილ დღეებს
რა გამოსტაცე კრძალვით თუ რიდით,
ვის ღობე-ყორეს ამოეფარე,
ვის მდინარეზე გადადი ხიდით.



ძველი ქორწილი

ბიჭის დედას სარძლო ქორწილზე დაანახვა.

აქო და აქო:

ტანი და მოხდენილობაო,
მოქარგული სიტყვა-პასუხიო,
წრე და გვარიშვილობაო...

შემდეგ?

შემდეგ... მისებურად გაძვრა-გამოძვრა მაჭანკალი... ჭორიკანებს კო-
ვზი ნაცარში ჩაუგლო.

ახალგაზრდების დაუკითხავად გადაწყდა ნიშნობა. ქორწილი — გა-
ზაფხულზე, ძველი მთვარისა და კვირის სავსე დღეს — ხუთშაბათს დათ-
ქვეს: მაყრად შვიდი წავიდოდა, 21 იქედან მოვიდოდა და სადედოდლო
მხარესაც საქორწილო ხარჯს სიძე გასწევდა...

ექვსი თვე გავიდა. იქით სარძლო ჩამოილია, აქით კიდევ — სასიძო.
და, აი, გაზაფხულიც დადგა.

მხარობელი ყიყინით მოაქროლებს ცხენს...

ორლობებში მაყრიონის სიმღერის ხმაც გაისმა:

„დედოფალი მოყავენო,
სიძე კი კოჭლი ყავენო“...

გავარდა „მაჭანკლა“.

აჭიჭყინდა ტიბონი და ზურნა.

ამღერდა არღანი...

ვაჩადლა ცეკვა-სიმღერები:

„განდაგან“ და „მაყრული“,

„ხორუმი“,

„ფადიკო“.

— „იჰ, შენი ყორყის ჭირიმე ხუსიკავ!“...

ენვერი აივანზე გავიდა. გაზაფხულის სურნელება ტრიალებდა.

პყვოდა ვაშლი და ტყემალი.

ნუში და ალუბალი...

დედოფალი მორთულ-მოკაზმული თეთრი ცხენით ეზოში შემოიყვა-

ნეს. ცხენებზე ამხედრებული ქოლგიანი მდადეები გვერდს უმშვენებდნენ.
ხმები:

მობრძანდით, მობრძანდით!..

სახლიდან გუგუშით შარბათი გამოარბენინეს.

ქალებში — ქალმა,

კაცებში — კაცმა.

არ არის კარგო და ყველაზე პატარებსაც დააღვეინეს.

დედოფალი ცხენიდან სკივრზე შეაყენეს, მაღალი იყო, ლერწამივით ირწვოდა.

— სიძე სადაა, სიძე! — დედოფლის მდადეს ხმამ ქარივით გადაუქროლა ეზოს..

ენვერი სწრაფად მოცილდა აივანს, სარკის წინ დადგა:

მაღალი და ჯანმრთელი.

წითური სახე, ქერა თმა.

მწვანეთვალეზა..

სექვზე ჩამოჯდა. თვალი ჩაუკრა თავის ორეულს. ღია ფერის კოსტიუმში კარგად ადგა ტანზე, ლელავდა, უხაროდა და თან ეშინოდა...

აი, მოესმა ფეხის ხმა... გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. კარები გაიღო. ღეხზე წამოვარდა, მდადეს მოკრძალებით გაუღიმა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ჭო?! დედოფალი მოგიყვავი, დედოფალი — მიახარა და ბებრული ჩაცვნილი თვალეები მოჭუტა, — წამოდი. აბა გაბედულად! — მხარზე ხელი დაჰკრა და ხელმკლავი გაუკეთა.

— გზა, გზა, ხალხნო, სიძე მოდის, სიძე!..

— „მუყდე ბალიში“, „მუყდე ბალიში“! — იყვირა ვილაცამ და პატარა ბალიში ხელიდან ხელში გადავიდა..

მიიწ-მოიწიეს.

— აბა, დაიჭირე ბალიში, სიძევ! ერთი, ორი, სამი...

ენვერი სწრაფად მობრუნდა, შეხტა კიდევაც, მაგრამ.. ხელები ჰერში გაუშეშდა, მოატყუეს...

იცინეს.

— ერთი, ორი, სამი!..

ისმოდა აქეთ-იქეთიდან და ენვერიც ციბრუტივით ტრიალებდა — ერთი, ორი, სამი!.. — იყვირა კიდეც ვილაცამ და... ენვერმა, ამჯერად გამარჯვებულმა, ბალიში გულში ჩაიკრა და ჩაისუნთქა...

ამლერდა არღანი, ჩაჰბერეს ჭიბონს...

ენვერი ღიმილით მიეგება დედოფალს.

კამფეტები და ნურდა ფული გადააყარა, ასე ტკბილად და ფულიანად ვიცხოვროთო.

ბავშვების ყიყინი. კამფეტებს მოედვენ ონავრები.

ენვერი უკან გაბრუნდა, ალმური ასდიოდა სახეზე... მდადეს ხელი
მკლავი რომ არა, ალბათ, ფეხი შეეშლებოდა.

მერე მამა გამოვიდა, მიესალმა მაყრიონს, ნეფე-დედოფალი დალოცა,
სტუმრები შინ მიიბატია...

წამოძახილები აქა-იქ:

— ჰე, ასე ადვილად ვერ გამოხვალ, ფერათ ბატონო, ვერა!..

ზორზოცი.

მდადე:

— ოთხფეხა, ოთხფეხა თუ ჰყავს?

„ბიჭს ყველაფერი ყავსო,

მდადეს დედოფალი როგორი ყავსო“.

წაიმღერა ენვერის ძმამ და ხალხში გაძვრა. ბოსლის კარებს ეტაკა.
გამოალო..

— მძუუუუუ!.. — მამხალეებისაგან დაფეთებულმა ხარმა დაიღმუფ-
ლა.

ასლანმა ძლივს დაიმორჩილა.

— უიმე, ჯიშინი ყოფილა, ჭო!..

მერე დედოფალი გადაჯვარედინებულ დანებს შუა გაატარეს. კი-
რიაზე ფეხი დაადგმევინეს, თაფლსა და ცომში ხელი მოარევიანეს, კალთა-
ში ბავშვი ჩაუსვეს, ვაყიანობა უსურვეს და სადედოფლო ოთახში, ფარდის
ქვეშ, დამალეს.

სუფრაზე განუწყვეტლივ მოდიოდა:

ასუთა და ჩირბული,

ფლავი და ბაქლავა,

თაფლი და ბეთმეზი,

ხელით მოჭრილი მაკარონი...

ცნობისმოყვარე ბიჭები ჭუჭრუტანიდან შესცქეროდნენ მეზობელ
ოთახში გოგონებს..

— უი, თქვენ დასაწველებო!..

სიცილი,

ხუმრობა,

სიმღერები,

შაირები..

ენვერი ცალკე ოთახში სექვზე იჯდა. აღარ ასვენებდა აბეზარი ფიქ-
რები. თავი მუხლებში ჩაერგო. ხანდახან ქალების ოთახიდან მდადეს ხმა
ქარივით თუ დაერეოდა და გაუფანტავდა ფიქრების გროვას...

— ნენევ, რა ხალხს შევეყარე პა!.. არა, არა ჯერ ვერ განახვებთ დედ-
ლოფალს!..

— როგორია, ნეტავ? — ფიქრობდა ენვერი — შავტუხა თუ თეთრი?
ისიც მწვანეთვალეა? "...

ფანჯარასთან მივიდა, მაშხალებით განათებულ ეზოს გადახედა.

იმატა ცეკვა-თამაშმა, ერთ-მეორის გალექსვამ უკვე ხალხის ბუზღუ-
ნიდან ესმის ქალის წკრიალა ხმა:

„კაპან ყანა დევწყევი,
ბოლო ვერ გედევწყევი,
მარადილების ბიჭებში,
აშიყობა დევწყევი!“...

კაცების ოთახში ჩოჩქოლი ატყდა:

— რომელი არის ერთი, რომელი?!

აი, ვილაცა სკამზე შეხტა. ღუმელისათვის გამოჭრილ ჭურჭუტანაში
ცხვირი გაპყო და...

„აკოშკას ქვა ვესროლე,
გადმოვარდა ფიცარი,
გოგოებო, გადმომხედეთ,
რა ბიჭი ვარ, მიცანიო!“

— უიმე!.. ნახე გოო, საიდან ვვიტიტინებს!

— მოსწყდი მაქედან, შენ უხეიროვ! — ისმის დედაბრის ცაცხანი
და ასე გრძელდება ქორწილი.

მამლებმა იწყეს ყვირილი. წამით მიწყდა ტაშ-ფანდურის ხმა. „ფატის
მოხდის დროა“, — გაიფიქრა ენვერმა და არც შემცდარა. დედოფლის
ძმა — ახმედი ხალხის გროვაში იდგა. დანის წვერზე წამოგებულ გამჭვი-
რვალე ქსოვილს აქეთ-იქით ატრიალებდა...

— გოგოებმა თავი შეიცავით! — ჩაფიჩფიჩებდა ჭორიკანა დედა-
ბერი გასათხოვარ ქალიშვილებს...

ჭაბუკმა მალალ ქერა გოგონას ჰკიდა თვალი, აღარ დაფიქრებულა..

— უიმე! — შეჰყვირა გოგონამ და მხარზე გადაკიდებული ფატა
ძირს ჩამოავდო.

მაყრიონი ტაშს უკრავდა:

— კარგი გოგოა, კარგი!...

„მიწაში თეთრი ჭია
გეიწია-გამოიწია,
მარადიდში პატარძლობა
აღრეხანში გეწია!“



ახმედი ილიმოდა, იცოდა, ეს ზოხობივით გოგო უკვე სხვაზე ვეღარ
ვათხოვდებოდა...

უცებ აირ-დაირია ყველაფერი.

— ეს როგორ გაბედა გამოსაწყვეტელმა?!...

ვინ-ვის აშველებდა და ვინ-ვის აწყენარებდა...

ხმები:

— აბა, რა იცოდა ამ ბიჭმა, თუ გოგო დანიშნული იყო!

ფერათი რომ არ ჩარეულიყო, საქმე ცუდად წავიდოდა, ალბათ.

დაშოშმინდა ყველა. ომარიც დაწყენარდა...

ფეხის ხმა მოესმა... კარი გაიღო. მდაღე შემოვიდა და ისევ იხმო:

— მაყრიონი თქვენს გაცნობას ითხოვს.

გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო... ფეხისთრევით გაჰყვა. ძირში დაგდებულ

ცოცხს ფეხი წაჰკრა, გუნებაში კიდეც გაბრაზდა, რა მაინცდამაინც შუა

გზაზე მოუნდათ დაგდებო. მერე ასტამს წამოედო და კინალამ კისერი

ნიოიტება. სიცილი რომ დააყარეს, მაშინ მიხვდა, ეს მაყრიონის ოინები

იყო და ყურებიანად გაწითლდა.

გოგოს მდაღეს თავი დაუკრა. ხელი ჩამოართვა და ფული ჩაუღო.

მაყრიონს მოკრძალებით გაეცნო... უკან გამობრუნების დროს ჩადრ-

ჩამოფარებულ დედოფლისაკენ გააპარა მხერა...

სიცილი დააყარეს.

გალექსეს:

„ყანაში სიმინდს უღვაში
ოდნათაი ამოსვლია,
ჩვენს სიძეს ღინღილა უღვაში
ოდნათაი ამოსვლია!“

ენვერს შერცხვა. სექსსზე პირალმა გაიშოტა. ალმური ასდიოდა სა-

ხეზე.


გათენდა.
მაყრიონი ჩქარობს...

— დედამთილი სადაა?... დედამთილი! ინახულოს რძალი... და ჩვენც
ჩვენს გზას დავადგეთ, შორი გზიდან ვართ მოსული...

„დედამთილო ვოიო,
ცოტა ჩქარა მოიო.
შენი შვილი ბეჩია,
ნეტავ სხვა ამერჩია.“

ხატიჯე სიცილით მოაპობს ხალხის ზღვას.

დედოფალს ხალიჩა გაუგო წინ. რძალს საჩუქრად ბეჭიდი მიართვა.







მთელი ნათესაობა მიჰყვა მას. ვინ რას უძღვნიდა დედოფალს და ვინ რას.
 მადლობის ნიშნად მღაბლად დაეხარა თავი დედოფალს.
 ხორუმი.
 სიმღერები.
 შაირები...

„ერთი დედამთილი მყავდა,
 დაბალი და მსუქანი,
 შავ მიწაში ჩავფალი,
 დავრჩი თავისუფალი“.

მდადემ დედოფალი დედამთილ-მამამთილს მიჰგვარა:
 — აწი ჩვენი გოგო თქვენთვის მოგვინდვია. კარგ რძალ-დედამთი-
 ლობას ვისურვებთ!.. — გამოემშვიდობნენ.
 მდადეს საჩუქრად ქათამი და ბაქლავა გაატანეს.
 დედოფალი ტიროდა.
 სადღაც ორლობებში მაყრიონის სიმღერა ისმოდა:

„აიშემ მოქსოვა თორი,
 ელჩები მუშუდენ ორი,
 შენ რას უცდი, ფადიმევ,
 ხომ მოგივდა ფორი!..“



წიყვანეს მამაჩემი
 ღამე იყო ცივი,
 ჩაქრა მშობლის სიყვარული
 და იმედის სხივი.

„რადღაც გაუგებრობაა,
 დავბრუნდები მალე!“ —

თქვა და წყვილი ცრემლი მოწყდა
 მამაჩემის თვალებს.

მაგრამ მამის დაბრუნება
 არ მოხერხდა ცხრა წელს...

ცხრა წელს ცრემლი ასველებდა
 დედაჩემს ღაწვებს.

ქარებმა ჭადრებს გადაუარა
 და აწკაპუნდა ყუყუნა წვიმა.
 მარტი, კაპრიზი და მატყუარა,
 გულში გაბმულა იმედის სიმაღ.
 ქვიშაზე ტალღა იღვრება ქაფად,
 მზის განაპირას დგას კენტი
 პალმა.

გემმა გაშალა ღამაში აფრა
 და მოიწყინა პატარა ქალმა.
 ნაპირს აწყდება შემოლილი ლოთი
 ტალღა წრისხანე და ქაფიანი
 და მომეჩვენა ბათუმი — პორტი
 ქალივით ცივი და ნაღვლიანი.

უ შ რ ი

ერთხელ დამიკრეს
 ლექსისთვის ტაში,
 კოლეგებს თვალში ჩაუქრა სხივი.
 მერე წავედი ნაწყენი სახლში
 და დავაწყვიტე
 გულს ყველა, სიმი!

ღ ა ბ რ ჩ ა...

ნოდარ დუმბაძეს

ვიცი, გიყვარდა ფიცრული ოდა.
 გურული ნანა და კრიმანჭული.
 ცოტა მწვანელი,
 მარილი ცოტა,
 ადუღებული მაჭარით ჭური.
 ვიცი, გიყვარდა დიდება სხვისი
 და ავკაცობის სევდა გდაღვდა,
 რამდენი წლების იყავი ღირსი
 და რა უეცრად შემოგალამდა.
 დაგრაჩა რამდენი უთქმელი ლექსი,

რამდენი თბილი ფიქრები დაგრჩა.
რამდენ ნათიას თვალები ეწვის,
რამდენ ზურიკოს და კუკარაჩას.
თუმცა გიტევდა მრისხანე სენი
გული კი მაინც იმედით თრთოდა.
მომნატრებია სალამი შენი
და შენეული ღიმილი, ნოდარ!
შენს დატოვებულ სინათლის

კვალზე

სიკეთის მაღლი ყვავილობს

მშვიდად,

შენს შემდეგ ჩვენში ბებიებს

თვალზე

არ შეშრობია ცრემლები წმინდა.

გჯეროდეს, სანამ მზე წვდება

ხმელეთს

და გაზაფხულის მშვენება

ველაღ...

შენს სახელს ვერვინ ვერ

ღაიჩემებს,

შენს კაცობას კი ინატრებს

ყველა.

როგორ მიყვარს

როგორ მიყვარს მიმოზები,
მარდისფერი, ნუშისფერი,
მეც ბალივით ვიმოსები,
მიყვარული გულში მღერის.
მა მოლზე ატირდება, ია
თვალებდანამული,
როდესაც ამღერდება,
შენი თვალით დანახული.
მეც ბალივით მწვანე კონცხი,
მეც ბალივით ვიმოსები,
მეც ბალივით მწვანე მთიდან,

ნაზ ყვავილებს ვკოცნი, ვკოცნი,
ვკოცნი, კიდევ კოცნა მინდა.
მზე — პატარა ფორთოხალი
გადმომაყრის ოქროს დალალს,
ცას უხდება ოქროს ხალი
და სიხარულს ვეღარ მაღავს.
როგორ მიყვარს მიმოზების
ტკბილსურნელი — თბილი ქარი,
მეც ბალივით ვიმოსები, —
პაემანზე მიცდის ქალი.

ეს ხეჭექური ბაბუამ დარგო,
ბებიამ კიდევ ნაცარა ვაშლი.
შენ მომავალზე თუ მართლა

დარდობ,

რა მოაშენე მამულის ბაღში?
ვხედავ, გაშიშვლდა ქვანა და ახო,
ტყეს ყველა კაფაჯს,
ხეს ძირში თხრიან.

მითხარ, თუ ქართულ სოფელში

სახლობ.

ერთი კაკლის ზე თუ დაგირგია?

დ უ დ ი ნ კ ა

ლადო სულაბერიძეს

დუდინკა, დუდინკა — ქარების სეირი,
სად მტკვარი ანკარა და სად ენისეი..
ირგვლივ თეთრი დამეა, ფანტელი და ყინვა,
ბროლის ნატეხების ვერცხლისფერი
ბრწყინვა.

დუმილი და ფიქრი, იმედები მწარე,
მზე ყინვაზე სისხლი, ჭიქისთვალა მთვარე.
არსად სასაფლაო, არსად მიწა თბილი,
დაღვრემილი სივრცე და ცა ფერმიხდილი..
და ამხნევებს პოეტს, ქარში მაინც მუზა,
და ჩაუშვებს თოვლში სიყვარულის ღუზას.
მოუწოდებს: მხოლოდ არ შეშინდე, მიდი!
ყველაფერი წინა, გახარებაც, რიდიც...
არ დაკარგო რწმენა, გაიტანე ლელო,
ლექის კალო გელის, დედა საქართველო!..
დუდინკა, დუდინკა — ქარების სეირი,
ნეტავ რას დუდუნებს თოვლის ქვეშ ენისეი..



* * *

გადუქროლიათ წარსულის ჩრდილში.
ქალებს, ჩემს მიერ დაუვიწყარებს.
ზოგს გაჰყოლია სულის წუხილი.
ზოგიც შემორჩა ფერად სიზმარებს.
ზოგის გულში თუ ჭინჭარი ვთესე,
ზოგი ბოლომდე ვერ შევიცანი,
ზოგთან დემონის ლამე გავტეხე
და სამუდამო დავრჩი გრივალნი.
ფიქრით და დარდით წასულან ჩემგან,
დამდგარა ჯერი შენი წასვლისაც...
გაგახსენდები, ვიცი, ყოველგან,
გულს ამოატან ოხვრა-წუხილსა.
მე არაფერი დამრჩება შენგან,
იქნება ლამე, მზე და ნიბლია,
მერე ჩემს ლექსებს მოძებნი ოხვრით,
ფიქრით სხომ ჩემსკენ ბევრჯერ გივლია.
მიზეზს ვერ მკითხავ, ვიცი, გაყრისას,
არც მე შეგაწყენ ჩვენი წარსულით,
ოღონდ ბათუმში, მეწამულ ზღვასთან,
მარჯნისფერ მზესთან იდგე ღუმლით...

* * *

ვერ დაგარწმუნე რომ შენ იოლად
ვერ დაგივიწყებ, პატარა ქალო!
ზღვამ გამოგრიცა მარგალიტივით
საყდრის ხავსიან ლოდზე დამდგარო.
ჩაღვენთილია შანდალში სევდა,
კვნესით დარეკილ საყდარის ზარო!
ზღვამ გამოგრიცა მარგალიტივით,
ჩემი სიზმრების და სევდის წყარო!
ზღვამ გამოგრიცა,

ზღვამ გამოგრიყა,
ჩემად დაგსახა, ოცნების ქალო!

მ რ ნ ი

ღამით ჩემს ჭიშკარს ჩაუვლის
ორი ბოროტი გენია:
ერთია ბოდბისხეველი,
სხვა — არჩევანი შენია...
ფარსადან ბოდბისხეველი
ადამის მოდგმის მტერია!
არც არასოდეს შემშლია,
მზერა მაქვს შეუცდომელი —
დღესაც ბევრი გვყავს ფარსადან
ჩვენს შორის შეუცნობელი.

* * *

რა იშვითად მოდიხარ ჩემთან,
ჩემთან კი არა, — მარტოსულ დარდთან.
ამ ჩემმა ოხვრამ, ტანჯვამ და კრძალვამ.
თბილისის ღამემ, შავი ზღვის ტალღამ,
ჩემი ქაშვეეთის ცისფერმა ლანდმა,
სევდამ და დარდმა,
სევდამ და დარდმა,
შენი ლოდინით დაღლილმა სულმა
ქაშვეეთის კართან გამოიზამთრა...



ე მ რ უ ლ ა

ბურანმა ცხენი იქვე წაბლის ტოტზე. მიაბა, ბადია ხელში დაიჭირა და ბილიკს შეუყვავა. ტყე ჯერ გამეჩხრდა, მერე სულ გაქრა. ზემოთ მწვანე მდელოები, აქეთ ღარტაფში ჩაწოლილი უზარმაზარი თოვლის ნამქერი გამოჩნდა. გგონია, აგერაა ახლოს, მიდინარ და გზა არ თავდება. კიდევ კარგი, დაყუდებული აღმართი მოთავდა, ირემამემ გაიგანა და ნაბიჯი ააჩქარა.

ნამქერს ზემოდან მტვერი ეყარა, ქარის მოტანილი, აქა-იქ მწერების მსგავსი რალაც არსებებიც დალოდავდნენ. რაა ბუნება, ნამცეცა სულდგმული საარსებო წყაროს ცივ თოვლზეც პოულობს.

ბურანმა ყამა ქარქამიდან ამოიღო, ერთ ადგილას თოვლს საფარა გადააცალა, მანამ თალა, სანამ თეთრი, ფანკალა თოვლი არ გამოჩნდა. მერე იქედან სუფთა ნაჭრები ამოიღო და ბადიაში კარგად ჩატენა. ყამა ჩააგო, ბადიას ტილო შემოახვია, გამოსკვნა, მხარზე გადაიკიდა და ბილიკზე დაეშვა. ტრიალი ადგილი მოთავდა, მგზავრი ჩქარი ნაბიჯით ტყეს შეერია.

უცებ ფოთლებმა გაიშრიალა და, ვითარცა წაბლის ბუძგიდან ნაყოფი, ბუჩქებიდან ნახევრად შიშველი გოგო ჩამოვორდა.

ბურანმა დამბაჩაზე იკრა ხელი.

— ძიავ, მიშველე! — თქვა ქალმა და მუხლებზე დაიჩოქა, — მომდევენ. ქვედასაცვლისა და პერანგის გარდა გოგოს არაფერი შერჩენოდა, ისიც ნახევრად შემოხეული. მკერდს მოხრილი მკლავებით იფარავდა.

— ვინ ხარ, ვინ მოგდევს?! — მიაყარა კითხვები ირემამემ, ყაბალაზი მოიხადა, გოგოს თავსა და მხრებზე შემოახვია, ხელი მოჰკიდა და წამოაყენა. — წავიდეთ! — აღარ დაელოდა პასუხს.

ქალ-ვაჟი კისრისტეხით ქვემოთ გადაეშვნენ. ერთხანს იგორეს. თრეული ხშირ ბუჩქებზე შემოკავდა. გაჩუმდნენ და სმენა დაძაბეს. დიდხანს იყვნენ ასე გახევებულნი. ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა.

ქალის ნახევრად შიშველი მკერდი ბიჭისაზე ჩახვეულ-ჩახუტებულიყო. ორ ახალგაზრდა გულს ბაგა-ბუვი გაჰქონდა. ერთისას — შიშის, მეორისას — მოულოდნელი ნეტარების გამო. ბიჭი მართლაც ცის გახ-

სნას შეესწრო. ბურანმა ქალი კიდევ უფრო მიიკრა მკერდზე, ტუჩებმა
ჯერ მოახლოებული ცხელი სუნთქვა იგრძნეს, მერე ერთმანეთე მტანსნეს.
ბურანს ძარღვები დასკდომაზე ჰქონდა.

ქალიც არ უძალიანდებოდა.

— ვინ არიან, ვინ მოგდევს, შენ ვინა ხარ? — ჩურჩულით ახლდა
გაუმეორა გოგოს შეკითხვა.

— მე თეთრაკეთელი იუსუფ ლეონიძის გოგო ვარ, ნაზიმე მქვია.
ბაბაი ქვედა მაჭახელს იყო წასული. წუხელი სახლზე დაგვეცენ, რაც
გვებადა, წაგვართვეს, მე ლოვინიდან წამომავდეს, თავზე ჯვალო ჩამომა-
ცვეს და გამიტაცეს. ტყეში აბდულა-ყაჩადის ხელში ჩავვარდი. ჯერ შეხ-
ვეწა, დავნებებულიყავი, მერე ძალა იხმარა. მე ვიეშმაკე, აქ მცხვენია
გვერდზე გავალ საქმეზე და ტანზე გავიხდი-მეთქი, ვუთხარი. დამიჯერა,
იქაურობას მოვშორდი და სირბილით სულ ტყე-ტყე ვიარე. ავერ, შენც
გადაგეყარე. — ჩურჩულითვე უპასუხა გოგომ და ბიჰს თვალები მოარი-
და.

უცბე ბურანი შეტოკდა და სუნგალი ვაკრა. ადამიანების ხმადაბალი
ლაპარაკი ახლოვდებოდა.

— ორივე რომ გავიქცეთ, დაგვეწვიან, ველარ გავასწრებთ... შენ
ასე ქვემოთ უგზოდ ჩადი, დიდ წაბლთან ჩემი ცხენია, თუ ჯდომა იცი,
ცხენით წადი და ეს ბადია ისლამდედესთან ჩაიტანე. იქ მოუყევი, რაც
ნახე, გეტყვიან, რა უნდა ქნა. მე ამით შეგვაჩერებ. — ჩქარ-ჩქარა მიიყა-
რა, მერე ელდანაცემ გოგოს ბადია შეაჩეჩა და ხელი ჰკრა. გოგო ბურჩქე-
ბში გადავარდა.

ბურანი ორიოდ ნაბიჯით უკუდგა, მოჭრილ კუნძთან ჩაიჩოქა, მო-
ხერხებული ადგილი დაიკავა, თოფი და დამბაჩა ერთდროულად მოი-
მარჯვა.

კენტი გასროლა გაისმა.

თავს ხემოთ ტყვიამ გაიზუზუნა.

ლაპარაკი ნელ-ნელა ახლოვდებოდა.

ჩაჩოქილი, შეიძლება, შემამჩნიონო, იფიქრა ბურანმა, ფეხი თანდა-
თან გაშალა და კუნძთან გაწვა. მის სახეს შიში არ მიჰკარებია, თითქოს
არაფერი ხდებოდა, ისე მშვიდად მოძრაობდა. წამით ყურადღება დაძაბა,
უნდა გავგო ტყვიის მიმართულება. ოღნავ თავი წამოსწია და ფოთლუ-
ბში გაიჭვრიტა. ლაპარაკი კვლავ ისმის, მაგრამ აღარ ახლოვდება, ეტყო-
ბა, მღვერები შედგნენ. ერთი ფოთოლიც გადაწია და აბდულ-ყაჩადი
დაინახა... სამნი არიან, ყველა შეიარაღებულია, ბურანმა თოფის საკეტი
მომართა. დამბაჩის ჩახმახი ისედაც შეყენებული ჰქონდა.

„ეტყობა, გოგოს შესაშინებლად ისროლეს, — გაიფიქრა ირემამძემ — მაგრამ რაკი ისროლეს, მზად უნდა ვიყო“.

ისინი უკეთეს ადგილას არიან. საქმარისია თავის წამოწევა და ზემოდან დააყრიან ტყვიებს.

აქეთ წამოვიდნენ, აბდულა წინაა. საჭიროა მათი შეჩერება, თორემ გოგოს დაეწვეიან. ორი ერთად ამოიღო მიზანში, მაგრამ ეს რაა, ფოთლების შრიალი ზემოდან, მერე უკნიდანაც გაისმა. ბიჭს ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა.

„გარშემორტყმული ვარ“, — გაიფიქრა ბურანმა.

ბირი გაუშრა. „დამთავრდა ყველაფერი?“ — შეეკითხა თავის თავს. — სროლას აზრი არა აქვს, იქნებ ვერ დამინახონ და გოგოს დაედევნონ. თუ შემნიშნეს, ცოცხლად მაინც არ ჩავბარდები“.

ზემოდან ორნი ბილიკზე ჩამოცვივდნენ. ის სამიც მოვიდა, ახლა ხუთმა მოიყარა თავი.

იდავეს და იჯაჯანეს, ერთმანეთი გაამტყუნეს, გოგო როგორ გაგვექცა ამდენ შეიარაღებულ ყაჩაღებსო. აბდულა სულ დედას იგინებოდა.

ბურანი ოდნავ უნდა შემობრუნდეს, ისე მიზანში კარგად ვერ ამოიღებს. ფრთხილად შემოატრიალა ორივე იარაღი, მაგრამ ფოთლებმა წაინც გაიშრიალა.

— გოგო, ვიცით სად ხარ, გამოდი თორემ გესვრით! — იკვილა ვიღაცამ ქვემოდან ხუთიოდ მეტრზე. ეტყობა, ფოთლების გაშრიალება ჩაესმა და ყოველ შემთხვევისათვის დაემუქრა.

— რა გაღრიალებს, მუსტაფავ! — გაბრაზებით გადმოსძახა აბდულამ.

ამ დროს დამბახა გავარდა.

ყრუ გმინვა გაისმა და ვიღაც ქვემოთ დაგორდა.

აბდულამ და მხლებლებმა იარაღი შემართეს, მაგრამ სანამ სავარაუდოდ ადგილს დაუშენდნენ, მიაყურადეს: იფიქრეს, მუსტაფამ ქალს ესროლაო.

— მუსტაფავ! — თითქმის ერთხმად იყვირა ყველამ.

პასუხი რომ ვერ მიიღეს, სროლა ატეხეს.

ბურანმა ფეხები შემოიკეცა და მთელი ტანით კუნძს ამოეფარა. ტყვიები სეტყვასავით წამოვიდა. გადარჩენის ერთადერთი გზა გაქცევა იყო. ირემამძემ ოდნავ წამოიწია, მაგრამ მუხლზევით სისველე იგრძნო, სისხლიც შენიშნა, ცალ ფეხზე წამოდგომა მაინც სცადა... და თავზე რაღაც მძიმე საგანი დაეცა. წამით დარეტიანდა, გონს რომ მოეგო, რამდენიმე წვერაბურძენული და თვალეზბრაზიანი კაცი თავზე წამოდგომოდა. ერთმა ბურანს მისივე თოფის კონდახი ნეკნებში ატაკა.



— სად არის გოგო?! — დასჭყივლა.

ტყვემ კბილები გაახრჭიალა. ფართო თვალები ჯერ ერთს მიჰმტკნა, შემდეგ გაკვირვებული მზერა მეორეზე გადაიტანა.

— ესროლე და დაამთავრე. — ურჩია მეორემ.

— არ ესროლო! — წინ წამოდგა აბდულა-ყაჩაღი, ორივე ხელი გაშალა, სხვებს ოდნავ უკან დაახევინა და წინ წამოდგა.

— ვეითხრას, გოგო სადაა! — იყვირა პირველმა.

ბურანს ყაჩაღებზე თვალი არ მოუშორებია, არც წარბი შეუხრია.

— გოგო ნახე? — შეეკითხა აბდულა.

— კი ვნახე. — იყო პასუხი.

— ახლა სადაა? — შეჩოჩქოლდნენ ყაჩაღები.

— რა ვიცი. მე გოგო ამ დილას სიხმარში ვნახე. — არც გაღიმებია ბურანს.

— გვაბეჩებს ეს ღორისშვილი, წავიყვანოთ და ჩამოვკიდოთ.

აბდულამ ბურანს გვერდში ფეხი ჩააზილა, შემდეგ კვლავ შეაჩერა გადარეული ბრბო და გვერდზე გაიყვანა.

— ამან ლეონიძის ციციასი აფერი იცის. მე მაი ვიცანი, ემრულას კაცია. მისიანებიც სადღაც აქ იქნებიან. გავაგლოთ და ჩვენ გზაზე წავიდეთ.

— რას ამბობ, მუსტაფას სისხლი შევარჩინოთ? — იღრიალა თავდამსხმელმა, ხელში ბურანის თოფი რომ ეჭირა.

— ახლა შევარჩინოთ, მაგის დროც დადგება. ვინ იცის, სისხლისგან დაიცლება და მისით ჩაცდება.

— მუსტაფა ცოცხალია, მომეხმარეთ! — ქვემოდან ვიღაცამ დაიძახა.

ორმა ყაჩაღმა დაჭრილს მიაშურა.

მალე დასისხლიანებული მუსტაფა უნაგირზე გადაკიდეს და ამხედრებულეგმა იქაურობაც და დაჭრილი აბრაგიც მიატოვეს.

* * *

გზაბაწარზე ჩორთით მიმავალი ცხენოსნები მოულოდნელად შეჩერდნენ და მზერა ღელეგადმა მიმართეს. უნაგირზე გაკრული მხედარი ცხენს თავაწყვეტილი მიაჭენებდა. ახლა ბექსიას უმტყუნა ნერვებმა. მაჭახელა გადმოიღო და დაუმიზნა.

— არ ესროლო, ქალია! — ემრულა მკვეთრად შემობრუნდა.

ბექსიამ თვალები ხელით მოიჩრდილა.

— მართლა ქალი ყოფილა, ბიჭო, მარა ცხენი ჩვენი...

— ჰო, ბურანის ცხენია, ცხენოსანი ქალია. — ემრულამ აღარ აცა-

ლა, ისე გასცა პასუხი.

— კი მარა, — განცვიფრდა სოლომონიძე, — თავად სადღაა?

— რა ვიცი. — ემრულა ილიმებოდა. — იქნებ ყაბახობდნენ, გოგომ აჯობა და ცხენი წაართვა.

ბექსიამ აბრავს თვალი გაუსწორა, ახლა ხუმრობა უადგილოდ ჩათვალა.

მალაყმაძე საყვედურის თქმას აღარ დაელოდა:

— შენ სწორი იყავი, ბექსიავე. არ უნდა გავვეშვა მაი ბიჭი. მართლაც რაღაც დიდ ფათურაკს გადაეყარა.

ამასობაში ცხენოსანი თავქვე დაეშვა და ბორცვს მიეფარა. ორიოდ წუთში კვლავ გამოჩნდა.

— ყაბალახიც ბურანასი ახურავს. — თქვა ემრულამ.

ცხენოსნებმა გზა ნელი ჩორთით გააგრძელეს. აღარ საუბრობდნენ. ეტყობა, ორივეს ერთი საფიქრალი აწუხებდა. გამოქცაბულთან შეჩერდნენ. ცხენები შიგ შეიყვანეს, ჩამოხტნენ და ისეთ ადგილას ჩამოსხდნენ, საიდანაც ყველა გზაბაწარი მოჩანდა. ერთხანს ისაუბრეს, იმსჯელეს. ათასი ვარაუდი გამოთქვეს, მერე წამოდგნენ, ცხენებზე შესხდნენ და იმ გზაბაწარს გაუყვნენ, სადაც ცოტა ხნის წინ ბურანის იორლამ და უცნაურმა მხედარმა ჩაიქროლეს.

* * *

ნაზიმე ეზოში ჩამოხტა, ცხენი ავშარით ღობეზე მიაბა, ბადია ხელში დაიჭირა, სახლჩოდროლოს თვალი მოავლო და გაუბედავად კარი გამოაღო. ისლამ-დედეს თვალეები კარებისკენ ჰქონდა მიშტერებული. გოგომ ოთახიც მიმოათვალიერა, მერე ბადიას ტილო შემოაცალა, თაროდან კოვზი ჩამოიღო, თოვლზე დადო და მოხუცს თავთან დაუდგა.

ისლამ-დედე რაღაცას ჩიფჩიფებდა, ნაზიმემ ვერ გაიგო, სექვეთან ქილოფზე ჩაიჩოქა და მოხუცს ყური მიუგდო.

— მაჭამე თოვლი.

ნაზიმემ ბადიადან კოვზით თოვლის ნატეხი ამოიღო და მოხუცს პირთან მიუტანა, იმან სწრაფად პირი მოავლო და გადაყლაპა. მალე თოვლი ბადიაში განახევრდა.

უცებ მოხუცმა თოვლის ჭამას თავი მიანება და თვალეები თავანს შიშტერა... ალბათ, კვდებაო, იფიქრა ნაზიმემ.

ამ დროს ლოგინის ქვეშ რაღაც უხრიალი გაისმა, იგი თანდათან ძლიერდებოდა, ისლამ-დედეს სახეზე კმაყოფილება იხატებოდა. მოხუცი ჯერ გოგოს მოუბრუნდა, მერე სახე კედლისკენ მიაბრუნა.

— გადააქციე, შვილო. — მორიდებით მიმართა.

ნაზიმემ საბანქევუმ ხელი შეეყო, ტაშტი ნელა გამოაცურა, გაიქცა, გაიტანა, გადააქცია და ცარიელი ჭურჭელი ისევ საბანქევუმ შედგა.

ისლამ-დედეს ბადია თავად აეღო ხელში და თოვლის ნაჭრებს ყლაპავდა. რომ მოათავა, ბადია პირზე მოიყუდა და ცივი თოვლის ნაღობიც ერთიანად გადახვრიბა.

ერთჯერ კიდევ განმეორდა შხრიალი, უფრო მძლავრი და კარგის-მომასწავებელი. ნაზიმემ ერთჯერ კიდევ გაათავისუფლა ჭურჭელი, მაგრამ მოხუცმა საბანქევუმ აღარ შეადგმევინა.

— გაგახაროს ღმერთმა, შვილო. ახლა მითხარი, ვინ ხარ. შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა? — მოხუცის ხმა საკმაოდ მძლავრი იყო.

ნაზიმემ მოკლედ უამბო, რაც გადახდა. ისიც უთხრა, შეიძლება დამედევნონ და აქედანაც გამიტაცონო.

ისლამ-დედემ ფეხები სეკვიდან ჩამოუშვა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, მუცელზე ხელი მიიღო და ძლივსლა წამოიწია.

— იქ ჩემი დედაბერის ნაძველარები კიდია, შვილო. მიდი, ჩაიცივი, თავზე მოიხურე, ვერავინ გიცნობს, ჩემი ქალის სიკვდილი ჩემიანების მეტმა არავინ იცის. თუ ღუშმანები მოგვადგენენ, მოვალორებ, ვეტყვი ჩემი დედაბერია-მეთქი.

ნაზიმემ ყაბალახი მოიხადა და ტანსაცმელს ეცა, ისე მოირგო, იფიქრებდი, დღედამოსწრება ამაში ცხოვრობდაო. თავიც ისე მოიფუჩნა. ჩვიდმეტი წლის გოგო სამოცისას დაემსგავსა, სახლის დედუფლად იქცა და მილაგებ-მოლაგებას შეუდგა.

შეზინდებისას ისლამ-დედეს ეზოს ორი ცხენოსანი მოადგა. ერთი მათგანი ჩამოქვეითდა და ფრთხილად დააკაკუნა.

კარები სახლის პატრონმა გააღო. მოხუცი ლოგინიდან წამოჩოჩებულ-ლიყო. ემრულამ მისალმების ნიშნად მოხუცს ხელი აუწია და ეზოში გაბრუნდა. მალე აბრაგებმა სახლში დაჭრილი ბურანი შემოიყვანეს და სეკვზე დააწვინეს. დასისხლიანებულ ბარძაყზე სახელდახელო ნახვევი ჰქონდა დადებული.

ისლამ-დედემ ჯორკო სეკვთან მიაჩოჩა და დაჭრილთან ჩამოჯდა, ნახვევი ფრთხილად შეხსნა, შარვალი გადასწია და ჭრილობა თითებით მოსინჯა. ბურანმა ამოიგმინა.

— ძვალი გადარჩენილა, მარა ეტყობა, ბევრი სისხლი დააქცია, — თქვა და ნაზიმეს მიუბრუნდა. — გვარდიდან ერბო ამოიღე და ტაფაზე დააღწე, შვილო. — ისლამ დედე სამზად ოთახში გავიდა, იქედან კვერცხის-ოდენა სანთელი, თხილისოდენა ქაფურის ბურთული, ამდენივე ქალბანა და წითელი სანდალი შემოიტანა, ფილაში ჩაყარა, ერთი მოცრა წაშალი მოაფქვია, მოლესა და მღუღარე ერბოში ჩადო.



— კარგათ მოურიე. — უთხრა ნაზიმეს. — ცოტა ხანში გადმოდგე
გააცივე და დაჭრილის მალამოც ეს იქნება.

ნაზიმე გულდასმით აკეთებდა ყველაფერს.
— ახლა ხელის დადება ძველი ტილო გამოჭარი, მალამო ზედ დასცხევი, ჭრილობა რამოდენაზეც ქონდეს, იმდენზე, მეტს ნუ იქ, დილა-საღამოს შავი ღვინით მობანე, აგერ იმ ბოთლშია, წყალი არ გაურიო, ღვინო გაათბე და ისე მობანე დილა-საღამოს.

აბრაგები მოხუცს ყურადღებით უსმენდნენ. ნაზიმესაც ადევნებდნენ თვალს, მაგრამ საუბარში არ ერეოდნენ.

ნაზიმე ისე სხარტად ასრულებდა მოხუცის ბრძანებებს, გვეგონებოდა, კარგახნის გამოცდილი მკურნალიაო.

ბურანს ჭრილობა შეუხვდის, წყალი ითხოვა.
— ცოტა ღვინო მიეცი. — თქვა ისლამ-დედემ.

ბექსიამ ემრულას გადახედა. მერე მოხუცს მიმართა:
— ღვინო რომ გაქ სახლში, ცოდვის არ გეშინია?

— წამლათ ხმარება ცოდვა არაა, ამას ღმერთი მუსლიმანს არ უკრძალავს, გამჩენელი ზედავს რაცხაისთვინ ვხმარობ.

ბურანმა ღვინო ხარბად მოსვა და გვერდზე გადაბრუნდა.
ამასობაში ნაზიმემ ცივი მჭადები გააბიწვინა, ფხალ-ლობიოც გააცივლა, საღლაც ცოტა ყველი მონახა, ბექსია გარეთ გავიდა და ხურჯინში ნახევარი აპოხტი ქათამი აღმოაჩინა.

კაცები მრგვალ სუფრას მიუხსდნენ და დანაყრდნენ. ბურანმა ჭამაზე უარი თქვა.

— ახლა ჩვენ წავალთ, ისლამ-დედე, — უთხრა ემრულამ.

— რაღა გითხრათ, შვილებო, მე ბევრი დღე აღარ მაქ, მარა ამის მერე რამდენსაც ვიცოცხლებ თქვენი ნაჩუქარია.

— ახლა მარტვაი აღარ ხარ, ღმერთმა უცებ გოგოც მოგცა და ბიჭიც. — ბექსიას გავლიდა.

— ამათ აღარსად გაუშვებ. — თქვა მოხუცმა და ნაზინეს მიხედა, — ხომ დარჩები ჩემთან?

— რა ვიცი. — მორცხვად თქვა გოგომ და საქმეზე მიტრიალდა.

— ეს ლამაზი ციციი დედაბერზე დიგიმგზავსებია, მარა იმ ბიჭს რა ეშველება? — ნახევრად ხუმრობით იკითხა ემრულამ.

მოხუცმა ემრულას ირიბად ახედა, ერთხანს თითქოს რაღაცას იგონებდა, მერე ხელი მოჰკიდა.

— აქეთ მოი! — მეორე ოთახისაკენ გაუძღვა, სექვს ძველი ჭილობი გადახადა.

— ხელი ქვეშ შეყევი და იმ ძელს პაწაი მოაწექი.

ფიცარი ამოვარდა, მერე ისლამ-დედე სექქეს მიაწვა და ორთხილებს
რის სიფართოზე კედელში შესწია. დიდი დოლაბი გამოჩნდა.

— აქ პაწია ოდა მაქ. ბარსამს ვიმალებოდი, მარა ვერავინ ვერ მნახა.
ემრულა წაიხარა და ჩახედა. მერე სარქველი უკან გამოსწია, ფიცარიც
მის ადგილას დააბრუნა, მოხუცს კმაყოფილებით შეხედა, ხელი ბეჭ-
ზე გადადო და მეორე ოთახში დაბრუნდა.

— იქ ვინ მყავდა კიდო დამალული, იცი? — მოხუცმა გაავრძელა
საუბარი.

— ვინა? — იკითხა ემრულამ.

— შენ არ გამომიგზავნე?

აბრაგმა ვერ გაიხსენა.

— ომი თლათ დამთავრებული არ იყო, ერთ სუსხიან ღამეს ძაღლის
გამწარებულმა ყეფამ გამაღვიძა. ცალ ხელში ფანარი, მეორეში ფიშტო
დავიკავე და გარეთ გავედი. ჭიშკართან კაცმა სალაში მომცა. ცხენი ავშა-
რით ეჭირა ხელში. ფანარი მივანათე, უნაგირზე აქეთ-იქეთ უჩვეულო
გრძელი ტვირთი ეკიდა.

— მძიმედ დაჭრილი კაცი მოგიყვანე, ისლამ, — მითხრა უცნობმა
კაცმა. — სამი ჭრილობა აქვს, გრძნობაზე ვერ მოდის, სისხლისგან დაცლი-
ლია. მითხრეს, თუ გადასარჩენია, ჯერ ღმერთი და მერე შენ მოარჩინო.

— ვინაობა არ მიკითხავს, ისე ჩამოვხსენი დაჭრილი, სახლში შევიყ-
ვანე, ჭრილობები შეეფუხვით. ერთი იარიდან ტყვიაც ამოვიღე. ავადმყოფ-
მა ცოტა სული მოითქვა, კიდევ მოიხედა, წყალიც მოითხოვა.

ამის შემდეგ ვკითხე სტუმარს დაჭრილის ვინაობაც. ქართველი
ოფიცერი ყოფილა, სვიმონ საგინაშვილი. შენ იცი, თურქები დაჭრილებ-
ზე რაფერ ნადირობდნენ. ეს იცოდა ჩემმა მოულოდნელმა სტუმარმა და
საკუთარი თავის გაწირვით გამოიყვანა, იქნება გადავარჩინოო. თურქებს
რომ ენახათ, ადგილზე აჩეხავდნენ ორივეს.

— თავად ვინ იყო, ხომ არ გიკითხავს? — ახლა სოლომონიძე დაინ-
ტერესდა.

— ალი-ალა ვარო, — მითხრა. — გვარად ეუბოღლი.

აბრაგებმა ერთმანეთს შეხედეს, ერთხანს ხმა არ ამოუღიათ.

— მერე რა მოხდა? — იკითხა ემრულამ.

— ვერ მოვარჩინე ოფიცერი, ათი დღე ვიცოდელიე და არაფერი გ-
მომივიდა. თან მეშინოდა, არ მოაგნონ-მეთქი და იქ ვმალავდი. ალი-
ალა დღისით ტყეში გადაიოდა და ხანდახან შუალამისხანს თუ მოვიდოდა
გარდაცვლილი ოფიცერი ურემზე დავდევით. ალიალამ სამხედროს ტან-
საცმელი გაიძრო, ჩემი ჩეიცვა და წავიდა. თურქული სუფთად იცოდა და
გერავინ ველარ იცნობდა.

— თავი გაუწირავს ეუბოღლის. — თქვა ბექსიამ.

— სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ერთ დროს სვიმონის ძმამ შეარია ციხიდან გამოქცეული, გამოუსწორებელი ყაჩაღი ალი-აღა ეუბოღლი კავკასიის ნამესტნიკს, იმ პირობით, რომ თურქებისაგან გამოიხსნიდა ვატაცებულ თავადის ასულ მაიას. ალი-აღას წინ რა დაუდგებოდა, შესარულა ერმოლოვის თხოვნა. ნამესტნიკმაც შეასრულა პირობა და ყაჩაღს ძველი ცოდვები აპატიო, პატიოსან ცხოვრებას იმმა მოწყვიტა. ჩვენი რაზმიდან წასვლის შემდეგ ამ ხნის კაცმა თოფი აიღო ხელში.

ერთხანს შეცბუნებული ისხდნენ.

მერე ემრულამ ბექსიას თვალით ანიშნა, წავიდეთო. ისიც წამოდგა, აარალი ტანზე მოირგეს, ნაზიმეს და ბურანს გამოემშვიდობნენ, მასპინძელს მადლობა გადაუხადეს და ცხენებს მიაშურეს.

* * *

აჭარა-შავშეთში დამკვიდრებისა და ადმინისტრაციული მმართველობის შეცვლისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ ჩვეულ ზრიკს მიმართა. რამდენიმე თვის წინ დანიშნული ადგილობრივი მოხელეები სამსახურიდან დაითხოვა და მათ ადგილას სრულიად უცოდინარი ჩინოვნიკები დანიშნა. ესენი ახალდაპყრობილ ადგილებში გამდიდრებისათვის მოდიოდნენ, ათასგვარ ბოროტებას სჩადიოდნენ, ხალხში უნდობლობას, მტრობასა და შუღლს თესავდნენ.

ადგილობრივ ბეგებს და ალებს მოესპოთ ყოველგვარი პოლიტიკური უფლებები, მათ ოსმალეთის პენსიებიც კი დაჰკარგეს და უსამსახუროდ დარჩნენ. ისინი ამ მდგომარეობამ ცარიზმის წინააღმდეგ განაწყობა. შეიქმნა შურისმაძიებელთა ტერორისტული ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა რუსი მოხელეების განადგურება.

სამსახურიდან დათხოვნილი ნური-ბეგ ხიმშიაშვილი გაუნაწყენდა რუსეთის ხელისუფლებას, რომელმაც გენერალი გრიგოლ გურიელიც არ დაინდო და აიძულა გადამდგარიყო.

„თუ ეგრეთი იყო რუსის მთავრობა, რომ შენც კი არ გცა პატივი, ჩვენ რაღად გვირჩიე აქ დარჩენა, უმწეო მდგომარეობაში რომ ჩავვარდით?! — სწერდა ნური-ბეგი, თუმცა შურისმაძიებლებს არ თანაუგრძობდა და ყოველგვარი ტერორის წინააღმდეგი იყო.

ტერორისტები თავის საქმეს მაინც აკეთებდნენ..

აკეთებდნენ და ყველა აკვაცობას ნური-ბეგს, აბრაგთა რაზმსა და მის მეთაურს ემრულას აბრალებდნენ.

შურისმაძიებლები თანამოაზრეთა შეგროვებას შეუდგნენ. ვინც უარს ეუბნებოდა, იმათაც არ ინდობდნენ. ტერორისტებს სელმან ცვარი-

დე ჩაუდგა სათავეში. იმისი მარჯვენა ხელი ზივერ თავდგირიძე, რუსთა-
გან სამსახურიდან გაგდებული თევფიყ თავდგირიძის ვაჟი იყო, სელმან-
მა მას ემართლას რაზმის აქტიური წევრის ბაღუ მარშანისად გადმობირე-
ბა დაავალა. ბაღუმ ცივი უარით გაისტუმრა, თუმცა იცოდა, რას უქადა-
ეს უარი.

* * *

ლიმანის საბაჟოდან წამოსულ მგზავრს ხოფაში შემოაღამდა. ვახშ-
მობა კარგა გადასული იყო, პატარა სასტუმროს რომ მიადგა.

— ადგილი არ მაქვს, ჩემო ბატონო, — უთხრა მეპატრონემ, — ცო-
ტა ხნით ავერ, ყავახანაში, შებრძანდით, ბათუმიდან მოსული სტუმრები
მყავს. ცხენებს ელოდებიან, თუ დროზე მოგვარეს, წავლენ და თქვენც
„ხოშგელდის“ გეტყვიო, — თავაზიანი პასუხი მიიღო მგზავრმა.

ყავახანაში ერთადერთი ადგილი იყო თავისუფალი, მგზავრმა ხელჩა-
ნთა და ქუდი სკამზე დადო, თავად მეორე სკამზე ჩამოჯდა. ოთახში
ერთიანად თუთუნის კვამლი იდგა, ისმოდა ყაყანი თურქულ, ქართულ,
რუსულ ენებზე.

ერთ მხარეს მაგიდასთან რუსეთის ოფიცრები ისხდნენ. ხოლო მეო-
რე მხარეს ოთხ კაცს თავები დაეხარათ და ხმადაბლა ქართულად საუბრო-
ბდნენ. მგზავრს არ ესმოდა მათი ლაპარაკი.

— ვინაა ეს კაცი? — იკითხა სელმან ცვარიძემ.

— ვინ იქნება, რუსების შემოგზავნილი ვიღაც მისიონერი, ვერ ხე-
დავ, ევროპულად აცვია? — თქვა ერთმა.

ერთხანს ოთხივე შეფარულად უმზერდა უცნობს.

მერე საუბარი გააგრძელეს. ერთმა კვლავ მოუხედა მგზავრს, დიდ-
ხანს უცქირა.

— ეს, მე მგონი, ქუთაისიდან ჩამოსული ფილიპე ომიანიძეა. ბორჩ-
ხელ იბრაიმ კერაშიძესთან ამხანაგობდა. ქართული დრუჟინა რომ ამო-
ვიდა საზღვრის გასაველელად, ლაზები არ უშვებდნენ ჭოროხს გაღმა და
ხალხს ემუქრებოდნენ, ვინც ჯარს გაიყვანს მდინარის მეორე მხარეს.
მოვკლავთ, სახლს დავუწვავთ და ცოლ-შვილსაც ავუწიოკებთო. ამ კა-
ცმა ერთ ღამეს ჩვენი იბრაიმის ნავით გაიყვანა ერთი ასეული და დაიხს-
ნა ისინი ჭოროხისა და თოფის პირიდან. იბრაიმ კერაშიძეს აკლებას
უპირებდნენ, მარა ისევ იმ ჯარმა იხსნა შურისძიებისაგან. ეს კაციც იმ
დასახლდა. ეტყობა, სასტუმროში ადგილი არ არის და ბარგი-ბარხანით
აქ შემოსულა, — თქვა ერთმა თანამოსუფრემ.

— ნეტაი ახლა სად მიდის? — იკითხა ცვარიძემ და კაცს დააკვირდა.

— ვინ იცის, — სელმანს მიუბრუნდა, — შევეკითხო?



— მოიცა, სერათ! — ცვარიემ ყავა მოსვა. ცვი წყალიც დააყოფო და მხლებლებს ანიშნა, მომისმინეთო.

— ეს კაცი რომ ვინმემ მოკლას, რა მოხდება?

— რატომ უნდა მოკლას? — შეცბუნდნენ თანამესუფრენი.

— არა, ისე, მაგალითად, ასე რომ მოხდეს?

— რა მოხდება და, რუსის თავრობა იმ სოფელს თუ არა, ოჯახს დედბუღინად აიკლებს. — თქვა უღვაშა ლაზმა.

სელმანმა სერათს ანიშნა, აქეთ მოიჩოჩეო და რაღაც წასჩურჩულა. ოფიცრების მაგიდიდან ერთმა წამით სელმანს მოუხედა, შემდეგ ისევ მიბრუნდა, მაგრამ ყური ამათკენ პკონდა მიგდებული.

ცოტა ხნის შემდეგ სერათი გარეთ გავიდა, სასტუმროს პატრონი მონახა, რაღაცაზე ზმადბალი საუბარი გაუბა.

უკან მობრუნებულმა სერათმა სელმანს რაღაც ანიშნა და თავისი ადგილი დაიკავა. საუბარი სხვა თემაზე გადაიტანეს.

ამასობაში ფილიპე ომიანიძე წამოდგა და სასტუმროს მეპატრონეს თავი შეახსენა.

— ბათუმელ სტუმრებს ცხენები არ მოუვიდათ და აზლამ ჩემთან რჩებიან, სამწუხაროდ თქვენი მიღება არ შემიძლია. — იმედი გადაუწურა სტუმარს.

— ამ შუალამისას სადღა წავიდე? — შეწუხდა ომიანიძე.

— მე მივასწავლით ერთ კაცს, აქედან შორს არ ცხოვრობს, იმის სასტუმრო ოთახი მუდამ ღიაა, მიხვალთ, ღამეს გაათევთ, დანაყრდებით, — დაამშვიდა მასპინძელმა.

— ვინაა ასეთი ღვთისნიერი? — იკითხა ფილიპემ.

— აქვე ცხოვრობს, სამასიოდე ნეტრზე, შემალღებაზე, ტყის პირას აქვს სახლი, ბაღუ მარშანიას ეტყვიან.

— ასე გვიან კაცი როგორ გავაღვიძო? — იუხერხულა ომიანიძემ.

— არა უშავს, ბატონო. პატრონს ნუ შეაწუხებთ, მისასვლელთან პირდაპირ კიბეებზე აბრძანდით, კარები ღია დაგხვდებთ, შებრძანდით, ივანშემთ და დაიძინეთ.

ომიანიძემ მადლობა გადაუხადა კეთილი რჩევისათვის, ქუდი დაიხურა, ზეღჩანთა აიღო, მაგიდაზე ყავის საფასური დადო და გავიდა.

* * *

ღილის ნამაზის ლოცვა არც კი იქნებოდა დამთავრებული, როცა ბაღუს სახლიდან ჯერ ქალის საშინელი შეკვივლება, შემდეგ მამაკაცების გაძახებ-გამოძახება და ყაყანი იგვისმა.

სამოსაფერო ოთახში შესულ მეზობლებს შემადრწუნებელი სურათი

დახვდათ: ყელგამოღადრული უცნობი კაცი ლოგინიდან გადმოვარდნილიყო და იატაკზე სისხლის ტბაში ცურავდა. მეზობლებმა სასტუმროდ შეატყობინეს სოფლის მამასახლისს, მალე მუდირიც მოვიდა. იმათ ართვინში და ბათუმში კაცები დაგზავნეს ხელისუფლებისათვის შესატყობინებლად. სასტუმროდან მოსულმა ოფიცრებმა განკარგულება გასცეს გვამზე და ოთახში არსებულ ნივთებზე ხელი არ ეხლოთ. მოკლულის ტანსაცმელი ხელუხლებლად იდო სექვზე. მოსულთა შორის სასტუმროს მებატრონეც იყო, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ამ უბედურთან წუხელ არავითარი საუბარი არ ჰქონია.

ფილიპე ომიანიძის მკვლელობის გამოძიება სეიფულა ნაჩალნიკმა თავად იკისრა. გამოძიებლები ბათუმიდან ამოიყვანა.

იმ ღამეს ბაღუ მარშანია სახლში არ ყოფილა. ცოლ-შვილს ვერ გაუგია სტუმრის მოსვლა. ის ჩვეულებისამებრ შესულა ღია სასტუმრო ოთახში, მაგიდაზე გაწყობილი მჭადი და ყველის ნაჭერი შეუჭამია, გაუხდია და დაწოლილა. დილით ოჯახის დიასახლისს კარები ჩაკეტილი დახვედრია. ფანჯარა ღია იყო. ქალი დაეჭვებულა და ბიჭის ფანჯრიდან გადაყვანა გადაუწყვეტია. ფანჯარაში შეხედვისთანავე ბიჭს ელდა სცემია და იგი კინალამ კიბიდან გადმოვარდნილა, კივილი მოურთავს და მეზობლებიც შეყრილან.

გამომძიებლებმა სახლი საგულდაგულოდ გაჩხრიკეს.

მოკლულს ტანსაცმლის ჯიბეები გადმობრუნებული ჰქონდა — ერთი კაპიკიც არ აღმოაჩნდა, ვერც მისი სხვა რაიმე ნივთი და პირადობის დამამტკიცებელი საბუთი ვერ აღმოაჩინეს. სახლის სხვენზე ხელჩანთა ნახეს. სრულიად ცარიელი, ხელჩანთის სარქველზე ქიმიური ფანქრით სახელი და გვარი „ფილიპე ომიანიძე“, ეწერა. ეტყობა, მკვლელებმა ვერ შენიშნეს, თორემ ამ ნივთიერ საბუთსაც მოსპობდნენ. თუმცა მისი სხვენზე შეგდების მიზანი სულ სხვა რამ იყო.

გამომძიება იმთავითვე უკულმა, ბაღუ მარშანიას წინააღმდეგ წარიმართა. ოჯახის უფროსის სახლში არყოფნამ და ხელჩანთის აღმოჩენამ უსამართლოდ გადაწყვიტა დადანაშაულებულთა ბედი: გამოძიება ამტკიცებდა, რომ ცოლ-ქმარმა მათთან მისული უცნობი სტუმარი გაძარცვეს და მოკლეს. გვამის გადაძალვა ვეღარ მოასწრეს, ბაღუ მარშანია სახლიდან გადაიკარგა იმ მოტივით, მკვლელობა სხვას დაბრალებოდა, რომ ამის შესახებ მისი ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ.

სასტუმროდან მოსულ ოფიცრებს ერთი სამოქალაქო ტანსაცმლიანი კაცი გამოეყო, მძებრებს რაღაც უთხრა, იმათ ნაჩალნიკს მოახსენეს; მაგრამ სეიფულა ათამალიბეკოვს ამ კაცის ნათქვამი არ მოეწონა და გამომძიებლებსაც ურჩია მისთვის არ მოესმინათ.



საქართველოს
ქრონიკა

ეს კაცი ქვეითი ჯარის ექიმი, ნადვორნი სოვეტნიკი, ნიკოლოზ საველიევი იყო. მან ქართული კარგად იცოდა და იმ დამეს ყავახანაშიც ადევნებდა თვალს სელმან ცვარიძის ძმაცაცების საუბარს. საველიევი გამომძიებლებს დაემუქრა: თუ სწორად არ წარმართავთ ძიებას, ამის შესახებ ოლქის პროკურორს და გუბერნატორსაც მოვახსენებთო.

საქმე მაინც წინასწარ დაგეგმილი გზით წავიდა. ბაღუ მარშანია და მისი ცოლი გამსვლელმა სხდომამ გაასამართლა და ორთავეს სიკვდილი მიუხაჯა. საველიევს ცრუმოწმეობა დასწამეს და კერძო განჩინებით სამხედრო პროკურორს გადასცეს. მან გამომძიებელი დუელში გამოიწვია.

* * *

რანაირი აღიდეგა იცის კელასკურის წყალმა. ავერ კაცი მდინარის ნაპირზე სუფთა წყალში თევზაობს, უცებ საშინელ შხუილს და გუგუნს გაიგონებს, დროზე თუ არ უშველა თავს, შეიძლება მოვარდნილმა ნიაღვარმა თან წაიღოს. ეს ალაგობრივ დიდმა წვიმამ იცის, მაშინ მდინარეში წყალი ერთი ათად გაიზრდება, კალაპოტიც სამი-ოთხი მეტრით მაღლა აიწევს და გამძვინვარებულ სტიქიას თავის გზაზე ყველაფერი თან მიაქვს. ვეება ლოდებიცა და ხეებიც, სულდგმულიც, ფარებიც, წისქვილებიც და მისი არხებიც.

იმ წელიწადს კელასკურის წყალმა არცერთი წისქვილი არ დატოვა თავის ადგილას. ხალხს ათ-თხუთმეტ ვერსზე მურღულის ხეობაში დაჰქონდა საფქვავი.

* * *

სოფელ ნინოწმინდის ბოლოს ძველ ხიდთან ემრულას რაზმელები მოყრილიყვნენ. არხის გაყვანა დაემთავრებინათ და ახლა წისქვილის აღდგენას შესდგომოდნენ.

ბექსიამ წისქვილის ბორბალს უკანასკნელი ფრთა მოარგო, კვერკვეტი დაჰკრა და თავის ადგილას ჩასვა.

— თავი გადავხერხოთ, — უთხრა ემრულას და ბირდაბირის ერთი ბოლო მიაწოდა, — არქის ჩამოსაცმელი ადგილი მოვამზადოთ.

ხერხი რამდენიმეჯერ გასწი-გამოსწიეს, ბორბალს თავი მოუმზადეს, ნეკერჩხლისაგან საგანგებოდ გამოთლილი არქი ჩამოაცვეს და წამოაყუდეს.

— სიძე-კაცს არ დაემსგავსა ჩვენი ბორბალი? — თქვა ბექსიამ და ნაკეთობას გაზრდილ შვილივით ახედ-დახედა.

— ხელი და მოფერება ყველაფერს უზდება, უსულოსაც და სულიერსაც. — დაუდასტურა ემრულამ.

— კაცი რომ გაჩნდება, იმას ღმერთი დიდ ვალს აკისრებს. ყველაზე დიდი ვალი მაინც სულდგმულის გაკითხვა, მისი შეცოდება და შემწობაა. ამის კეთებაში სულ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში. ამ წყალდიდობაზე თურმე სამი პატარა ბიჭი მდინარისპირაზე მისულან გამორიყული თევზების ასაკრეფად. უეცრად აღიღებული მდინარე მოვარდნილა და ბიჭებზე ირგვლივ შემოუვლია, ის ადგილი პატარა კუნძულად გადაქცეულა. ბედზე იქვე ხე ყოფილა და ბავშვები ზედ ასულან. წყალი თანდათან მატულობდა. ბავშვებს ყვირილი მოურთავთ, მდინარის ორივე მხარეს ხალხი შეყრილა, მაგრამ წყალში შესვლა ვერავის გაუბედავს.. ერთი დღე და ღამე დარჩენილან ბავშვები ხეზე. მხოლოდ მეორე დღეს გავეშებულ მდინარეში ბათალი ბაბუჩაშვილი შესულა, თან თოკი წაუღია და თითო-თითოდ ბავშვები სამშვიდობოზე გამოუყვანია.

— წელან რომ ვალი ახსენე, ის ადამის მოდგომას სისხლსა და ზორც-ში უნდა ჰქონდეს. თუ ამის შემდეგ კაცი მოვალეობას არ ასრულებს, იგი ლაჩარია.

— რაც მე ვთქვი, ეს სიკეთეა. ასეთი ქცევა არ იკარგება, მას გველის-განაც სიკეთე მოსდევს. — ემრულა ოსტატს მიუბრუნდა.

— ბორბალი მზადაა, მოდი, უსტა, ჩაიბარე. — მერე აბრაგმა წისქვილის ღელისბოლოს მიაპყრო მზერა. — ესენი ვინ არიან?

ქვემოდან ორი ცხენოსანი და ერთი ქვეითი მოდიოდნენ.

მხედრებმა ცხენები პირდაპირ წისქვილთან მიაგდეს, შუაში ქვეითი პყავდათ. ხელები უკან გაკრული ჰქონდა. ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ და დამხვდურს მიესალმენ. ერთი მათგანი სულს მეხეშიძე იყო.

— ვინ არის ეს კაცი? — ჰკითხა ემრულამ.

— ეს კაცი კი არა, არაკაცია, — თქვა სულომ და ტყვეს შეუღრინა, — თქვენთან სამართალში მოვიყვანე.

— რაო, რა დააშავა? — იკითხა ემრულამ და ხელებშეკრულს ირიბად ახედა.

სულომ ერთხელ კიდევ მწყრალად გადახედა ტყვეს და დაიწყო:

— ოცდარვა ოქტომბერს ქუთრების სამი ოჯახი მოდიოდა მთიდან კახაბერში. გზაზე შემოაღამდათ და ჭოროხის ნაპირს კარავი დასცეს. გადარეულმა ჭოროხმა ეს სამი მოსახლე ქუთრი, სულ თორმეტი სული, წაიღო თავისი ბარგი-ბარხანით. იმათი წვივლ-კვილის ხმა შორს ვაის-მოდა თურმე კაი ხანს, მაგრამ მშველელი არავინ გამოუჩნდათ. იქვე ახლოს ყოფილიყო ეს მუდრეგი, მაგრამ იმ საცოდავების დახსნისათვის შეიღი მანეთი მოუთხოვია. ქუთრს ეს ფული არ ჰქონდა, რომ ხელთ მიეცა და ამით დაეხსნა ამდენი სულდგმული. შორიდან უცქეროდა, ჭოროხი როგორ მიაფრიალებდა ამდენ ქალ-ბაღანას თავის ტალღებში. ახლა

როგორც გავიგეთ, იმ უბედურთა ნათესაებს საჩივარი შეუტანიათ ზე
ლისუფლებასთან, მაგრამ ამას რა მოყვება, თვითონ იცით.

ემრულამ საცერივით თვალები პატიმარს მიაპყრო.

— შეუხსენით ხელები! — უთხრა სულოს.

— სწორია, რაც თქვა მეხეშიძემ? — ახლა აბრაგი ფერდაკარგულ
დამნაშავეს შეეკითხა.

— სწორია. — წყნარად თქვა მან, მაგებზე ხელები უაზროდ მოისვა
და თავი უფრო ჩაჰკიდა.

— მერედა, სად დაიბადე, სად გაიზარდე ამხელა ჩოყლაყი, ვის რათ
უნდა შენი ნავი, ანდა თავად შენ რა კაცი ხარ; სოფლად მოსულ, უცხო
კაცს ძაღლიც კი შეეწევა. რა გიჭნია ეს შენ სინდისგარეცხილო!

— ვნახოთ და, არც ხელისუფლებამ, არც ჩვენმა სამართალმა პასუ-
ხი არ მოგთხოვა, სოფელში რა პირით გამოჩნდები, თვალში როგორ შე-
ხედავ მეზობლებს? — შეუტია სოლომონიძემაც.

საუბარში უსტა ისრაფილიც ჩაერია.

— დავუბრუნოთ, ემრულავ, ეს კაცი რუსის თავრობას. ამას ციმ-
ბირს აქეთ დაატოვებინებენ და საცხა ყინულში ჩაკვდეს, ჯობია, ვიდრე
სოფელში თავი გამოყოს.

— არა, — თქვა ემრულამ, — ამან სასჯელი აქ. მის ქვეყანაში, მის
ხალხთან უნდა მოიხადოს, იმათ უნდა დაუმტკიცოს, რომ არაკაცი იყო...
დარჩენილი ცხოვრება კაცად დადგომას უნდა მოახმაროს, სხვა რომ ერთ
კარგ საქმეს იზამს, ამან ორმოცი უნდა გააკეთოს, მაშინ გახდება კაცი.
ჰა, რას იტყვი შენ! — შეუყვირა ტყვეს.

— რა უნდა ვთქვა. — თავი ასწია დამნაშავემ და ოდნავ გამსწვებუ-
ლმა გააგრძელა, — იმ ღორებს ნუ ჩამაბარებთ და თუნდაც აქ მომკალით,
მაგი რომ მდომებოდა, მე იმათ ხელში ვიყავი და არ გამოვექცეოდი. რა
ვქნა, რამ შემშალა, მე თვითონაც არ ვიცი. — ცოტა ხანს იყუჩა. — მეტი
ღარიბი ვარ, ემრულავ, მეც რვა შვილი მყავს. მაგულიანებდნენ. ქურ-
თებს ბევრი ფარა აქვანო და მეც გავბედე ამისთანა საშინელი საქმე.

— ნავი სად გაქვს? — შეეკითხა მალაყმაძე.

— აგერ, კელასკურის და ჭოროხის შესართავთან. — იყო პასუხი.

მალაყმაძის სამართალი ასეთი იყო: მენავე ეზიზ ფოთელიძე ამ წუ-
თშივე სულო მეხეშიძემ წაიყვანოს, ჭოროხის პირები მისივე ნავით მოი-
აროს, თუ საჭიროა, ზღვაშიც ეძებოს დამხრჩვლები, ნაპირზე გამოიტანოს
და კახაბერში მისიანებს მიგვაროს, დამარხვის ხარჯებიც მან გაიღოს.
იქედან რომ მობრუნდება ხუთი წელი ჭოროხზე ღარიბ-ღატაკი მგზავრ-
ბი, ვისაც ემრულა იმერხეველის საბუთი ექნება, უფასოდ ატაროს!

ბათუმ-ართვინის გზატკეცილი სულ ჭოროხის პირს მიჰყვება, სოკო-
ჯერ გზა შემალღდება და უფსკრულის თავზე გაივლის. ამ დროს გზაც
ბეწვის ხიდსა ჰგავს და ცხენ-კაცის ბედიც, როგორც იტყვიან, ბეწვზე
ჰკიდია.

სიკვდილმისჯილი ბაღუ მარშანია და მისი ცოლი არტანუჯის საბო-
ქაულოდან გამოიყვანეს და მეორე, სოტნის ჯარისკაცების თანხლებით ბა-
თუმის საპყრობილეს გზას გაუყენეს. ბაღუს ხელ-ფეხზე ბორკილები ედო,
ცოლს კი მხოლოდ ხელები ჰქონდა შეკრული. კაცს ნაწამები სახე ჰქონ-
და, ქალი უფრო მხნედ მიაბიჯებდა. ბაღუ ფეხებს რალაცნარად მიათ-
რედა და ზოგჯერ თვალები ისე შორს გაექცეოდა, იფიქრებდი, სადაცაა
გზაბაწარს ველარ დანახავს და უფსკრულში გადაიჭრებაო. რა არ გაუე-
ლვა თავში განწირულს, ხანმოკლე ცხოვრებაც წინ გადაეშალა: „ბლივს
დავადექი ცხოვრების გზას, ცოლიც შევირთე, ბავშვებიც მეყოლა, ნუთუ
ამით უნდა დასრულებულიყო ყველაფერი... არა, ცუდი საქმეც მიკეთე-
ბია, კიდევ მიყაჩაღნია და კაციც გამიქურდავს, მაგრამ არავინ მომიკ-
ლავს. ყაჩაღობაზე და ქურდობაზე სიკვდილს არავის უსჯიან. რაღა მე
გამწირეს, რატომ არ შემობრალეს, კი, კი ბატონო, თაბუ სამუშის გაძარ-
ცვა და ზღვაში გადაგდებაც დავაბირე... ნიაზ ვანილიში რომ არა, ამას
მართლაც გავაკეთებდი. სწორედ მაშინდელმა სირცხვილმა გამომიყვანა
კაცად. ვის დასჭირდა ფილიპე ომიანიძის, პატიოსანი კეთილი მოხუცის
ასე უწყალოდ მოსპობა, ისიც ჩემს სახლში... არა, არა, ბატონო ფილიპე
ომიანიძე მე არ მომიკლავს. საკუთარ სახლში მოსულ სტუმარს, მტერიც
რომ იყოს, ხელს ვინ შეახებს. ჩემი სამოსაფეროს კარები განა ამისთ-
ვის მქონდა ღია? ვაკეთებდი იმას, რაც მამაჩემის ძვლებს გაუხარდებო-
და. ვინ დამაბრალა ასეთი მხეცობა, ვის რა დაუშავე?“

ბაღუს ცოლს აქა-იქ ჩამოხეული ჩარჩაბი ეცვა, დროდადრო ქალი
შეკრულ ხელებს ჩამობურთულ სახესთან მიიტანდა, ეტყობოდა, ოფლს იმ-
შრალებდა. აქაურებს სიკვდილი ერჩიათ პატიმრობასა და უცხოთა ხელ-
ში ჩავარდნას, ამიტომაა, რომ დამნაშავენიც კი ყოველივე გზებით ცდი-
ლობდნენ სამართალზე თავის დაღწევას. ამ უბედურსაც თავისი საფიქრა-
ლი ჰქონდა: „სად მიყავართ ამ ურჯულოებს, სად წაგვიყვანებენ. ჩემ კა-
ცთან მე ვიღან მამყოფებს, ვინ იცის, სად შემამწყვდევენ. სიკვდილი
სიკვდილია, მარა სახლის ქალს, ქმარ-შვილის პატრონს კაცის მოკვლას
მაბრალებენ, ღმერთი ხომ ხედავს, რომ დამნაშავე არ ვარ. მარა ამათ რას
მიახდენ. ესენი მხეცები არიან. აჰ, არა, სიკვდილი ჯობია ამათ ხელში
ყოფნას, ესენი რომ მოგკლავენ, მერე ვიღას დააჯერებ, დამნაშავე რომ
არ ხარ?“.

„სიცოცხლე რაღათ მინდა, თავი თუ ვერ ვიმართლე“, — ფიქრი ხმა-
ბაღლა გამოხატა ბაღუმ.

საღდათმა კონდახი ბეჭებს შორის ჩასთხლიშა და ნაბიჯი ააჩქარებ-
ნა.

— საღ მივდივართ, საღ? — იკვილა ქალმაც.

საღდათი მასაც მიეჭრა და მუჯღუგუნი ჰკრა.

ბაღუმ ცოლს მოუხედა, თითქოს რაღაც ანიშნა.

ამასობაში ბადრაგი ბორჩხას ჩასცილდა და სოფელ კელასკურთან
აგრძელებდა გზას. აქ გზა ფრიალო კლდეებში გადის. ქვემოთ კი, თვალ-
ჩაუწყდენ უფსკრულში, ამღვრეულ ჭოროხს მიაქვს ყველაფერი.

ქალმა ერთი აქეთ-იქეთ მიმოიხედა, ახლა მას შეშლილის თვალები
ჰქონდა, ნაბიჯს აუჩქარა, ქმარს მიეჭრა და შეკრული ხელით, მთელი ძა-
ლით უფსკრულისაკენ უბიძგა.

ბაღუ წაბორძიკდა, თავის შეკავება სცადა, მაგრამ ბორკილი გაებ-
ლანდა და უფსკრულში გადაფრინდა. ელვის სისწრაფით ქალიც მას გა-
დაჰყვა.

მხოლოდ კაცის თავგანწირული შებლაგულება გაისმა, ხეობამ კაიჭე-
ორა ექო და მალე ისიც მიწყნარდა.

ჯარისკაცებმა ვერაფერი მოასწრეს. დიდხანს იდგნენ გაოგნებულნი.
ერთმანეთში რაღაც ყაყანი ასტეხეს, უფსკრულისაკენ გადაიხედეს, მკრე
ორად გაიყვნენ. ერთმა ჯგუფმა ბათუმისაკენ გააგრძელა გზა, მეორე არ-
ტანუჯს დაბრუნდა.

(გაგრძელება იქნება)



რას გაიგებს ამერიკა,
რას გაიგებს ევროპა.
ჩემი ერთი ღამის ბოღმა
მის თაობებს ეყოფა-
დაჩეხილი, დამეხილი
(მათ ხომ ტკბილად ეძინათ).
ცხრა შვილს ვყიდდი, რომ მეთათე
სიკვდილს ვაღამერჩინა.
მზე ჩაქრა და
უფსკრულის ცა
მოგვეჩვენა ნათელად.
რწმენისათვის ვეწამეთ და
ერთმორწმუნემ გაგვთელა,
ზოგჯერ ბორკილს ვივიწყებდი,
ზოგჯერ მაინც ვმღეროდი,
ჯავახეთში ღვთისმშობელს და
წმინდა ნინოს ველოდი,
დავილაღე,
დროშებს შლიდა
სიძულვალი აშლილი,
მიიკუნჭა სიყვარული
გალახული ბავშვივით.
ვერ იქნა და გათვალულმა
ყელი ვერ მოიღერა,
წყველა-კრულვამ გადაფარა
ცხრა აბრილის სიმღერა,
რადგან ყველამ მოგვაფრქვია
შხამი გადაშალული,
რადგან ყველას შევარჩინეთ
ჩირქი,
სისხლი,
მამული,
დარღში იშვა,

ცრემლში იშვა,
და რომ არ გაგვეგუდოს,
მომავალი დაინდოთ და...
ერთმანეთსაც შევეუნდოთ.
გალახულო,
გალანძღულო,
გაძარცველო ერო,
დაბოღმილო,
დამცრობილო,
უფრო საყვარელო..

* * *

ღამდება... მერამდენედ
მე ვაგდენე რიცხვები
და არც გათენებაში
არ იცვლება რამე,
სისხლში გასულხორცდით და
ვეღარ ამოირწყვებით,
ვერც გივიწყებთ სიჩუმით
მოგუგუნე წამებს.
უცებ შემეჩვენებით
და სიმართლით მწარით
სუყველაფერს ეხებით,
რითაც ყოფას ვაესებ,
აცდენილი ტყვია და
აცდენილი ბწყარი
უკან მიბრუნდება და...
ვირინდები ასე.
ნეტა მას, ვინც ცდება და
ვინაც ვერას ხვდება.
ვისთვის მოდის შევებად
და სიზმრებად ღამე,

მე კი დავიღალე და
აღარ მგერა „ხვალე“,
ნახევარი გავიდა,
ნახევარიც შხამებს.
სიყვარულით გავლილი
სიძულვილით მომდევს
და გმირობაც სასწოროზე
ღალატის სწორ ფასობს,
ღმერთს აღიდებს ვერცხლის წილ.
კინც სდევნიდა ოდეს,
ისევ ვერცხლის ნდომით და
დღეს მოციქულს მსგავსობს.
შენ კი... ვერ გაიარე,
შენ კი... ვერც გაიფრინე.

შენ კი... ვერც გასცურე და
ვერც მიწაზე იცოცე,
დაგრჩა ტერფზე იარა,
ფრთებიც გადაიქლითე,
ტალღაც გუბედ იქცა და
ნურაფერს გაიოცებ.
არც ვინ დავიმაღლის და
არც გეკუთვნის მადლობა
და მართალიც იქნება
ამერიც და იმერიც,
ვერ შესძელი ბოლომდე,
ვერაფერზე დანდობა,
კაცი ქრება, სურათზე
რჩება მკრთალი იერი...

* * *

ასე მგონია, სხვა დროიდან
კაცქერით ყველას,
აკი ამბობენ, რომ ყველა დრო
გვერდიგვერდ სახლობს,
აქ, ამ მინდორზე
ამორძალი ყელსა სჭრის მძევალს,
აქვე სპარსელი ბერძენს ებრძვის
პეტრასთან ახლოს,
ამ წუთს, როდესაც
მოვეუკიდე სიგარეტს შვებით,
ტყვე ქალს ჰყიდიან, ბაზარია
და ხარობს ალა,
ორმოცდაათი დროშიანი სასახლე მხრებით
გააქეთ ჩვენს ბიჭებს და მოედანს აჭლობენ
დაღაღ.
ჰო, ყველაფერი ახლა ხდება.
ხდებოდა უწინ,
მოხდება მერე, მე კი... ვარ და... არცა ვარ თქვენთან,
თუმცა წლების წინ საზეიმოდ გაკვრიპეთ ხუცი,
ვართ და არცა ვართ,

არც ეშმაკთან და აღარც ღმერთთან.
ვარ და არცა ვარ,
არც თქვენთან და
არც თქვენს გარეშე.
ვერც ომს ვაცხადებთ
და ვერც ზავი შევეკარით ფიცით,
ვერც ვიბატონებ თქვენს ზედა და
ვერც ვიფარეშებ,
უთქვენოდ მოვკვდი
და თქვენს გვერდით მოვკვდები, ვიცი.
მაგრამ ჩემს დროში იქნებ უზამით სავსე თასი და
ნექტარით სავსე თასიც ჩემი ლოდინით მოცდა,
არის კაცი კი,
ვინც თავისი ტვირთი აზიდა
და ვინც თავის წილ ალერსში მოკვდა?!

* * *

როს ურუოლა გადნა და მიიღურსა
მაშინ შეგვყარა ბედმა ტიალმა,
რა იქნებოდა, ჩვენს სიყვარულსაც
ვარდისფერ ნისლში ეხეტიალა,
ბედს კი, როგორც იატაგანი
კვლავ ასამარებს ფიქრებს ფრთიანებს
და მტკივა ჩემი ყრმობა, რადგანაც
შიგ ჩასახლება დააგვიანე.
და ზოგჯერ ვნატრობ მწარე ნაღველით
ავვიყირავდეს ჟამი, ნეტავი.
მე ისე მინდა ვიყოთ ბაღლები,
მიყვარდე ვნებით გაუბედავით..
და განვიცადო, რაც განმიცდია,
სევდა, იმედი,
კრთომა გამხელის,
რაც ჩაინავლა სულში სინაზე
კვლავ აღდგეს, ოღონდ.. შენი სახელით.

გაზაფხულამდე ჯერ ზამთარია
და შემოდგომის ნაგლეჯი მცირე,
როგორც სნეული, განწირული
ორიოდ დღით მომჯობინდება,
ისე, იმგვარად მზე გვაპურებს
ცრუ იმედებით,

ჰაერსაც, როგორც
ლაზარეთის ნესტიან კედლებს,
თითქოს წამლების სუნი დაჰყვება,
ჯერაც ხმაურობს ქალაქის ბალი
და კანტიკუნტად შერჩენილ წყვილებს,
როგორც ხის ტოტზე შერჩენილ ნაყოფს,
ალარ დასტოვებს

პირველივე წვიმა და ქარი.
გაზაფხულამდე ჯერ ზამთარია,
გაზაფხულამდე იქნება სუსხი,
გაზაფხულამდე იქნება თოვლი
და ალბათ ყველა ვერ მიაღწევს
გაზაფხულამდე.

შენ გამოდიხარ ჩუმიად ბალიდან
და შემოდგომის ნაგლეჯი მცირე
უფრო გამწარებს, ვიდრე გამშვიდებს.
ჩაიხშიანეს იმედებმა

და ჩაიკარგნენ,
არც არაფერი შეიცვალა სასიკეთოსკენ.
ბოღმაზე ბოღმა
მოგიმატა და ჩაიარა
იმ გაზაფხულმა,
იმ ზაფხულმა,
იმ შემოდგომამ,
იყოს ზამთარი...

რომაელი სენატორივით
შენც ეინიანად იმეორებ:
„კართაგენი უნდა დაინგრეს!
კართაგენი უნდა დაინგრეს!“

* * *

მთელი სიცოცხლე მსურდა მეგიჟა
 და უიმედოდ მდევდნენ დახლები,
 შენ, სულო ჩემო, მობრუნების უამს
 მარქვი, რა სხეულს ჩაესახლები.
 ლტოლვილობისას ვჩეხე ხიდები,
 აწ აღარ ძალმიძს ტკივილთა თმენა
 და ის, რომ მაინც არ ვიყიდები,
 სიჯიუტეა და არა რწმენა.
 დაგავიწყდება ყოველი, სულო,
 მაგრამ იდუმალ დაღლა შეთნილი,
 ხელახლა მოხვალ, რომ აღასრულო,
 რაც ციურ წიგნში არს დაწერილი.
 შენ — აღბეჭდილი მარცხით წყეული.
 წინ მახეები — უკვე ახლები
 და თვალწინ მიდგას ბავშვის სხეული.
 რომელშიც ტანჯვად ჩაესახლები.
 და რომც დაჰკარგო მაღლით სუფევა,
 იუკი სიმხნევე შეგერჩა ოდნავი.
 ბავშვის სახელით შეჰვედრე უფალს.
 არ მოგაბრუნოს შესაცოდავად.

* * *

როგორც გუშინდელს ჰგავს დღევანდელი,
 ჩანს ხვალინდელიც დღეისდღის სწორი
 და სულს ედება კვდომის ნაღველი,
 ვით პროვინციულ ქალაქებს ჭორი.
 თმებს გადაუვლის ათიოდ წელი
 დღეისდღის საგზლით იქნები იქაც,
 აზრიანს აღარ, სასწაულს ელი
 და ვარსკვლავთ უცქერ, ვით ყავის ჭიქას.
 ერთი ხუმრობა ვარსკვლავთაც მართებს,
 იქნებ ის წამიც სადღაც ელაგდეს
 და შენს შობამდე დანთებულ სანთელს
 გზად შეგახვედროს ხვალინდელამდე.

ხმით ნატირალი

ბათუმის გვაგონდება წვიმა...
 ბათუმის გველანდება ზღვა,
 ბათუმში გვენატრება... ვინა...
 ბათუმის გვესიზმრება ქვა.
 ტკივილი სტრიქონებად გვექცა,
 გვტანჯავს გულცივობა დედის...
 ქალაქის უდაბნოსფერ ზეცას
 წაშლია ორი ძმის ბედი.
 ბათუმის გვენატრება წვიმა...
 ბათუმის გვესიზმრება ზღვა,
 ბათუმში გვაგონდება... ვინა...
 ბათუმის გველანდება ქვა.
 დაგვაზრჩობს ცრემლიანი ქარი—
 საკრავს აწყვეტილი ხემი...
 მოგვბლავის ნავსადგურში მდგარი

უცხო, შორეული გემი.
 ბათუმის გვესიზმრება წვიმა...
 ბათუმის გვაგონდება ზღვა,
 ბათუმში გველანდება... ვინა...
 ბათუმის გვენატრება ზღვა...
 ვტკბებით წარსულის გახსენებით,
 ძმავ,
 დარდის ცრემლების დასველებით,
 მუზის პარნასზე ასვენებით
 ოცნებით ვტკბებით, ო!..
 ვთვრები შხამიან სასმელებით,
 ძმებისგან კრული — დასმენებით,
 უჭირისუფლოდ განსვენებით,
 უშენოდ ვკვდებით, ჭო!

პ ე ლ რ ე ბ ა

ღმერთო, შეიწყალე ჩემი საქართველო,
 შენი ნიბიერი — უიღბლო ასული,
 იქნებ გატეხილი გული გავამრთელო,
 ღმერთო შეიწყალე ჩემი საქართველო...
 შენსავით ჯვარცმული.



ახლა რა დროა?

(პოემის ნაწყვეტი)

ეს სტრიქონები იწერებოდა ქსნის კოლო-
ნია-საავადმყოფოში 1973 წელს.

მე ვიდექი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე,
და სიცოცხლეს იგივე მნიშვნელობა ჰქონდა
ჩემთვის, როგორი მნიშვნელობაც უნდა ჰქო-
ნოდა სიკვდილს...

ყველა კეთილი,
ყველა ბოროტი,
რატომღაც დუმილს მიირჩევს ახლა.
რა ციაგდება მეგობარო,
ან გამოწვდილი ის ხელები რას ღალადებენ?
გაღამისხენი ათქვირებული ბაღების სუნთქვა —
ეს ასერგასის ნათელი წვიმს თუ...
მალლა მიიწევს რწმენის გოლგოთა?
თუ შენ გახარებს იგი, რაც ითქვა
და იმსჯელები მისეულ სიბრძნით,
ჩახედე შენს სულს..
მე ნუ მიყურებ,
სულერთია ჩემთვის ყოველი,
აღარავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ იმას,
რასაც შენ აძლევ მნიშვნელობას გაზვიადებულს.
მე გეკითხები — რაა მართალი?
ან რა ფერი აქვს იმ ანგელოზს თვალის გუგებში
თავის სამსხვერპლოს მოლოდინში
ბაღების სუნთქვა რომ შეარხია?
მე გეკითხები განკითხვის დღეო
რა არი შენი მიზეზთ-მიზეზი?
მარადისობის სიჩუმეში დაბუღებული
მსხვერპლშეწირული,
აღსრულებული.

მიმახლოვე რვაქიმიან ვარსკვლავის ციავს —
აღმომავლინე და მომეცი ბრმას იგი სარკვე,
რომელშიც ჩემი სიწყვდიადე ამოირეკლა, ვით დგომა
სადღაც.

ო. ზეციერო, მიწიერად ჩემივ სახეებავ
ჩამომასვენე შენს მკლავებზე დაღლილი მგზავრი.

რა არის იგი, რაიც გვადვიძებს
და ცხოვრებაში მიგვერეკება?
რად კივის სულში ჩემი სხეული
ან რას მანიშნებს აღმომხდარი ძახილის ექო?

ო. მიმსწრაფველო მიახლოვებავ!
ჩემი ხელები ხომ ყველაზე ახლოა ჩემთან
და უფრო ახლო ჩემი ნეკნები
და მაინც სწრაფვა — მიახლოება!
რა საგანია ის საგანი, რომელიც ანთებს
ცნობიერების მიღამებულ სულისკვეთებას
და მაინც გვრჩება შეუცნობელი?

გიყი და ბრძენი მარად ქმნიან ერთდაიგივეს.
შეცნობისაკენ მივილტვით მაშინ, როცა შეცნობა
არ შეგვიძლია.

ყოველ მოვლენას აქვს თავისი დრო და საათი.
ეს კარგად იცის მემწვანოილემ თავის ბოსტნიდან.
ახლა რა დროა?

ადექი ძმაო.

მზემ აღავსო ღვინით ფიალა.

ო, მიმნდობელო სულო კეთილო,
გამოანათე მიწიერი ჩემი არსება —
რომ მე შევეძლო სიყვარული იმ მეგობრისა,
რომელმაც ჩამცა ბოროტების ლახვარი მკერდში.
ნაკადულეზო და ჩანჩქერებო

გადაედვარეთ და მიაქციეთ
მისაქცეველში ყველა ბოროტი —
იგი ხომ ჩემი ჩრდილი არი,
რა მაქნისია ჩემი ყოფა ჩრდილის გარეშე?
გაგისხარია!
შენთან ვარ ისევ...

ახლა რა დროა?

მეგობარო,

ადექი,

მოდი,

მზემ აღავსო ღვინით ფიალა.

ღვინოს მომითხარ რად იყოფა და რად ერთდება

ყოფიერება ჟინში მიმდგარი —

ნუთუ ეს მე ვარ ორივე ერთად?

მაშ, ის საწყისი?

ის საწყისი საითკენ გიხმობს,

რომელსაც მარად

უმღეროდა

ჩემი მყოფადი

მიმდგომო ჩემში — მყოვარ ჟამიერ

გამომიმყლავნდი სრულქმნილებაში

იმ გამოუთქმელ და ყრუ ბგერებით,

რომელიც სხეულს აყრუოლებდა საშინელებით.

საშინელებით ავსებულო,

მე ვდგევარ შენი საშინელი სულის წინაშე,

საკვირველებავ მიწიერო და ზეციერო

აამეტყველე — მარად უტყვი იეროგლიფი —

ხილდალის სწრაფვა, დამხობილი

ჩემი ასუ-რი.

შენ, ჩრდილო ჩემო,

ბედის ამარა ვიდგე,

როდემდის?

ენიც იციაგა ჩრდილოეთის ცაზე მზის ხილვა

ან აზრის სულში ვინ ჩაიხედა?

ვინ იზეიმა არსაკიდის დამარცხებიდან!

სიტყვა-ნათელო,

ამოქუხდი ჩემი სულის უფსკრულებიდან.

ახლა რა დროა?

მეგობარო,

ადექი.

მოდი,

მზემ აღავსო ღვინით ფიალა.

რით შეგიძლია გამაკვირვო?

მეც ხომ ვიყავი გაკრული კლდეზე,

შეც ხომ ვიყავი აღმდგარი მკვდრებით,
შეც ხომ ვიყავი პილატეს ღრჭენა
და აჩეხილი შერქვა ვენახი,
შეც ხომ მიგრძენია საშინელი
ბედის დამუსვრა
და განმიცდია განუცდელი ანკას გაფრენა
მარადისობის მღუმარებაში, რომ თეფშის ფსკერზე
გადამიხსნია საიდუმლოთა ყველა მიზეზი.
გასაკვირველო, რით შეგიძლია გააკვირვო
ჩემი მყოფადი — ციკლთა კავშირში შერთული მაცნე?
ახლა რა დროა?

შეგობარო

ადექი,

მოდი,

მზემ აღავსო ღვინით ფიალა —

თუ შეგიძლია მითხარ ახალი,

რა არა თქმულა ჩემს მღვიმეში

სულის შეწევნით.

ვიყავ გიჟ-ბრძენი და დედამიწა ზურგზე მეკიდა,

კიოდა ჩემში სატიკვარი და იმავ ადგილს

და იმავ წუთში სიხარული ციაგდებოდა.

ჩააქრე ახლა ეს მხრჩოლავი ჭრაქი, დიოგენ,

ჟანგიან კასრში ტირის ფლეიტა

და გაჭვარტლული სანახები ადამის მოდემას

ბედის ტრიალით არხვეს იბლისი,

თავზე მადგია სატანჯველი ბედნიერება.

ახლა რა დროა?

შეგობარო ადექი, მოდი,

მზემ აღავსო ღვინით ფიალა.

მიჯნურთ მსურველო ცა გაანათე?

სიკვდილის კერძებს რად ვამზადებთ ჩვენიც სურვილით?

ო, სურვილებო, საით მიცვივით?

რომცით თქვენი ჯოჯოხეთის გრძნეული წირვა,

ასულის ტრფობას ჩემო გონი დაურყევია

და ბეატრიჩე მოაბიჯებს დაქვრივებული.

ო, სიყვარულო!!!

რა ელვა ხარ,

რა გრძნობა ხარ გამეხებული?



ალექსანდრე ჩხაიძე

ერთხელ ...

ასეთი სათაურით მალე მკითხველი მიიღებს ალექსანდრე ჩხაიძის ახალ წიგნს, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „...რაც არ დამავიწყდა, მეხსიერებას შემორჩა, ვერსად გამოვაქვეყნე, მაგრამ დასაქარგავადაც მენანება, იქნებ ვინმე ჩააფიქროს, საკუთარ სულში ჩახედოს, ღიმილი მოგვაროს, ამიტომ შევკარი ცალკე წიგნად ჩვენში თუ ცხრა მთას იქით ნანახი თუ მოსმენილი, ნააზრევ-ნაფიქრი, შეხვედრები და შემთხვევები, კურიოზები და პარადოქსები, მწერალური და თეატრალური არაკები, გამოუგონებელი ანეკდოტები...“

გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ წიგნიდან.

ვიყოთ გულწრფელნი, საკუთარ თავს მაინც გამოვუტყდეთ, რომ მეტ-ნაკლებად ყველას გავწვალებს თავის გამოჩენის სურვილი, ისეთი რამ მოვიმოქმედოთ, წარმოვთქვათ, შევქმნათ, ისტორია რომ შემოუნახავს შთამომავლობას. ამისათვის სრულებით არაა აუცილებელი, ალექსანდრე მაკედონელივით ნახევარი მსოფლიო დაიპყრო ან მსოფლიო მიზიდულობის კანონი აღმოაჩინო. ნიუტონის მიერ აღმოჩენილმა ამ კანონმა ერთი ომამდელი არაქი მომაგონა: სტუდენტს გამოცდაზე ასეთი მოსაზრება გამოუთქვამს, ამ ქვეყნად ყველაფერი შემთხვევით ხდება, ვაშლი რომ ჩამოვარდა, იმ დროს ზის ქვეშ შემთხვევით ნიუტონი რომ არ მდგარიყო, მსოფლიო მიზიდულობის კანონი დღესაც არ იქნებოდა აღმოჩენილი. ამ საექვო თეორიის გამო პროფესორს დისკუსია არ გაუმართავს, მაგრამ სტუდენტისათვის უთქვამს, ის ვაშლი თავს დაეცა, თორემ ზოგიერთის თავს ხაზურზაკიც რომ მოხვდეს, მაინც არაფერი ეშველებათ.

არქიმედემაც ასევე „შემთხვევით“, აბაზანაში ნებივრობის დროს, აღმოაჩინა ერთ-ერთი უდიდესი კანონი, რომ წყალში ჩაძირულ სხეულზე მოქმედებს ქვემოდან ზევით მიმართული ამომგდები ძალა, რომელიც ტოლია ამ სხეულის მიერ გამოდევნილი სითხის მასისა. (სიტყვა-სიტყვით ასე ჩამაწერინა ერთმა ფიზიკის მასწავლებელმა). მარტო ეს ეყოფოდა არქიმედეს ისტორიაში დასარჩენად. მას შემდეგ აბაზანების რაოდენობა ზღაპარულად გაიზარდა (ყოველ კვადრატულ კილომეტრზეც და თითო სულ მოსახლენზეც), მაგრამ არქიმედები შემცირდნენ უკუპროპორციულად.

ზუსტად 2347 წლის წინათ ეფესელმა მოქალაქემ, პეროსტრატემ, თავისი სახელის უკვდავსაყოფად, დაწვა მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი — არტემიდეს ტაძარი.

102 წლის წინათ პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის ინჟინერმა ეიფელმა აგწ 300-მეტრიანი კოშკი, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს და საფრანგეთის დედაქალაქის სიმბოლოდაა გადაქცეული.

ერთმა განადგურა, ხლო მეორე — ააშენა, მაგრამ ორთავემ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი კაცობრიობის ისტორიაში.

ერთი რომაელი სარდალი, მოგებულ თუ წაგებულ ომებზე უფრო, იმით დარჩა ტორიაში, რომ ყოველ თავის გამოსვლას ლაშქრის წინაშე თუ სენატში, ამთავრებდა ამ სიტყვებით: „კართაგენი უნდა დაინგრეს!“

„მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“, — ამის თქმა მე უფრო შემეფერებოდა, ვიდრე ტვინით გატენილ სოკრატეს, მაგრამ ეს შვილი სიტყვა ჩემზე ადრე მან განაღვა ასეთნაირად და დარჩა ისტორიაში.

დიდხანს ველოლიავებოდი იდეას, შემეგროვებინა და ცალკე წიგნად გამოემცა ანექლოტები, მაგრამ ეს ჩანაფიქრიც განუხორციელებელი დამრჩა, რადგან ზოგიერთი ანექლოტის გამოცემა კი არა, მათი მოყოლაც კი, როგორც მაშინ ამბობდნენ, ციმბირს უკან დაგატოვებინებდა: უკეთესი დროს დადგომის იმედით ანექლოტების შესაგროვებლად და შენასანახად კი ნებისყოფა არ მეყო. ამიტომ ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, დაეწყვებას მიეცა, საბოლოოდ გაქრა, დაიკარგა.

ამ ბოლო დროს „ისტორიაში დასარჩენად“ გინესის მსოფლიო რეკორდების (უფრო სწორად, ანტირეკორდების) საბჭოური ვარიანტის შედგენა მოვიწადინე, ჩვენი გაუკუღმართებული ცხოვრებით ნაკარანხევი, ყველაფრით და ყველაფერში პირველ ადგილზე რომ ვიყავით ყოველ კვადრატულ კილომეტრზე, თითოეულ სულ მოსახლეზე, უმაღლეს-დამთავრებულთა თუ მეცნიერების დოქტორთა რეკორდული რაოდენობით, ბიბლიოთეკებში „წიგნებისა და მკითხველების ბრუნვის“ (!) თეატრებში „მკაუტრებელთა მოზიდვის“ (!) გეგმების შესრულებით, იმით, რომ ერთ კაპიკად ღირებული კოლოფი ასანთი საკამოსიო მაღაზიაში ასჯერ მეტი ღირს, და რომ ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტი ფულს იხდის იმისათვის, რომ... არ ისწავლოს. მაგრამ ეს ჩანაფიქრიც ჩანაფიქრადვე დარჩა, რადგან მეცნიერული ცენზი არ მეყო მის განსახორციელებლად, ერთმა გამოცემებელმა კი საბოლოოდ ცივი წყალი გადაავლო ჩემს შემოქმედებით აღტყინებას, შენ მართლა ხომ არ გგონია, უკვე ყველაფრის გამოცემა შეიძლება ჩვენთან?!

ასე და ამრიგად, ისტორიაში დარჩენის იდეა თანდათან გაფერმკრთალდა, მაგრამ გულსა და გონებაში, უბის წიგნაკსა თუ ფარატინა ქალაღლზე მაინც დარჩა გამოუთქმელი სათქმელი, ერთხელ სადღაც რომ გამოგონია, მინახავს, შემხვედრია, თავს გაღამსდენია...

* * *

ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, ანკეტა ჩემს განათლებას და სპეციალობას რომ მეკითხება, სად, როდის და რა უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე. ანკეტას სრულებით არ აინტერესებს, რომ გამომიცია ოცამდე წიგნი, დამიწერია ოცდაათზე მეტი პიესა, ვარ რამდენიმე შემოქმედებითი კავშირის წევრი... ანკეტაში უნდა ჩავწერო, რომ დავამთავრე საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტი, თუმცა ერთი დღეც არ მიმუშავია სპეციალობით, არსად და არასდროს გამომიჩენია იურისტის დიპლომი, საერთოდ, შემთხვევით მოხვდი ამ ინსტიტუტში, საუცხოო პირობების გამო. მაშინ მოსკოვში ჩასახველმად საშვი იყო საჭირო, წელიწადში ორჯერ ჩასვლა საშვის გარეშე, თანაც სამსახურში ხელფასის შენახვით, სამიფინანსო ხარჯების განადგებით! — უკეთეს პირობებს გასართობად ახალგაზრდა კაცი ვერც ინატრებდა. სწავლებაც არ იყო მკაცრი. ბოლო კურსზე მკითხა მხოლოდ დეკანმა, რა სპეციალობით ვაპირებდი მუშაობას ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. ვუთხარი, რომ მე დამსჯელად

არ გამოვდგებოდ ალბათ, დამცველის როლს გირჩევ-მეთქი. იქვე გამოცდა, ვთქვით
სახელმწიფო ქონების მიმთვისებელს ასამართლებენ, როგორ დაცვაო. თავის გამოჩენა
მოვიდნო, თუ კი ადამიანს ოჯახის სარჩენად სეფლასი არ ჰყოფნის და კმა
იქურდა, გვაპართლებ-მეთქი. როგორც ჩანს, ჩემი ასეთი „ორიგინალური“ პასუხი
გამომცდელ პროფესორს არ მოეწონა, რადგან იგი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა
მის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოში გამოთქმულ მოსაზრებებს. ამიტომ მითხრა,
თქვენ ადვოკატადაც არ გამოადგებითო. მართლაც, არ გამოვდექი. სახელმწიფო გამოცდე-
ზე გავიქირდა ცოტა. სტალინი უკვე გარდაცვლილი იყო, ბერია — დაპატიმრებული;
ამიტომ ქართველები რამდენადმე ათვალისწინებულად ვგრძნობდით თავს. იქნებ გე-
ჩვენებოდა კიდევ გამოცდელთა სიმკაცრე. მაგრამ მანც ყველა საგანში „სუთიანი“ მი-
ვდე. დამჩნა მსოფლიო პოლიტეკონომია. ბილეთის კითხვებზე თითქოს რიგიანად ვუბა-
სუნებ, სულ მიწასთან გავასწორე კაპიტალისტური სამყარო ეკონომიკური ქაოსის, ცხოვ-
რების მგლური კანონებისა და მშრომელთა უმოწყალო ექსპლუატაციის გამო. ბავშვობაში
გაგონილიც გავისხენე, უგემო მუშაობის გამო კაპიტალისტები იძულებული რომ
არიან ჭარბი პროდუქცია დაწვან ან ზღვაში გადაყარონ, მაშინ, როცა აფრიკა შიმშილობს;
ჩვენც რომ არ გვაწყენდა ის ზღვაში გადაყრილი ხორცი და ხორბალი, ამაზე არაფერი
მითქვამს, პოლიტიკური მოსაზრებით. დრანიერი და ჭკე ლონდონიც მოვიშველიე თე-
მის გასადრმაველად. მაგრამ, ვგრძნობდი, პროფესორი მანც ჭკემანობდა, დაწერა
თუ არა ჩემთვის „სუთიანი“. ალბათ, ამიტომ დამატებითი კითხვა მომცა, ჩვენთან,
სოციალისტურ საზოგადოებაში, რას ვუპირისპირებთ კაპიტალისტურ კონკურენციასო.
რა არ ჩამოვთვალდე, — სახალხო მეურნეობის გეგმიურობა, საბჭოთა ადამიანის მაღ-
ლი მორალური თვისებები და შეგნებულობა, პატრიოტიზმი, კიდევ ბევრი რამ, მაგ-
რამ, ვატყობდი, პროფესორს ჩემი პასუხი არ აკმაყოფილებდა, კიდევ ბევრი რამ, მაგ-
ნოდა. მეტე შეკითხვა ცოტათი გამიადვილა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა განმარ-
ტებით, რას ვუპირისპირებთ კაპიტალისტურ კონკურენციასო. აქ უკვე დრანიერი და
სელინჯერი არ გამომადგებოდა, სიზუსტე იყო საჭირო, კონკრეტული ციტატა, ამიტომ
გულწრფელად ვაღიარე, არ ვიცი-მეთქი. პროფესორმა კალმისტარი მოიმარჯვა, მაგრამ,
სანამ მატრიკულში „ოთხიანი“ ჩამიწერდა და დიპლომს „გამიფუჭებდა“, მოვასწარი
მეთქვა, ამაღამ, ალბათ, ვერ დავიძინებ, სანამ არ გავიგებ, რას ვუპირისპირებთ ჩვენ
კაპიტალისტურ კონკურენციას-მეთქი. სოციალისტურ შეჯიბრებასო, მითხრა; მიუსე-
დავად მარქსისტულ-ლენინური განმარტებისა, მე, ალბათ, მანც ვამედიმა; მომეჩვენა,
რომ — მასაც; მაგრამ მაშინ ჭერ კიდევ 1953 წლის ზაფხული იყო და ასეთ თემაზე
ირონიული დიმილი არ იყო რეკომენდირებული. პროფესორმაც, ალბათ, ამიტომ გამო-
მიტანა განაჩენი, „ოთხიანი“ ჩხებიესო. ახლა ჩემი ჭერი დადგა გულის მოსაყვანად,
მამატივთ, პროფესორო, მაგრამ მე ჩხებიე არ ვარ-მეთქი. გავერვებულა მატრიკულ-
ში ჩახედა, აბა, ვინა ხართო?! ჩხაიძე ვარ-მეთქი; სულ ერთ ასოშია განსხვავებაო, უკან
არ დაიხია პროფესორმა. ან ერთი ასოს გამო იყო, რეველუცია რომ მოხდა-მეთქი,
არც მე დავუთმე, როგორო?! ჩხებიეები თავადები იყვნენ, ხოლო ჩხაიძეები გლეხები
ვართ-მეთქი. პასუხი მოეწონა, თუ ჩემი გლეხური ჩამომავლობა, არ ვიცი, მაგრამ პრო-
ფესორმა მატრიკულში „სუთიანი“ ჩამიწერა. მას შემდეგ ბევრჯერ ვიყავი საზღვარგარეთ,
პირისპირ შევხვედი კაპიტალისტურ სამყაროს, კონკურენციის მგლურ კანონებს, მაგრამ
ვერალრით ვერ ვიგრძენი უპირატესობა სოციალისტური შეჯიბრებისა; გარდა იმისა,
რომ ჩვენში გამარჯვებული ქების სიგელს და წითელი ატლასის სამკუთხა გარდამავალ
ვიმპელს დებულობს, თუმცა, ამბობენ, ახლა ესეც აღარააო. „კონკურენცია“ უკვე
ადარ ითვლება საღანძვად სიტყვად. სულ ახალხან გამოცემულ უცხო სიტყვათა ლექ-
სიკონში იგი განმარტებულია, როგორც შეჯიბრება ცალკეულ პირთა შორის ერთი და



იგივე მიზნის მისაღწევად, და არა მარტო გააფთრებული. წინააღმდეგობებით აღსავსე ბრძოლა კაპიტალისტურ საშუაროში, რაც შეიძლება მეტი მოგების მისაღებად, როგორც ეს განმარტებულია ადრინდელ დეკლარაციებში. ასე იცვლება აზროვნება. უცვლელად დარჩა მხოლოდ ჩემს დიპლომაში ჩაწერილი „სუთიანი“ პოლიტეკონომიაში, რომელიც არა ცოდნით, არამედ უფრო ჩემი გლახური ჩამომავლობის გამო მივიღე.

* * *

უცხოეთს პირველად შევხვედი ამ ოცდაათი წლის წინათ იტალიაში, სადაც საკუთარი თვალთი ვნახე პიზის დახრილი კოშკი და პომპეი, კოლიზეუმი და უფიცის გალერეა, ვენეციის გრანდკანალე და კაპრის ლაუნჯარდოვანი მღვიმეები. მაგრამ ჩემი ბედნიერება სრული არ იქნებოდა, რომ არ მეგეგმნა სახელგანთქმული ამერიკული სასამელი „კოკა-კოლა“, რომელსაც იმ დროს ჩვენთან უშვერი სიტყვებით აძაგებდნენ, თითქმის კაპიტალიზმის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ვიცოდი, შინდებარუნებულს აუცილებლად შემეცითებოდა, რა გემოსა ეს „კოკა-კოლა“? ამ განზრახვით შევედი რომის ერთ-ერთ იაფფასიან დუქანში. ცოტა არ იყო, შემაკრთო დადარულ ბოთლზე მიკრულმა ფასმა — 100 ლირა. გონებაში ჩვენს მანეთზე გადავახურდავე. 15 კაპიკი გამოვიდა. ეს არც თუ ძალიან ძვირი იყო, ერთი ჭიქა ლადიძის წყალზე დაახლოებით ორჯერ ზეტი. ყიდვა რომ დავაპირე, ვიტრინაში დავინახე ფერად-ფერადი ელასტური წინდები, ჩვენთან ახალშემოსული რომ იყო და ხელზე ათი მანეთი ღირდა. ესე იგი, მე ერთ ბოთლ „კოკა-კოლაში“ უნდა გადამხება იმდენი, რითაც ჩვენთან 200 ჭიქა ლადიძის წყალს იყიდდი. ცდუნება დიდი იყო, მაგრამ ფინანსური მოსაზრებით მე მაინც ელასტური წინდა ვიყიდე, რომელიც არაფრით არ გაცვთა და სულ ცოტა ხნის წინათ გადავუძახევი ყუთში სხვა ნახარ ნივთებთან ერთად.

საბჭოთა ტურისტის ტვინი საზღვარგარეთ არიფომეტრივით მუშაობს, იქაური ფახები მანეთზე და ჩვენებურ მანანლაზე გადაჰყავს, ძირითადად, რა თქმა უნდა, სპეკულანტურზე. ვადაანგარიშების ასეთი მეთოდი დღემდე გრძელდება იმ განსხვავებით, რომ სიტყვა „არაკონვერტულზე“ მაშინ წარმოდგენა არ გვექნა, ახლა კი დევლამ იცის, რომ საბჭოთა მანეთით ვერსად ვერაფერს იყიდი და მხოლოდ სუვენირად თუ გამოდგება.

მაგრამ „კოკა-კოლა“ ბოლოს მაინც ვიგემეთ. ეს იყო იტალიიდან გამოშვებების წინ. რომში არის ერთი ადგილი, რომელსაც „კარაკალას თერმებს“ ეძახიან. ეს არის სტადიონის მსგავსი იარუსებიანი ნაგებობა ანტიკური ნანგრევებით, სადაც ტურისტები-სათვის მართავენ საოპერო სპექტაკლებს. იმ საღამოს ვერდის „აიდას“ უჩვენებდნენ გამოჩენილი იტალიელი მომღერლების მონაწილეობით. აბა, უკეთესს რას ნახავდა კაცი! მე და გია გოკიელი (მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, ამჟამად უკვე ცნობილი პროფესორი) მივადექით საღაროებს. იმ დროისათვის უკვე შეჩვეული ვიყავით იტალიურ ფახებს, მაგრამ მაინც შევეცოყმანდით; ბილეთი ღირდა სამი-ოთხი ათასი ლირა; ამ ფულით შეგვეძლო მაშინ მოღამი ახლადშემოსული „ბოლონიის“ ბლაშჩის ყიდვა, რასაც ჩვენთან ათას — ათასსუთას მანეთს ფახებდნენ. ასეთი ფინანსურ-ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა, რა თქმა უნდა, ჩვენს ძალას აღემატებოდა. ის იყო, უკან გამობრუნებას ვაპირებდით, რომ საღაროსთან გამოკრული ფახების ნისრში შევამჩნიეთ რიცხვი — 250. ჩვენმა თარჯიმანმა — ლენამ აგვისანა, ეს ვარისკაცებისათვის განკუთვნილი ბილეთის ფასიარ. ისიც დავადგინეთ, რომ ამისათვის სრულდებოდაც არ იყო საჭირო აუცილებელი სამხედრო ფორმა, არც მოქმედების ჩვენება, საერთოდ, საზღვარგარეთ არსებობს დაუდგენელი წესი, რომ თითოეულ ადამიანმა უნდა იცხოვროს მისი მდგომარეობის შესაფერისად. გარეგნულად იტ

ლიელებსაგან დიდად არ განვსხვავდებოდით, ეთიკის ნორმების დარღვევის გამო კი სინდისის ქენჭნა, მაინცა და მაინც, დიდად არ გვიგრძნინა. ისე აღმოვჩნდით „კარაკა-ლას თერმებში“ და ვნახეთ მართლაც რომ დიდებული „აიდა“, სადაც ცოცხალი აქლემები დააბოტებდნენ და რადამესიც ასევე ცოცხალცხენებთან საომარი ეტლით შემოგრიალდა სცენაზე. იმდამინდელი შთაბეჭდილებებით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას გეტყვით, როგორ ვიგემეთ „კოკა-კოლა“. ძალზე ცხელია. ირგვლივ თერაკურტკიანი ასალგაზრდები ლანგრებით დაატარებდნენ გაყინულ „კოკა-კოლას“. ჩვენს გარშემო ტკაცუნით იხსნებოდა ბოთლები. მე და ვია გოკიელი კი ვისხედით ხახვამშრალები, ერთმანეთს თვალს ვარიდებდით და, ალბათ, ორივე იმაზე ვფიქრობდით, „კოკა-კოლა“ გვეყიდა თუ კიდევ ერთი ელასტური წინდა, რომლის ფასადაც რუსთაველის პროსპექტზე ორას ჭიქა ლალიძის წყალს დავლევდით. ისიც გვაწუხებდა, იტალიიდან დაბრუნებულებს, რა გვეთქვა შინაურებისათვის, მეგობრებისათვის, როცა გვეითხავდნენ, ერთი ვითხარბი, რა გემოსია ეს „კოკა-კოლა“? პირველმა ვიამ ვერ გაუძლო ცთუნებას, ხელი აიქნია და ჩვენს გვერდით მაშინვე გაჩნდა შეჭირბოლოებული ბოთლებით სავსე ლანგარი. ვიამ წამჩურჩულა (ვითომ ჩვენს ქართულს ვინმე მიხვდებოდა), ამ კაპიტალისტებს, ყველა თავისთვის რომ იხდის ფულს და ამხანაგსაც არ პატიუებს, ერთი ჩვენი ქართველობა ვაჩვენოთ, მე ვადავიხდი ორივე ბოთლის ფულსო. პირველი ბოთლი, როგორც წილოვანებით უფროსს, მე მომაწოდა, მეორე თვითონ დაიდა და იტალიური ლირები ამაყად დააძრო ჰიბიდან. ბოთლი მოვიყუდე, თავი ავსწიე, რომ სანატრიელი სითხე გამშრალ ხახვაში ვაღამეშვა, რომ ამ დროს ვიას გაცემული სხე და ფართოდ გახელილი თვალები დავინახე... ვერაფერს მივხვდი, მაგრამ ვიგრძენი, რომ მოხდა რაღაც მოულოდნელი და გამოუსწორებელი... ამან ისე ამაღელვა, რომ ვერც კი გავიგე, როგორ ჩაიცალა ხახვაში მთელი ბოთლი საოცნებო ნექტარი. ვია ერთ ხანს ხმას არ იღებდა. შემდეგ, მეორე მოქმედების დაწყების წინ, ისევ ჩურჩულით მიტხრა, აქ მორთმეული თითო ბოთლი „კოკა-კოლა“ ასი კი არა, ორასი ლირა ღირსო. იმ დღეს ორჯერ უფრო შევიძულე კაპიტალიზმი მისი მგლოური კანონების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის გამო. იმ ორი ბოთლი „კოკა-კოლას“ ფასად ხომ 400-400 ჭიქა ლალიძის წყალს დალევდა კაცი რუსთაველის გამზირზე!

* * *

ეს ამბავი ფლორენციაში მოხდა. სასტუმროს წინ ვიდექით. შორიდან გამოჩნდა დემონსტრანტთა კოლონა. ვიდაცამ ვვითხრა, ესენი ვაფიცულები არიანო. ცოცხალ ვაფიცულებს პირველად ვხედავდი. ცოტათი ვამიკვირდა, რომ მათ არც მრისხანე სახეები ჰქონდათ და არც „მარსელიოზას“ მღეროდნენ. პირიქით, მხიარულად იდიმებოდნენ და მომეჩვენა, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ კიდევ. არც ხმაღამოწვილი ცხენოსანი წებროვის დამცენი გამოჩნდიან. პირიქით, პოლიცია ორივე მხრიდან „ჰიპებით“ მოაცილებდა დემონსტრანტებს, წესრიგს იცავდა. ჩვენ რომ გავვისწორდნენ, უცებ ვაფიქრე, მე ხომ ვერასოდეს მოვესწრები ვერც ვაფიცვას, ვერც დემონსტრანტთა კოლონაში დადგომას. აი, ასლა მაქვს ერთადერთი იშვიათი საშუალება, უცხოეთში მაინც გამოვიყენო ეს კონსტიტუციური უფლება. რადგან ჩვენი ტურისტული ჯგუფიდან ვინმე საექვოთავანი ახლო-მახლო არავინ იყო, შევეუბრთდით დემონსტრანტებს. ვიდაცამ მხარზე ხელი დამარტყა, ალბათ, იტალიელად ჩამთვალა, გმადლობო, მეგობარო! მეორემ ყვითელ ქალღალღზე დაბეჭდილი პროკლამაცია შემომაჩენა. მივაბიჯებ და თან უკან ვინედები, რომ სასტუმრო არ დამპარგოდა თვალთა ხედვიდან. ბოლომდე ვაყოლაზე, ვაფიცვის გამარჯვებით დაგვირგვინებამდე, რა თქმა უნდა, არც მიფიქრია, ეს

პოლიტიკური აქცია იმიტომ გავითამაშე, რომ შემდეგ, ავტობიოგრაფიაში თუ არ ჩავ-
წერდი, მეთქვა მაინც, გაფიცვაში მაქვს მონაწილეობა მიღებული-მეთქი. წინ მოსახვედრ
გამოჩნდა, სასტუმრო მოეფარა თვალს და მეც ვუბანე, დემონსტრანტთა რიგები წელ-
ნელა დავტოვე, უკან ვიბრუნე პირი. ძახილი შემომესმა, მაგრამ იგი მეგობრულს არ
ჰგავდა, ალბათ, შტრეიკებენერად ჩამთვალეს. მე არც მომიხედავს, კიდეც უფრო ავუჩ-
ქარე ნაბიჯს. მართალია, იტალიელ გაფიცულთა რიგებში დავდექი, მშრომელთა ინტე-
რესების დასაცავად, მაგრამ მაინც საშარო საქმე ვიტყენე. ის პროკლამაცია არავისთვის
მიჩვენებია, ბევრი ვიფიქრე, წამომეღო თუ არა, საზღვარზე ხომ არაფერს მეტყოდნენ.
ვერ გავიხეტე დასატოვებლად, მაინც წამოვიღე და ბათუმში ვათარგმნინე. სატელიფო-
ნო საშსახურის მუშაკთა გაფიცვა ყოფილა, შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმ-
ჯობლებას მოითხოვდნენ. ერთ ხანს თავს ვიწონებდი, გაფიცვაში მიმიღია მონაწილეო-
ბა-მეთქი. დღეს უკვე ჩვენშიც ვიღას გააკვირვებ ამით, მაგრამ იმ პროკლამაციას ისევ
ვიწინავ.

* * *

ერთხელ სასტუმროს წინ, სკვერში, ვისხედით ჯგუფის ხელმძღვანელებთან ერთად.
სალამოს იტალიელ კომუნისტებს უნდა შეეხვედროდით და პროგრამას ვადგენდით.
ახლანდის, მხრებზე ქაღარა თმებდაყრილი არწივისსახანის კაცი გამოემართა ჩვენსკენ,
რუსულად მოგვესალმა, დაინტერესდა, საიდან და ვინ ვიყავით, შემდეგ თვითონაც
გაგვეცნო, რუსი ემიგრანტი ვარ (გვარი არ დაუსახელებია), ამჟამად რადიოსადგურ
„თავისუფალ ევროპაში“ ვმუშაობ, თანამემამულეების ჩამოსვლა შევიტყვე და, არ
შემეძლო, არ მენახეთო. შევატყვე, ჩვეს ხელმძღვანელებს არ ესააშოვნათ „მტრული
ხმების“ წარმომადგენლის გამოჩენა, იმ დროს არა თუ ასეთი შეხვედრა, „თავისუფა-
ლი ევროპის“ და „ამერიკის ხმის“ მოსმენაც არ იყო რეკომენდირებული. არადა, ეს
კაცი ისეთ შეკითხვებს გვაძლევდა, მათზე პასუხის გაცემის არც რწმუნება გვქონდა და
არც სურვილი. განსაკუთრებით მე შემომცქეროდა, ალბათ, ჩემი მწერლურ-ჟურნალის-
ტური პროფესიის გამო. თან კიდეც, ის დრო იყო, ნიკიტა ხრუშჩოვს კონფლიქტი რომ
მთოვდა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, სტალინის წინააღმდეგ და-
წყებული ბრძოლის პოლიტიკის შეწყვეტის გამო. მხოლოდ ახლა შემიძლია ვაღიარო,
რომ ის ემიგრანტი ჟურნალისტი ბევრ რამეში მართალი იყო, მაგრამ მაშინ საზღვარ-
გარეთ უოკელნაირად უნდა დავეცვა ქვეყნის პრესტიჟი. სტალინის და ბერიას ქა-
რთველობა რომ ახსენა და მთელი საქართველო აუგად მოიხსენია, მაშინ, ცოტა არ
იყოს, მართლა მომივიდა გული, ემიგრანტებიც მივალანძლე და მათი რადიოსადგურე-
ბიც თან მივაყოლე, მაშინ დამცინავი ღიმილით შემომხედა და თქვა: „ალაპარაკდა ქა-
რთული სისხლი!“ კონფლიქტს გამწვავება ემუქრებოდა. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი
სწრაფად წამოდგა და გამოაცხადა, ვახშობის დროაო; თუმცა ვახშობამდე ორი საათი
მაინც იყო დარჩენილი.

* * *

მინდა კიდეც ერთი საიდუმლო გავამხილო. მოგზაურობის ბოლო დღეს, დიდი ფიქ-
რისა და შინაგანი სულიერი ქვილილის შემდეგ, გადაწყვიტე იტალიაში დარჩენა, რო-
გორც ამბობენ, პოლიტიკური თავშესაფარის თხოვა. მაშინ ეს იშვიათი შემთხვევა იყო.
საზღვარგარეთ ტურისტად თუ მივლინებით გაგზავნილი თითოეული საბჭოთა მოქალა-
ქე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილებოდა, მისი ბიოგრა-

ფია, საბუთები გულდასმით მოწმდებოდა. მე უკვე წარმოვიდგინე, ჩემი დარჩენის გამო რამდენი უსიამოვნება შეხვდებოდათ რეკომენდატორებს სამსახურში და შემდგომ ორგანოებში, ჩვენი ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელებს, — სიფსიზლის მოდუნებისა და დოცლპაიობისათვის. ჩემს საქციელს, ალბათ, დაუკავშირებდნენ „თავისუფალი ევროპის“ წარმომადგენლის, რუსი ემიგრანტის გამოჩენას. ერთი სიტყვით, დიდი ამბები დატრიალდებოდა. მაგრამ სახელსაც უფრო გავითქვამდი, ვიდრე მოთხრობებისა და ნარკვევების წერით. არ ვფიქრობდი მხოლოდ ერთ რამეზე, ვის რაში ვჭირდებოდი აქ, რა უნდა მეკეთებინა: არავითარი ხელობა მე არ მქონდა და ენა მე არ ვიცოდი; მაგრამ მაინც გადავწყვიტე დარჩენა, ქალაქ ბოლონიაში, სადაც უკანასკნელი დამე უნდა გავგეთია, ხოლო დილაადრიაან მატარებლით ვავმზავრებულეთიყავით. ამისათვის საკმარისი იყო, გამოვცხადებულიყავი რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის საკონსულოში ან საპოლიციო უბანში, მაგრამ მე უფრო იოლი გზა ავირჩიე, მიმემართა პირველივე შემხვედრ პოლიციელისათვის. ამიტომ იტალიურად უნდა გამეუბნებინა: „მე ვარ საბჭოთა მოქალაქე, ჟურნალისტი, ვითხოვ პოლიტიკურ თავშესაფარს“. ეს წინადადება შევარწიწე რუსულ-იტალიური სასაუბროდან, რომელიც თან მქონდა. ნავასშემევს, როცა ტურისტები კინოდარბაზში მიიწვიეს, გამოვედი სასტუმროდან და გავყვივე ქუჩას. თან უკან-უკან ვიხედებოდი, ხომ არავენ ამეკიდა-მეთქი. ვიცოდი, რომ ყოველ ჯგუფს ახლდა ასეთი მეთვალთვალები. საუკვო არავინ ჩანდა. პატარა მოედანზე აღმოვჩნდი. თერთმუწარადიანი პოლიციელი არეგულირებდა დამის მანქანების მოძრაობას. მისკენ გავემართე. თან ჩურჩულით ვიმორებოდი ჩემს შორის სულ რამდენიმე პოლიციელმა თვალი მკიდა და ჩემსკენ ვამოემართა. ჩვენს შორის სულ რამდენიმე ნახიჯილა დარჩა... უცებ მომეჩვენა, რომ ხმამაღლა წარმოვთქვი ის ფრაზა პოლიტიკური თავშესაფარის თხოვნით. ამან ისე შემაშინა, რომ უცებ მოვტრიალდი და გავიქეცი, სასტვენის ხმა შემომესმა. მოვიხედე, პოლიციელი ჩემსკენ მოემართებოდა. მე უკვე გავბოდი, რაც ძალა და ღონე მქონდა, კიდევ კარგი, ჩვენი იაფფასიანი სასტუმრო სადღაც მივარდნილ გარეუბანში იყო და ირგვლივ არავინ მოჩანდა. ბოლოში რომ შევვარდი გულამოვარდნილი, ერთ ჩვენს ჯგუფელს შევეფეთე, სწორედ იმას, რომელთანაც მთელი მოგზაურობის დროს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა მქონდა. გვეუბნებოდა, კომპაგნიონის ცენტრალური კომიტეტიდან ვარო, მაგრამ, ვფიქრობ, იგი სულ სხვა კომიტეტიდან იყო. ხშირად მტუქსავდა, უფრო მეტს, ალბათ, ინიშნავდა, ზოგჯერ პროგრამას რომ გადაუხვევდი, იმ მოტივით, ჟურნალისტი ვარ და მე უფრო მეტი უნდა ვნახო, რომ დავწერო-მეთქი. განსაკუთრებით მას შემდეგ ამითვალისწინა, მე დავამ პირველი სტრიბტიზული ფილმი რომ ვნახეთ და მერე სხვებს ვუყვებოდი ამის შესახებ. მაგრამ ახლა მისი დანახვა ისე გამისარდა, ვითომც რომელიმე ჩემი ბათუმელი მეგობარი ყოფილიყო. ეკვიანად შემათვალისწინა, სად იყავი, რა მოხდაო? ერთი წუთით გარეთ გავედი და ვილაც მთვრალეები ამეკიდნენ-მეთქი. ხომ გეუბნებოდი, მართო გარეთ არ გავციდეო. დამტუქსა, მაგრამ ახლა მე ხმის ამომღები ვიყავი!

ასე დამთავრდა ჩემი პირველი ცდა, პოლიტიკური მოსაზრებით საზღვარგარეთ დარჩენისა. „პირველიო“ იმიტომ ვამბობ, რადგან შემდეგ კვლავ დავუბრუნდები ამ თემას. ყოველივე ეს იტალიაში, რა თქმა უნდა, გავითამაშე, რომ პარალელ განმეცადა, რასაც აღამიანი განიცდის ასეთ დროს, ვინმეო ოდესმე ანალოგიური სიტუაცია დამჭირდებოდა რომელიმე მოთხრობისათვის, ან პიესაზე მუშაობისას. მერე რამდენჯერმე დამესიზმრა ეს შემთხვევა და ყოველთვის იმ დროს მეღვიძებოდა, პოლიციელი ხელს რომ ჩამავლებდა წასაყვანად. მე კი იმდენი იტალიური არ ვიცოდი, რომ მეთქვა, მაპატიეთ, ვისუმრე-მეთქი. შინ დაბრუნებულს ძალიან ახლობლებისთვისაც არ მაიმბ-

ნია ეს, რადგან უკვე „ჩვენები“ უნდა დამერწმუნებინა, რომ ჩემი ეს პოლიტიკური აქცია ხუმრობა იყო და მეტი არაფერი. მაშინ ჩემთვის კარგა ხნით ჩაიკეტებოდა სახე-
ჯარი, თუკი ამას მაკმარებდნენ.

* * *

გინდ ლაჩერეთ, გინდ — არა, იტალიაში კლაუდია კარდინალესთან ერთად მაქვს გადაღებული ფოტოსურათი, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საქვეყნოდ აღიარებულ კინოვარსკვლავთან, რომელსაც ვენეციაში შევხვდი, უფრო სწორად, სრულიად შემთხვევით გადავეყარე. ფოტოგრაფთა და ფოტორეპორტიორთა მთელი არმია ეხოდა. სარეკლამო სურათებს იღებდნენ. ვიცოდი, საზღვარგარეთ უფრო ნალისტი სითამამე ჩვეულებრივ ამბად ითვლება, ამიტომ მეც გავერიე მარაქაში, კლაუდია კარდინალეს მივადექი და თარჯიმნის დახმარებით ავუხსენი, რომ ვარ არა რუსი (რეორც მას უთხრეს თავიდან), არამედ ქართველი, პროფესიით — ჟურნალისტი, რომ მას, კლაუდია კარდინალეს, ძალიან კარგად იცნობენ საქართველოში, ამასთან ქართველები მშვენიერების ღირსეული დამფასებლები არიან და საოცრად გაიხარებენ, თუ მისი ფოტო გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთებში. კლაუდიამ გადასარცად გაიღიმა და მისი ნათქვამი დაახლოებით ასე მითარგმნა ჩვენმა თარჯიმანმა ლენამ: მას სმენია ასეთი ქვეყანა — საქართველო და ბედის მადლიერი იქნება, თუ ოდესმე მოუხდება იქ წასვლა. მთხოვა, სალამი გადამეცა თანამემამულეებისათვის. ამასობაში ჩემი აპარატით რამდენიმე კადრი გადავიღე, შემდეგ აპარატი რომელიღაც პროფესიონალ ფოტორეპორტიორს მივაჩიე და მან აღბეჭდა ფირზე კლაუდია და მე. თავის მოწონება მინდოდა, აი, ასე ახლოს ვიცნობ კლაუდია კარდინალეს-მეთქი, მაგრამ ფოტოს გამოქვეყნება ვერ შევძელი, რადგან სამ დღეში საყველბუროდ ნახწავლი ჩემი ოსტატობა არ აღმოჩნდა საკმარისი ამისათვის. იტალიურ შთაბეჭდილებებშიც არ გამომიქვეყნებია ეს ეპიზოდი. აღარ ვიცი, რა მოტივით. ასე რომ, თავის მოწონება არ გამომივიღა. თუკი ვისმეს ეჭვი ეპარება, შემიძლია ვაჩვენო ფოტოსურათი, სადაც მშვენიერ კლაუდიასთან ვარ გადაღებული.

მცირე კომენტარი იტალიური შთაბეჭდილებების გამო.

აღმანახ „ლიტერატურულ აპარაში“ გამოვაქვეყნე აპენინის ნახევარსფერულზე მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ახლა ვფურცლავ ოცდაათი წლის წინანდელ შეყვარებულ ფურცლებს და გაცემა მიპყრობს. თითქმის არაფერი, რაც იტალიაში ვხსენ, მოვისმინე და განვიცადე, რაც დღემდე მასსოვს და ზოგჯერ ვყვები მეგობართა წრეში, თურმე არ გამომიქვეყნებია. ჩვენი გონება მაშინ ისე იყო მომართული, რომ თვითონვე ვუტყობავდით საკუთარ თავს, რომ აი, ამის დაწერა არ შეიძლება. თუ კი რაიმე ვაგვეპარებოდა“, რედაქტორი ვაჭკარავდა კალამს, შემდეგ საბოლოო სიტყვას იტყოდა: „შეწერა, რომელსაც რატომღაც შინაურულად ჰქვია — „მთავლიტი“. ახლა ვკითხვლობ ამ ნებადართულ შთაბეჭდილებებს და მიკვირს, რატომ არ შეიძლებოდა მაშინ მის გამოქვეყნება, რაც დღემდე არ დამიწყვებია. ესე იგი, განსაკუთრებით ძვირფასი და სასამსოვრებელი ჩემთვის?! ახლა ვასწორებ ამ შეცდომას.

* * *

აღუქსანდრე სოლუენციის „გულაგის არქივლაგის“ წაკითხვამ გამახსენა; რედაქციის წლებში ერთი კაცის დასაპატიმრებლად ასულან ზემო აპარაში (სახელს დასახელება არ ვასახელებ), მაგრამ იგი ვიდაცას გაუფრთხილებია და დამით გაპარულა. მისი კომენტები უგუნებოდ გამობრუნებულან, რადგან ობერაციის შეუსრულებლო-

ბისათვის მადლობას არ ეტყოდნენ. რაიონის ცენტრში შემთხვევით იმავე გვარისა და სახელის კაცი შეხვედრით და ის წაუყვანიათ, გაქცეულის მაგივრად გადასახლებული კაცი ათი წლის განმავლობაში სად არ წერდა განცხადებებს, საჩივრებს, ბეჭეტებს და ჭკერას უპირებით, ის კაცი მე არა ვარ, მამაჩემს პავლე კი არა, პეტრე ჰქვიაო, მაგრამ იმ დროს ასეთ წვრილმანს, აბა, ვინ მიაქცევდა ყურადღებას!

სულ ახლანან ერთმა ღრმად მოხუცებულმა ქალმა გამანდო თითქმის დაუჭრებელი ამბავი: რეპრესიის წლებში მბეჭდავ-მემანქანელ მუშაობდა იმ სახელმძღვანელო ორგანოს საიდუმლო განყოფილებაში, სადაც წინასწარ იცოდნენ, დამით ვინ უნდა დაეპატიმრებინათ. ერთ დღეს, მორიგ სიას რომ ბეჭდავდა, საკუთარი ქმრის სახელი ამოიკითხა. მე ვერ შევძელი ლოგინად ჩავარდნილი ქალისათვის დაწვრილებით გამოშვებისა, რა გადაიტანა, საკუთარი ბინის მისამართი, ქმრის გვარი, სახელი და მამის სახელი რომ გამოჰყავდა გახევებული თითებით თეთრ ქაღალდზე; ან შემდეგ, სამსახურიდან დაბრუნებული ცოლ-ქმარი რომ შეხვდა ერთმანეთს, ერთად ისაიღეს, სადამოს ზღვისპირა პარკში გასასიერებლად გაიყვანეს პატარა სვეტლანა, ხოლო დამით გულის კანკალით, ყოველ წუთს ელოდებოდა კარებზე დაკაკუნებას! როგორ შესძლო არ გაემხილა ქმრისათვის, რომ ამაღამ მის დასაპატიმრებლად მოვიდოდნენ. არ მქონდა ამის უფლებაო, მითხრა. ის ქალი ახლაც ცოცხალია, ამიტომ სავსებით გასაგები მიზეზით ვერ ვასახლებ მის ვინაობას. თუმცა, თვითონ მას ამის შესახებ არ უთხოვია.

* * *

ჩენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო ეფრემ სიდამონიძე, მამაჩემთან ერთად იჭრა სოლიკამსკის ბანაკში. მამა აბანოს გამე იყო, ბატონი ეფრემი — სამრეცხაოსი. თუ — პირიქით? ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეთა ლიდერებმა დაიყოლიეს სტალინი, შეეცვალა დამოკიდებულება რელიგიისადმი, შეღვათი გაეფრცვლებინა რეპრესირებულ სასულიერო პირებზე. მართლაც, ისინი ერთი-ორი წლით ადრე გაათავისუფლეს პატიმრობიდან. მაშინ ბატონმა ეფრემმა მამაჩემის წერილი ჩამოგვიტანა. მალე იგი ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტად დანიშნეს. ამასობაში მამაც დაბრუნდა გადასახლებიდან და ზოგჯერ ბატონი ეფრემი გვესტუმრებოდა ხოლმე. ფრიალ განათლებული და ენაწყლიანი კაცი იყო, სასულიერო პირისათვის საკმაოდ უჩვეულო იუმორით. ჩემი მეგობარი ჟურნალისტები და მწერლები სიამოვნებით ხვდებოდნენ მას ჩვენს ოჯახში.

* * *

ერთხელ რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ მეტად საპასუხისმგებლო დავალება მომცა: თბილისის მატარებელზე უნდა დავხვედროდი ფრანგების დელეგაციას და ამის შესახებ ინფორმაცია მომემზადებინა „ახალი ამბების“ დილის გამოშვებისათვის. ეს იყო საერთაშორისო მნიშვნელობის პირველი დავალება, ამიტომ მატარებლის ჩამოსვლამდე ერთი საათით ადრე გავედი ვაგზალში. შემდეგ სხვებიც მოვიდნენ, ადგილობრივი ხელმძღვანელები, იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვისთანაც ჩამოდიოდა დელეგაცია, ჟურნალისტები... მატარებელი დროზე ჩამოვდა. ტრადიციულ ცერემონიალის, მისაღმების, ყვავილების მირომების შემდეგ ჟურნალისტებმა თარგმანის რამდენიმე წუთით დავიმართხველეთ, დელეგაციის ხუთივე წევრის გვარი, სახელი და თანამდებობები ჩავიწერეთ. შემდეგ სტუმრები მანქანებში ჩასვეს და „ინტერესებისაკენ“ წაიყვანეს. ერთხელ კიდევ გადავხედე ჩანაწერს და ელდა მეცა: დელეგაციის



ოთხი წევრის ვინაობა ჩამეწერა მხოლოდ, ერთი მათგანი გამომჩენოდა! რა თქმა უნდა, ძალიან შევწუხდი. ახლა სტუმრები, ალბათ, უკვე საუზმობენ, როგორ გინდა, სუფრაზე მიაღდე! არადა, „ახალი ამბების“ გადაცემამდე სულ ნახევარი საათი იყო დარჩენილი. დაწერასაც ხომ უნდა დრო! ჩემი კოლეგები აღარ იყვნენ ირგვლივ. ერთი მათგანი დარჩა მხოლოდ, „საბჭოთა აჭარიდან“. მას საერთოდ არ ჩაეწერა ჩამოსულთა ვინაობა, რა ეჩქარებოდა, გაზეთის მორიგი ნომერი ორი დღის შემდეგ უნდა გამოხულიყო. დამამშვიდა:

— ასეთ დროს მთავარია, ჩამოსულები კი არა, ვინც იმათ დახვდა, ის არ გამოგრჩეს. ამას ძალიან განიცდიან ჩვენი ხელმძღვანელები.

ეს მირჩია და რამდენიმე დამხვდურის გვარი ჩამამატებინა ინფორმაციაში. შემდეგ, მართლაც, ბევრჯერ შემხვედრია უსიამოვნება, ვინმე რომ გამომჩენებოდა იმ ამხანაგთან, ვინც ჩამოსულებს ხვდებოდა, ან „მონაწილეობას ღებულობდა“ რომელიმე კრების თუ კონფერენციის მუშაობაში, თუმცა იმ ამხანაგის მთელი „მუშაობა“ იმაში გამოიხატებოდა, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში უხმოდ, უსაქმოდ იჯდა, ეგრეთ-ქოლებულ, საქმიან პრეზიდენტში.

* * *

ერთხელ ბათუმში ჩამოვიდა გამოჩენილი მათემატიკოსი, აკადემიკოსი, რომელთანაც თავისი საქმიანობით, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობით დაკავშირებული იყო ერთი ჩვენი მეცნიერი. ყურადღების გამოსახატავად საპატიო სტუმარი რადიოში მოიწვიეს მიკროფონთან სასაუბროდ. რატომღაც ინტერვიუს აღება მე დამაკისრეს. თავიდანვე გულახდილად გამოვუტყდი პატივცემულ აკადემიკოსს, რომ მთელი ჩემი განსწავლულობა მათემატიკურ მეცნიერებაში შემოიფარგლებოდა გამრავლების ტაბულით, ამიტომ შევთავაზე, გვესაუბრა უფრო განყენებულ საკითხზე, ვთქვათ, ლიტერატურაზე; თან, ვითომ შემთხვევით, ვახსენე, რომ ვარ ხაკავშირო მწერალთა კავშირის წევრი და ერთმა ჩემმა მოთხრობამ სულ ახლახან მიიღო ლიტერატურული პრემია. აკადემიკოსი მაშინვე დამთანხმდა, გაეხარა კიდეც, ძალიან კარგი იქნება თუ ცოტა ხნით მათემატიკას დამავიწყებთ და ლიტერატურაზე ვისაუბრებთო; დაინტერესდა, რომელი პერიოდის ლიტერატურაზეო? მეოცე საუკუნის-მეთქი, განვაცხადე ზოგადად. პოეზიაზე ხომ არ ვისაუბროთო? კი, ბატონო-მეთქი, მივუგე რამდენადმე ნირწამხდარმა. რა შეხედულების ხარო მანდელშტამზეო? ეს გვარი გამეგონა მხოლოდ, ამიტომ კვლავ ბუნდოვნად მივუგე, არა ვარ ცული შეხედულების-მეთქი. ცვეტაევა თქვენთვის უფრო ახლობელია თუ ახმატოვაო? ახლა უფრო უზუსტი პასუხი გავეცი, ორთავე-მეთქი. სანამ მესამე კითხვას დამისვამდა, დავასწარი, საქართველოში ხართ ჩამობრძანებული და ქართულ ლიტერატურაზე ხომ არ გვესაუბრა-მეთქი? კი, ბატონო, ქართული ლიტერატურა ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით პოეზიაო. (არაფრით ლექსს არ მოეშვა). ტიციან ტაბიძე და პოლო იაშვილი პასტერნაკმა შემაყვარა, რომელსაც კარგად ვიცნობო. იქვე წარმოთქვა რამდენიმე სტრიქონი რუსულად. თქვენ რა აზრის ხართ პოლოზე და ტიციანზეო? მე იმ აზრის ვიყავი, რომ ეს პოეტები მაშინ ჯერ კიდეც არ იყვნენ რეაბილიტირებული. მათი ლექსების კითხვა არა თუ რადიოთი, ორ კაცს შორისაც არ შეიძლებოდა. ამიტომ პატივცემულ აკადემიკოსს შევთავაზე, მოდი, ისევ მათემატიკური მეცნიერების პრობლემებზე ვისაუბროთ-მეთქი.

ერთხელ რამდენიმე ახალგაზრდა მწერალი თბილისში გაგვაზავანეს სემინარებზე. ჩვენი კავშირის ხელშეწყობაში პერსონალურად ასეთი უცნაური დავალება მომცა: რამდენჯერაც და სადაც არ უნდა შეხვედროდი გალაკტიონ ტაბიძეს, იმდენჯერ უნდა შემესხენებინა, რომ ბათუმში, ამა და ამ დღეს, დანიშნულია მისი საიუბილეო საღამო. ააქართველოში ასეთი საღამოების ჩატარების სურვილი ბევრს ჰქონდა და პოეტი, რ თქმა უნდა, არავის ეუბნებოდა უარს, საშიში იყო, დღეები არ დამთხვეოდა ერთმანეთს.

იმ დროს მწერლები დადიოდნენ მწერალთა კავშირში. თითქმის ყოველ დღე იღვა მაჩაბლის ქუჩაზე გალაკტიონის რუხი „პოზედა“. დააბიჯებდა პოეტი, სიცოცხლეშივე ლეგენდა, ახოვანი, ჭრ კიდევ შავი წვერით და ბავშვურად დამფრთხალი თვალებით. თითქოს უფელაფერი აინტერესებდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა. ჩვენს სემინარზე, რა თქმა უნდა, არ გამოჩენილა. ისე, ერთხელ ახალგაზრდა მწერლებში ჩადგა და ყური მიუგდო ჩვენს საუბარს, შემდეგ პაპიროსის კოლოფი ამოიღო და ყველას გაუწოდა. ერთი ახალგაზრდა პოეტი თამბაქოს არ ეწყოდა, მაგრამ გალაკტიონის მოწოდებულ პაპიროსზე უარს, აბა, როგორ იტყოდა, ასანთით კი არა, გალაკტიონის პაპიროსით გაუკიდა და უთხრა, იქნებ თქვენი პოეზიის ცეცხლი გადმო შემოხოს; შევატყვე, პოეტს ესამოვნა.

მე პატიოსნად ვასრულებდი დავალებას, ყოველდღე წარვეუდგებოდი პოეტს, ვინ ვიყავი, საიდან, და შევახსენებდი ბათუმში დანიშნულ საიუბილეო საღამოს. ჩემდა გასაოცრად, გალაკტიონი ყოველთვის ისე იღებდა ამას, თითქოს პირველად მხედავს და ბათუმში ჩასატარებელ საღამოზეც პირველად ესმისო.

ამოიღებდა კუთხებზეშეკვეთილ შავყდიან ბლოკნოტს და სადღაც ბოლო გვერდზე თუ გარეკანზე რაღაცას საგულდაგულოდ ჩიანიშნავდა. ისევე, როგორც გუშინ, ასე მეორედებოდა ყოველდღე; თან ბუტბუტებდა:

— ძალიან კარგი. აუცილებლად. კარგია ბათუმი. განსაკუთრებით, ზღვა. მიყვარს ბათუმი, მიყვარს აჭარა. „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“...

ეს იმ წიგნის სათაური იყო, აჭარაში რომ გამოუცეს ომის წლებში. ახლაც მას სოფს, შაქარს რომ ახვედნენ, ისეთ ქალღმერთად გამოცემული პოეტური კრებული. ამან დიდად გაახარა მაშინ პოეტი. ომის დროს ვის არ უჭირდა. მატერიალურადაც გაემართა ხელი. პოეტი ნესტორმა მალაფონია იყო იმ წიგნის შემდგენელი და რედაქტორი.

ბატონმა ნესტორმა ერთხელ მიაპო:

— თბილისში ვიყავი საგამომცემლო საქმეებზე. მწერალთა კავშირში ბატონ გალაკტიონს შევხვდი, მოიკითხა ბათუმი, იქაური მეგობრები, ერთხელ კიდევ გადაგინა მადლობა მისდამი ყურადღებისათვის, გამომშვიდობებისას მითხრა, თუ არ დაიხარებ, გამოიარე სახლში, თქვენს მიერ გამოცემული ჩემი წიგნი მინდა გისახსოვრო წარწერით. აბა, გალაკტიონთან მისვლას როგორ დავიხარებდი! ისიც ასეთი საჩუქრის მისაღებად!.. საღამოს მივადექი ბინას, ზარი დავრეკე; მეუღლემ გამიღო კარები; ვუთხარი, რომ ვარ ბათუმიდან. ბატონი გალაკტიონი დამპირდა, რომ მისახსოვრებდა ჩვენთან გამოცემულ პოეტურ კრებულს — „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. დიასახლისის ბინაში არ შევეუბატუებოვარ; გუშანთ შევატყვე, რომ პოეტი არ იყო მზად სტუმრის მისაღებად... ახლავეო, მითხრა, წავიდა და მალე დაბრუნდა ჩემთვის კარგად ნაცნობი წიგნით ხელში. გახარებულნი გამოვბრუნდი, მოედანი გადავჭერი, ლენინის ქუჩას ავუყუვე და შემდეგ „გადავალმ ძვირფასი საჩუქარი. წიგნის სატიტულო ფურცელზე ეწერა: „პარმენ ლორიას. მად-



ლოპათა და საუკეთესო სურვილებით. გალაკტიონი“. შემდეგ ბატონი ნესტორი მისთვის ჩვეული იუმორით ჰყვებოდა ამ ამბავს.

* * *

1968 წლის აგვისტოში საქართველოს ეწვია მიხეილ შოლოხოვი. იგი არა მარტო ისვენებდა, ბევრს მოგზაურობდა. გვაცნობეს, რომ ნატანებისა და შრომის სახელოვანი კოლმეურნეობების მონახულების შემდეგ იგი ჩამოვიდოდა ბათუმში. გადაწყვედა, მწერალს დაწვედნოდით გურია-აჭარის საზღვარზე. რა თქმა უნდა, რადიოც იქ უნდა ყოფილიყო. მაშინ უკვე გეჟონდა ისეთი ხმის ჩასაწერი აპარატი, რომლის მხარზე გადაკიდება შეიძლებოდა. მიხეილ შოლოხოვისათვის ინტერვიუს ჩამორთმევა მე დამევალა. რაც არ უნდა იყოს, ერთი კავშირის წვერები ხართო, მითხრა რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ.

დათქმულ ადგილას უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ამას დავმატა გამცილებლები გურიიდან. ისე აირია ერთმანეთში ყველაფერი, რომ მწერლამდე მიღწევა ვერ მოვახერხებ. ასეთ დროს გაზეთის მუშაკები ყოველთვის მომგებიან მდგომარეობაში არიან, შეუძლიათ შორიდან უტყვირონ ყველაფერს და მშვენიერი ინფორმაცია დაწერილის სვლის ან წეგის ნომრისათვის. მე კი აუცილებლად მჭირდება შოლოხოვის ხმა, თანაც საღამოს „ახალი ამბებისათვის“. მწერალს მაშინ მივუსწარი, როცა უკვე მანქანაში ჯდებოდა. აჭარის რადიოდან ვარ, მიხლოდა, რამდენიმე შეკითხვა მომიცა თქვენთვის-მეთქი. მაინც და მაინც დიდი სიხარული ვერ შევატყვე.

— მოგვიანებით, მოგვიანებით... — თქვა, შემდეგ დაუმატა: — იქნებ სულაც არაა საჭირო. ვიცი, რასაც მკითხავთ; თქვენც იცით, მე რას გიპასუხებთ. — რომ არ მწყენოდა, გამიღიმა: — მთელი დღე თქვენი სტუმარი ვარ. კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

სტელცარედი და გაბრაზებული დავბრუნდი რადიოკომიტეტში. არა თუ ინტერვიუს აღება, იმ ორიოდ სიტყვის ჩაწერაც ვერ მოვასწარი, მიხეილ შოლოხოვმა რომ მითხრა, მშრალი ინფორმაცია დაეწერე „ახალი ამბებისათვის“. შევიტყვე, რომ საპატრიო სტუმარს ნადიმს საღამაურში გაუმართავდნენ, ეგრეთ წოდებულ, მთავრობის აგარაკზე. მე არავის დავუპატიუებოვარ, მაგრამ საკუთარი თავი დავარწმუნე, როგორც ჟურნალისტს, მქონდა იქ მისვლის უფლება; თუმცა რამდენადმე დამამცირებლად მიმაჩნდა ეს; რადიოკომიტეტიდან ვალოდა ბოლქვაძე მასხდა მაგნიტოფონით.

სუფრა ზემო სართულზე იყო გაშლილი. მეც მიმიპატიუეს, მაგრამ მძლოლებს სოლიდარობა გამოვუცხადე და პირველ სართულზე მივუტყე მათ სუფრას. ორიოდ ჰქა ქინძმარაულმა მხნეობა შემმატა. ერთ-ერთ ხელმძღვანელს ვთხოვე, გადაეცა სტუმრისათვის, რომ მას ქვემოთ ელოდება კოლეგა, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი. შოლოხოვს უთქვამს, კოლეგას უარს ვერ ვეტყვიო, და მაშინვე დაეშვა ქვემოთ. სხვებიც წამოიშალნენ, მაგრამ ისინი სტუმარმა შეაჩერა, კოლეგას, ალბათ, მარტო ჩემთან სურს საუბარიო. რომ დმინახა, მაშინვე მიცნო და მითხრა:

— ხომ გითხარით, კიდევ შევხვდებით ერთმანეთსო.
მაგნიტოფონი რომ დაინახა, პირდაპირ იქითკენ გაემართა, მიკროფონს მიუჭდა და უქვა:

— მკითხეთ, რაც გნებავთ, ყველაფერზე გიპასუხებთ.
არც შემისხენებია, დილით რომ მითხრა, წინასწარ ვიცი, რასაც მკითხავთ, თქვენც კარგად იცით, რას გიპასუხებთო; ვუთხარი:

— მე არაფერს ვკითხავთ. რაც გნებავთ, ის თქვით, რასაც გრძნობთ, საქართველოში რომ ხართ.

შოლოხოვი, ალბათ, ამას არ მოელოდა, ღიმილი გაუქრა სახიდან, საკუთარ ფიქრებს ჩაუღრმავდა და ეს თქვა:

— ჩემს ურთერთობას საქართველოსთან ღრმა ფესვები აქვს. მე ერთ-ერთი ბედნიერთაგანი ვარ, ვისაც ძალზე ხშირად პირადი ურთიერთობა ჰქონდა ამხანაგ სტალინთან. სწორედ მან ჩამინერგა საქართველოსადმი სიყვარული. პირველად სტალინს შევხვდი საბჭოთა კავშირში მაქსიმ გორკის ჩამოსვლის დროს, როცა წყდებოდა „წყნარი ღონის“ მესამე წიგნის გამოცემის საკითხი. სტალინმა იგი გადაწყვიტა ჩემს სასარგებლოდ. მე არა მაქვს უფლება ჩავთვალო თავი მის მეგობრად, მაგრამ ყოველთვის ვიყავი პარტიის ერთგული წევრი და ყოველთვის კეთილად ვიგონებ მას. როცა სტალინი გორკთან ერთად წყვეტდა „წყნარი ღონის“ მესამე წიგნის გამოცემას, მაშინ მან წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვები, რაც შემდეგ შევიტანე წიგნში — „ისინი სამ შობილსათვის იბრძოდნენ“, როგორც კეშმარიტი გენიოსის წინასწარმეტყველება. გორკისთან შეხვედრის დროს, მან მომცა ორნიშნა ტელეფონის ნომერი, მაგრამ ვიცოდი რა მისი მოუცლელობის ამბავი, არასოდეს მისარგებლია ამ ტელეფონით. ერთხელ მოსკოვში ჩამოვედი ოჯახთან ერთად. ეს იყო ჩემი დაბადების დღე — 24 მაისი. საღამოს მან და მირეკა და მკითხა, რას აკეთებო. ვუპასუხე — ვფიზიკობ-მეთქი. შეგიძლიათ ჩემთან მოხვიდეთ? როცა ისურვებთ-მეთქი. მე გამოგიგზავნით მანქანას. რა ნომერი იქნება-მეთქი. მან გაიცინა და თქვა: — არ ვიცი. იქნება დიდი მანქანა. მართლაც მოვიდა დიდი მანქანა. მივედით აგარაკზე, სადაც თითქმის მთელი ღამე გავატარეთ ერთად. ვლაპარაკობდით ლიტერატურაზე, გორკის პიროვნებაზე. ბევრ საკითხზე ერთი აზრისანი ვიყავით. მხოლოდ გათენებისას გამოვტყედი, რომ 24 მაისი ჩემი დაბადების დღეა. მან მკითხა, ოჯახთან ერთად ვარ თუ არა ჩამოსული, შემდეგ აიღო კონიაკი, გაახვია ტკბილეული, ხილი, სერგეი მირონიჩის მიერ გამოგზავნილი დათვის ხორცის ძეხვი და გამატანა სასტუმროში. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სასიხარულოც იყო და ხანერვიულოც. სტალინთან სრულიად ფიზიკური ვიყავი. დავთვერი, როგორც კი შევედგი ფეხი ნომერში. მეორეჯერ სტალინს შევხვდი ჩემთვის ძალზე მძიმე დღეებში. ჩემს გარშემო დაიხლართა ინტრიგა. ამიტომ მივედი მასთან და ვკითხე: „იოსებ ბესარიონის ძეგ, მე კონტრრევოლუციური შეთქმულების ორგანიზატორი ვარ?“ მან გაიღიმა და თქვა: „თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ ეს დავიკრეთ?“ მან მაშინ დადებითად გადაწყვიტა ყველაფერი. უსაზღვროდ ვამაყობ მისი მამობრივი დამოკიდებულებით. მისი სიტყვები, რომ მე აუცილებლად უნდა მოვიწახულო საქართველო, ყოველთვის მახსოვდა. თვითონაც რამდენჯერმე მიმიპატუა საქართველოში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს ვერ შევძელი. ერთხელ, 1942 წელს, ავიაკატასტროფაში რომ მოხვდი, მან დამირეკა და მითხრა: „ჩადით ჩვენთან, საქართველოში“. მე ვუპასუხე: „ვერ ჩავლ საქართველოში. იქ ძალიან ბევრი ღვინოა“. მან თქვა: „ჩვენ ვუბრძანებთ, რომ ღვინო არ დავალევიან“. მაგრამ შეიძლება საქართველო ღვინის გარეშე! როგორც ხედავთ, მე ღრმა ფესვები მაკავშირებს საქართველოსთან, მის სიყვარულთან საქართველოსადმი, რაც მე ჩამინერგა. 1961 წელს, სრუშოვის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს ძალიან არ ესიამოვნებოდა, ჩამოვედი საქართველოში ანატოლისთან ერთად. ამით მე შევასრულე მისი ანდერძი, პატივი ვეცი მის ხსოვნას, მის სამშობლოში ჩასვლით. მეგობარი ყოველთვის მეგობრად რჩებოდა. ამჯერად მე უკვე მეორეჯერ ვარ საქართველოში. აქ სუფრაზე შეისხვა მეგობრობის სადღეგრძელო. მადლობას მოგახსენებ სიტობოსათვის, მეგობრობისათვის, ხელგაშლილი და გულგაშლილი სტუმართმოყვარეობისათვის. მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები და გრძნობები ხალხისადმი, რომელმაც შვა უდიდესი ადამიანი... მე მინდა შევხვა მისი ხსოვნის სადღეგრძელო“.

ქალაქზე გადატანილი ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, სრულყოფილად ვერ გადმოცემს მწერლის მაშინდელ განწყობილებას. ტელევიზიაც არ იყო იმ დროს. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, სტალინზე ლაპარაკის დროს, შოლოხოვის თვლები აუწყუნდა

ანდა, არა მგონია, ალკოჰოლის გამო; არადა, 1968 წლისათვის სტალინის პიროვნების გარშემო არსებობდა მტკიცე ოფიციალური აზრი, ბათუმში უკვე აღებული იყო მისი ძეგლი. ამ დროს კი, სრულიად უცნობი ადამიანების თანდასწრებით, ამხელა მწერალი ცრემლებს ღვრიდა სტალინის გახსენებაზე: მის გულწრფელობაში ეჭვი არ შემპარვია. ალბათ, მწერალს ჰქონდა ამის უფლება, შეიძლება ვალდებულიც იყო ცრემლი ეღვარა.

* * *

ერთხელ, ზაფხულის დამე იყო, რედაქციაში შემოვიდა შუახნის კაცი, რომელმაც რუსულად თქვა:

— გამარჯობა, მე ნაზიმ ჰიქმეთი ვარ.

რედაქციაში არც თუ იშვიათად მოდიოდნენ სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების, მაგრამ ერთნაირად თვალგანთვებული ადამიანები, რომლებიც ან ნაპოლეონად წარმოგიდგებოდნენ, ან მარშალ შუკოვად, ხან კიდევ მეცნიერად, რომელმაც იმ საყრდენ წერტილს მიაგნო, არქიმედე მთელი სიცოცხლე რომ ეძებდა დედამიწის გადასაყრავებლად.

მაგრამ ეს კაცი ნამდვილად არ ჰგავდა მათ. თან აღმოსავლური აქცენტით ლაპარაკობდა. ვილაცამ იცნო კიდევ თურქი მწერალი. თუმცა ყველას გაგვიკვირდა მისი ასე მოულოდნელი გამოჩენა, ყოველგვარი დარეკვისა და გაფრთხილების გარეშე.

— სულ ახლახან ჩამოვედი გაგრიდან. ჰოტელში მოვედი, მაგრამ ნომერი ვერ მომცეს, არ გვაქვსო. სად უნდა წავსულიყავი ამ დამით! გადავწყვიტე, ისევ რედაქციაში მოსვლა; რაკი ხვალ გაზეთი უნდა გამოვიდეს, ესე იგი, ვინმე კოლეგათაგანი იქნება მეთქი.

— ცხრაშეტი წლის ვიყავი, ანატოლიიდან ბათუმში რომ ჩამოვედი, — მოიგონა ჰიქმეთმა. — ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი. გემიდან გადმოსვლისთანავე თვალში მეცა სისუფთავე და სიმწვანე, უხვი მცენარეულობა. მომხიბლა ქალაქის ქალაკულმა დაგეგმვამ, მისმა ლარივით ქუჩებმა, ზურმუხტისებრი გორაკებიდან რომ იწყება და ზღვას ებჯინება. ბათუმში რამდენიმე დღე დავრჩი. დავებტებოდი მის ქუჩებში, ვაკვირდებოდი ადამიანების ცხოვრებას. ქაობიან, ქონხახებიან გარეუბნებშიც ვიყავი. ქალაქის მთავარ მოედანზე გამართულ მიტინგშიც ვმონაწილეობდი. ასეთი რამ არასოდეს მენახა. ტრიბუნიდან წარმოთქვამდნენ მსურვალე სიტყვებს. მე მათი შინაარსი არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი ხალხის გულითქმას. ბათუმში გავეცანი პირველად ქართულ კულტურას. მას შემდეგ ყურადღებით ვადევნებ თვალს ქართველი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების, რეჟისორების საქმიანობას. მე ჯერ კიდევ არ ვიცი ქართული ენა. იმედი მაქვს, ისე მაინც შევისწავლო, რომ ლექსიკონის დახმარებით შევძლო ორიგინალში კითხვა. მაღლობელი ვარ ჩემი ქართველი კოლეგებისა, მწერალთა ყრილობაზე მაჩუქებს რუსულად თარგმნილი ქართული პოეზიისა და პროზის რამდენიმე წიგნი.

შემდეგ ერთხელ კიდევ შევხვდი ნაზიმ ჰიქმეთს, ამჯერად უკვე მოსკოვში, სადაც მთელი დღე დავყავი მასთან. ჰიქმეთის ლექსების კრებული უნდა გამოცემულიყო ბათუმში და ზოგიერთი რამ იყო დასაუხსტებელი.

გამომშვიდობებისას მითხრა:

— გადაეცით ჩემი გულითადი სალამი ბათუმს, ბათუმელ მეგობრებს, ნე მათ მალე ვინახულენ.

მაგრამ მან სურვილი ვერ შეისრულა. 1962 წელს ნაზიმ ჰიქმეთი გარდაიცვალა.

ჟორჟ სიმენონი

ბაიეელი ქალბავონი

— დაბრძანდით, მადემუაზელ, — მეგრემ ამოიხსრა და ჩიბუსი გადადო გვერდზე. შემდეგ თვალი გადაავლო პროკურორის ბარათს: „ოჯახური საქმე. ყურადღებით მო. უსმინეთ ყველაფერს, რასაც გიამბობთ სესილ ლედრიუ, მაგრამ მოქმედებისას გამოიჩინეთ დიდი სიფრთხილე და დელიკატურობა“.

ამბავი ზღებოდა კანში, სადაც მეგრე ადგილობრივი პოლიციის რეორგანიზაციისათვის ჩავიდა, იგი ვერაფრით ვერ შეეგუა ნორმანდიული ქალაქის ცხოვრების წესს. არ ჰქონდა მოქმედების ის თავისუფლება, რომელსაც პარიზში გრძნობდა.

— გისმენი, მადემუაზელ.

მომხიბვლელი იყო ეს მადემუაზელ სესილი, ოდნავ ზედმეტადაც მომხიბვლელი. შავი სამგლოვიარო კაბა ხაზს უსვამდა მისი სახის სიფერმკრთალეს.

— თქვენი ასაკი?

— ოცდარვა წლისა ვარ.

— პროფესია?

— სჯობს, მე თვითონ ავიხსნით ყველაფერს... ობოლი ვარ და თხუთმეტი წლისამ მუშაობა დავიწყე, ჰერ მოახლედ. მაშინ, ჰერ კიდევ ნაწნავებს ვატარებდი და რიგიანად წერა-კითხვაც კი არ ვიცოდი.

მეგრემ ძლივს დაუარა გაცემა. ნათქვამი არაფრით არ შეესაბამებოდა ლედრიუს დახვეწილ გარეგნობას.

— შემდეგ ვიშოვნე სამუშაო მადამ კრუაზეისთან, ბაიეში. თქვენ გსმენიათ მის შესახებ?

— გამოგიტყდებით, არა.

ოჰ, ეს პროვინციანლები! თითქმის მთელი ქვეყანა უნდა იცნობდეს მათ ახლობლებს.

— მე კიდევ მოგიყვებით მადამ კრუაზეზე. ძალიან კარგად იყო განწყობილი ჩემდამი. დამარწმუნა, რომ შესწავლა, რათა ჩემგან რაიმე გამოსულიყო. მე მასთან ვცხოვრობდი არა როგორც მოახლედ, არამედ, როგორც კომპანიონი. ის მთხოვდა, დეიდა უოზეფინა დამიძახეო.

— მაშასადამე, თქვენ ცხოვრობთ ბაიეში, მადამ უოზეფინა კრუაზეისთან?

ქალიშვილს თვალზე ცრემლი მოადგა.

— ახლა ყველაფერი დამთავრდა. — სესილმა ცხვირსახოცით მოიწმინდა ცრემლები.

— დეიდა უოზეფინა გუშინ გარდაიცვალა აქ, კანში. ამიტომაც მოვედი თქვენთან, რომ მომეყოლა მკვლელობის ამბავი და...

— მომიტკვეთ. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მადამ კრუაზეი მოჰკლეს?

— შემძლია ამის ფიცი მოგცეთ.

— და თქვენ შეესწარით მკვლელობას?

— არა.

— თქვენ ვილაცამ ვიამბოთ ამის შესახებ?

— ჩემმა დეიღამ...

— მაპატიეთ, დეიღამ გითხრათ, რომ ის მოჰკლეს?

— რას ამბობთ, კომისარო! მე მშვენივრად მესმის ჩემი სიტყვების უცნაურობა. დეიღას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, თუ რაიმე შეემთხვეოდა, რეკოლეს ქუჩაზე მდებარე სასლში, სასწრაფოდ მოითხოვე გამოძიების დაწყებაო.

— მოითმინეთ, გეთაყვა. რას ნიშნავს „რეკოლეს ქუჩაზე მდებარე“?

— ეს მისი ღისწულის, ფილიპ დელიჟარის სახლია. დეიღა უოწმებდა რამოდენიმე კვირით ჩამოვიდა კანში. კბილები უნდა ჩაესვა. სამოცდარვა წლის ასაკში მან პირველად მიმართა ექიმს. დეიღა თავის ღისწულთან გაჩერდა, მე კი ბაიეში დავრჩი, ფილიპი ვერ მიტანს.

ქალაქის ფურცელზე მეგრემ ჩაიწერა: „ფილიპ დელიჟარი“.

— რამდენი წლისაა დელიჟარი?

— ორმოცდა ოთხის ან ორმოცდა ხუთისა.

— რას საქმიანობს?

— არაფერს. მას გვარიანი ქონება ჰქონდა—უფრო სწორედ, მისი მეუღლის ქონება, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, სულ რამოდენიმე წელიწადში ამ ქონების მხოლოდ მოგონებაა დარჩა. მიუხედავად ამისა, ის აგრძელებს ცხოვრებას რეკოლის ქუჩაზე მდებარე ღიდ სასლში, ჰყავს მხარეული, ლაქია და მძღოლი. ფილიპი ხშირად ჩამოდიოდა დეიღასთან ბაიეში ფულის სათხოვნელად.

— და ის აძლევდა ფულს?

— არასდროს არ მიუცია. დეიღა ეუბნებოდა: „მოითმინე, აი, როდესაც მე მოვკვდები...“

ქალიშვილი ჰყვებოდა, მეგრემ კი შეაჯამა პირველი შედეგები. ბაიეში, ტაძრის შორიანხლოს, ერთ-ერთ პატარა მყუდრო ქუჩაზე, სადაც გამვლელთა ფეხის ხმაც კი არხვედა ფანჯრების ფარდებს, ცხოვრობდა მადამ უოწმებდა კრუაზე, უიუსტენ კრუაზეც ქვრივი.

მისი ვამდიდრების ამბავი ძალზედ უბრალო და ამასთანავე მეტად უჩვეულოც იყო. მისი მეუღლე, წვრილი მოხელე, ძალზედ გატაცებული იყო სხვადასხვა სახის დაწვდევებით, რაც ახლობელთა დაცინვის საგანს შეადგენდა.

ერთხელ, თავის ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად, მან გემით გამგზავრება გადაწყვიტა საუტრემეტონში. ზღვაზე ღელვა იყო, გემი ირწოდა, საბრალო კრუაზე იმე წონასწორობა დაკარგა, კაპიტნის ჯიხურს შეეჭახა, თავი გაიჩენა და იქვე დალია სული. ვასაკვირი ის იყო, მისმა ქვრივმა, სულ მალე მილიონ ფრანკამდე მიიღო სხვადასხვა სადაწვდევო კომპანიისგან.

ამ დღიდან უოწმებდა კრუაზე ერთადერთი საზრუნავი იყო, თვალ-ყური ედევნებინა, თუ როგორ იზრდებოდა მისი სიმდიდრე. ძალზე გაუმართლა და იმასაც ამბობდნენ, ანგარიშზე უკვე ოთხი თუ ხუთი მილიონი ფრანკი აქვსო.

მისმა ღისწულმა, ფილიპ დელიჟარმა, იმით დაიწყო, რომ ცოლად შეირთო ძალზედ მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი, იყიდა და დიდი ფუფუნებითაც მოაწყო უზარმაზარი სახლი, რომელიც კანის სიამაყე გახდა. მაგრამ მისი საქმიანი წამოწყებანი მეტად წარუმატებელი აღმოჩნდა. დადიოდა ხმები რომ უკვე სამი თუ ოთხი წელი იგი ნისიად ცხოვრობდა, მემკვიდრეობის იმედით, ვალს დიდი პროცენტებით იღებდა.

— მაშ ასე, მადამუაზელ ლედრიუ, თქვენი ბრალდების ერთადერთი საფუძველი ის არის, რომ ფილიპს ფული სჭირდებოდა?

— მე ხომ უკვე გითხარით, მადამ კრუაზიემ მთხოვა, თუ რაიმე შეემთხვევოდნენ კოლეს ქუჩაზე...

— მაპატიეთ, მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, რომ მხოლოდ მოხუცებული ქალის შიშით ვერ გამოდგება ბრალდებისათვის. ხომ არ აჯობებს, ფაქტებს მივმართოთ?

— დეილა გუშინ გარდაიცვალა, საღამოს ხუთ საათზე, ირწმუნებიან, გულის შეტევივით.

— მას ავადმყოფი გული ჰქონდა?

— არა იმდენათ, რომ ამას სიკვდილი გამოეწვია.

— თქვენ იმ დროს ბაიეში იყავით?

მეგრეს მოეჩვენა, თუმცა, შეიძლება, ცდებოდა კიდევ, რომ სანამ უპასუხებდა, ქალიშვილი ოღნავ შეეოვნდა.

— არა... მე ვიყავი აქ, კანში.

— მაგრამ, თქვენ ხომ განაცხადეთ, მადამ კრუაზიეს აქ ჩამოსვლის დროს არ ვახლოდი.

— ეს მართლა, მაგრამ ბაიედან კანამდე სულ რაღაც ნახევარი საათია ავტობუსით, მე კი საყიდლები მქონდა.

— და თქვენ არ გინახიათ დეილა?

— არა, მაგრამ მე შევიარე რეკოლეს ქუჩაზე.

— რომელ საათზე?

— დაახლოებით ოთხზე. მიპასუხეს, რომ მადამ კრუაზიე სახლში არ იყო.

— ვინ გითხრათ ეს?

— ლაქიამ.

— მან სახლის პატრონს ჰკითხა?

— არა, თვითონვე მიპასუხა.

— მაშასადამე, ეს ან სიმართლე იყო ან მან წინასწარ მიიღო მითითებანი.

— მეც ასევე ვიფიქრე.

— და სად წახვედით შემდეგ?

— მე ბევრი წვრილმანი მქონდა საყიდელი. მერე ბაიეში დავბრუნდი. დღეს კი, როდესაც ადგილობრივ გაზეთს ვკითხულობდი, შევიტყვე დეილას გარდაცვალება.

— უცნაურია...

— მაპატიეთ?

— მე ვამბობ, უცნაურია-მეთქი. ოთხ საათზე გითხრეს, დეილა სახლში არ არისო, თქვენ ბრუნდებით ბაიეში და მეორე დღით გაზეთიდან გეზულობთ, რომ თქვენი მისვლიდან სულ ცოტა ხნის მერე იგი გარდაიცვალა. მე სწორად მიგინვდით, მადამუაზულ ლედრიუ, თქვენ ოფიციალურად თხოულობთ გამოძიების დაწყებას?

— დიახ, კომისარო. მე დიდი ფულის პატრონი არა ვარ, მაგრამ ყველაფერს გავწირავ, რათა გაირკვეს სიმართლე და დამნაშავე დაისაჯოს.

— მომითმინეთ. ახლა სწორედ თქვენი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, შემიძლია გკითხოთ, რა შემკვიდრეობა გრჩებათ პირადად თქვენ მადამ კრუაზიეს სიკვდილის შემდეგ?

— არავითარი. მე თვითონ ვადგენდი ანდერძს და უარი განვაცხადე რაიმე მიმეღო დეილასგან. სხვანაირად არავინ დაიჭერებდა მისადმი ჩემს უანგარო დამოკიდებულებას.

ეს სიტყვები ზედმეტად დამაჭერებლად გაისმა, რომ ქეშმარიტი ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავად ყველა ცდისა, მეგრემ ვერავითარი ბზარი ვერ გამოუნახა ლედრიუს ჯავშანს.



- გამოდის, რომ თქვენ სულ უსახსრებოდ დარჩით?
- მე ეს არ მითქვამს, კომისარო. მე ვიღებდი გასამრჯელოს, როგორც მაღამ კრუჩოვს კომპანიონი. თითქმის არაფერს ვხარჯავდი, ასე რომ, შემდეგ ფულის გადადება შავი დღისათვის. მაგრამ, ვიმეორებ, მზადა ვარ ყველაფერი უკანასკნელ სუბედ დავხარჯო, რათა შური ვიძიო დეიდას გულინათვის.
- ნება დამართეთ კიდევ ერთი კითხვით მოგმართოთ. მეშვედრე ფილიპია, არა? ახლა დავუშვათ, რომ მან მოჰკლა საკუთარი დეიდა. ასეთ შემთხვევაში იგი კარგავს მემკვიდრეობის უფლებას. რა მოუვა იმ მილიონებს?
- ისინი შეეწირება ობოლი ქალიშვილების აღზრდას.
- მაღამ კრუჩოვის ანტერესებდა ქველმოქმედება?
- მას ეცოდებოდა მარტოხელა გოგონები, იცოდა რა საშიშროება მოელოდათ მათ.
- თქვენი მაღლობელი ვარ, მადემუაზელ.
- ესე იგი, თქვენ იწყებთ გამოძიებას?
- მე ზოგიერთ რამეს. შევამოწმებ. და თუ საჭიროდ ჩავთვლი... სად შეიძლება თქვენი მოძებნა?
- გავხეებთ ორი დღის შემდეგ შედეგება. მე აქ ვიქნები, კანში, მის გვერდით...
- ფილიპი?
- ჩვენ ერთმანეთს არ ველაპარაკებით. მე ვლოცულობ და... ცოტას ვტირი... ღამის გავათევ წმინდა გიორგის სასტუმროში.

* * *

მეგრე აბოლებდა და ყურადღებით ათვალიერებდა მეტად შთამბეჭდავ ნაცრისფერ სახლს, რომელსაც ამშვენებდა ალაყაფის მოჩუქურთმებული კარები და ბრინჯაოს შანდლებიანი სადარბაზო შესასვლელი.

ქალიშვილთან საუბრის შემდეგ გავიდა ერთი დღე-ღამე. მეგრეს დრო დასჭირდა თავისი საქმეების დასამთავრებლად პოლიციის სამმართველოში. მან გადაწყვიტა თვითონ მოეკიდა ხელი გამოძიებისათვის. შიშობდა, რომ ადგილობრივი პოლიციის ნებისმიერი ინსპექტორი ზედმეტი სერიოზულობით მოეკიდებოდა პროკურორის თხოვნას. მეგრე გრძნობდა — ეს მისი საქმე იყო, მაგრამ სინანულით აღიარებდა, რომ გამოძიების ჩატარება მოუხდებოდა ისეთ მაღალ საზოგადოებაში, სადაც მისი საყვარელი ჩიბუხი მეტად უადგილოდ გამოჩნდებოდა.

სახლში შესვლამდე კიდევ რამოდენიმეჯერ მოქაჩა ჩიბუხი, თან სამძიმარზე მოსულ კანის გაბღენძილ ბურჟუებს ათვალიერებდა.

მეგრემ ჩიბუხი მსუბუქი ფხსაცმლის ლანჩაზე გამობერტყა და სადარბაზოში შეაბიჯა, გვერდი აუარა სავიზიტო ბარათებით გაჭედვით ვერცხლის ლანგარს, გადაჭრა თეთრი და ცისფერი ფილებით მოპირკეთებული ვესტიბული და შეჩერდა დიდ, შავით მოფარდაგებულ კართან, კუბოს წინ, ყვავილების, სანთლებისა და შავი ფიგურების გარემოცვაში.

ანთებულ სანთლებსა და ქრიზანთემების სურნელებას უკვე შეექმნა სათანადო ატმოსფერო. ამას ემატებოდა რაღაც ამაღლებული შეგრძნება, რომელიც ადამიანებს ეუფლება მართლმსაჯულებისა და სიკვდილის პირისპირ.

სესილ ლედრიუ კუთხეში ჩაჩოქილიყო. სახე დაეფარა შავი ვუალით, რომელიც საკმაოდ გამჭვირვალე იყო, რომ ხაზი გაესვა მისი სახის სერიოზულობისთვის. ტუჩები იმეორებდნენ რაღაც ლოცვას, თითები კი გაუჩივრებლად ათამაშებდნენ ქარვის კრიალოსანს.

შავ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი, ოდნავ შეშუპებული მოწითალო ქუთუთოვანი რომ ჰქონდა, მეგრეს ათვალიერებდა, თითქოს წონინდა, ჰქონდა თუ არა მას საქციელის უფლება.

— მუსიე ფილიპ დელიუარი? მე კომისარი მეგრე ვარ, თქვენ რომ შეგეძლოთ დავეთმით ჩემთვის რამოდენიმე წუთი...

მეგრეს მოეჩვენა, რომ ფილიპმა მტრული მზერა სტყორცნა ქალიშვილს.

— მომყევით, კომისარო. ჩემი კაბინეტი მეორე სართულზეა.

მარმარილოს კიბე მშვენიერი ჰელური მოაჯირით. აბრეშუმი კედლებზე. უზარმაზარი კაბინეტი იმპერიისდროინდელი ავეჯით, ბაღში გამავალი სამი დიდი ფანჯარა.

— დაბრძანდით, გთავაზობ, ვგონებ, თქვენ ვიზიტს უნდა ვუმადლოდე იმ ქალიშვილის სრიკებს?

— თქვენ მხედველობაში გყავთ მადემუაზელ სესილ ლედრიუ?

— დიას, მე ეს ქალბატონი მყავს მხედველობაში, მართალი ვითხრათ, მან მოახერხა გარკვეული დროის განმავლობაში უარყოფითი გავლენა მოეხდინა ჩემს დეიდაზე, ვნებავთ სივარა?

— არა, გმადლობთ. თქვენ ამბობთ, გარკვეული დროის განმავლობაში... ნიშნავს ეს, რომ უარყოფითი გავლენა არ ყოფილა სანგრძობივი?

მეგრესათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა ფილიპის ყურადღებით შესწავლა. იგი ნებისმიერი პროვინციული ქალაქის ტიპიური წარმომადგენელი იყო. მიდიდარი ბურჟუა, რომელიც ყველაზე დიდ დროს უთმობს თავის შესახედობას, ტანსაცმლის იდეალურ შეკერილობას, ლაპარაკისა და მისრა-მოხრის დახვეწილობას, რაც მას უბრალო მოკვდავთაგან გამოყოფს. ის გლოვის დროსაც ინარჩუნებდა ელეგანტურობას.

— თქვენ უნდა გამოგოთ, კომისარო, თუ რა მიმივა პოლიციელის ხილვა საკუთარ სახლში ასეთ მწუხარების უამს, მაგრამ მე პასუხს გავცემ ყველა თქვენს კითხვას. მინდა, რომ ეს საქმე რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს და სესილმა მიიღოს დამსახურებული სახელედი.

— ამით რისი თქმა გინდათ?

— როდესაც დეიდამ ჩვენთან სტუმრობა გადაწყვიტა, მე შევთავაზე კომპანიონიც წამოეყვანა. ჩვენი სახლი ამისათვის საკმაოდ დიდია. მაგრამ დეიდამ გადაჭრით იუარა, უფრო მეტიც, მან საიდუმლოდ გამანდო, დიდი ხანია სესილის თავიდან მოშორება მინდაო.

მეგრემ თავი ვერ შეიკავა. კაბინეტის მორთულობამ, ფილიპის ლაპარაკის მანერამ აიძულა ჩაებურთყუნებინა: „როგორი ცრუ შეიძლება იყოს ადამიანი!“ სახლის პატრონმა ვერ შეატყუო ირონია კომისარის სიტყვებს.

— ადრე თუ გვიან დეიდა გაწყვეტდა კავშირს ამ არსებთან, რომელიც ცდილობდა განხეთქილება ჩაეგდო ჩვენს შორის.

— ასეც იყო საქმე?

— დიას, აი, მაგალითად, მან დამასმინა დეიდასთან, საყვარელი ჰყავსო, ვილაპარაკოთ, როგორც მამაკაცებს ეკადრებათ, კომისარო. ნუთუ გაუგებარია, რომ ჩემს ასაკში და ჩემს მდგომარეობაში სავსებით ბუნებრივია... რა თქმა უნდა ყოველგვარი განხურების გარეშე... როგორც ჭენტიმენი... მაგრამ საწყალ დეიდას, წესიერებაზე თავისი შეხედულება რომ ჰქონდა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ამის გაგება.

— და სესილმა უამბო მას ამის შესახებ?

— აბა, მეტი ვისგან უნდა გავგო დეიდას? მაგრამ, გეტყვით, ეს მეტად სულელური სვლა იყო მისი მხრიდან, ლალატი თვით სესილის წინააღმდეგ შემობრუნდა, როდესაც

დღეიდან ვაიგო, რომ მისი უმანკო კომპანიონი მისივე ქერქვეშ სვდებოდა ახალგაზრდ
კაცს, რომლის ოჯახიც...

— სესილს საყვარელი ჰყავს?

თუმცა მეგრეს აღშფოთება გულწრფელი არ იყო, მან საკმაოდ დამაჯერებლად გა-
ითამაშა იგი და შემოხვევით ისარგებლა, ჰიბიდან ჩიბუხი რომ ამოეღო.

— სულ ცოტა, ორი წელია! ორი წელია, რაც ისინი ყოველ ხალამოს სვდებიან ერთ-
მანეთს! მას უკ მეტსიე ჰქვია, მეგობართან ერთად რაღაც სატრანსპორტო საწარმო აქვს
და საჭიროა ხაზი გაეხვას, რომ მისი მშობლები რამდენიმე წელია მთლიანად გაკოტრდ-
ნენ.

— ძნელი დასაჯერებელია! და თქვენ უამბებთ ამის თაობაზე დღეიდან?

— რა თქმა უნდა, რატომაც არა! განა ეს ჩემი ვალი არ იყო?

— უსათუოდ.

— და სწორედ მაშინ დღეიდან საბოლოოდ გადაწყვიტა დაშორებოდა სესილს. მაგ-
რამ არ გაუშხვლია, ვინაიდან შურისძიებისა ეშინოდა. შევთავაზე, ჩვენთან გადმოდი-
მეთქი, მზად ვიყავი, მისთვის მეორე სართული დამეთმო.

— და როდის ისაუბრეთ დღეიდანთან ამის თაობაზე?

— როდის?.. ჰო, გუშინწინ.

— და შეთანხმდით?

— კი, ძირითადად შევთანხმდით.

— მაგრამ, რამდენადაც მე მესმის, თქვენ არ ხდებთ ბრალს სესილს დღეიდან
მკვლელობაში?

— მე უმეცველად გავაკეთებდი ამას, დარწმუნებული რომ არ ვიყო დღეიდანის
გარდაცვალების ბუნებრივობაში.

— კიდევ ერთი შეკითხვა, მუსიე დელიჟარ. თქვენი დღეიდან გარდაიცვალა სუთი სა-
ათისათვის?

— ოდნავ მოგვიანებით. ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრა მეუღლემ. მე თვითონ იმ
დროს სახლში არ ვახლდით.

— კარგი. მაგრამ ოთხ საათზე მადამ კრუაზე სახლში არ იყო?

— ყოველდღე, ოთხი საათისათვის კბილის ექიმთან მიდიოდა.

— თქვენ არ იცით, როდის დაბრუნდა დღეიდან სახლში?

— სუთი საათისათვის, რამდენადაც ვიცი. შეტევა სახლში დაბრუნებისთანავე დაე-
წყო. გარდაიცვალა, ხანაშ დახმარების აღმოჩენას მოახერხებდნენ.

— ეს მის საძინებელ ოთახში მოხდა?

— დიას, დიას, მეორე სართულზე, ლუდოვიკო მეთოთხმეტის ოთახში.

— და თქვენი მეუღლე მასთან იყო?

— იგი მაშინვე ავიდა, როგორც კი დღეიდან ოთახის კარი გამოაღო და შეველა
ითხოვა.

— უფლება მომეცით გკითხოთ, სად იყავით თქვენ ამ დროს?

— ვიმედოვნებ, კომისარო, ეს თქვენი კითხვები არ ნიშნავს, რომ მე დაკითხვაზე
ვარ? გაითვალისწინეთ, მე არ დავუშვებ არავითარ დაკითხვას.

— რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ჩვენ უნდა დავამტკიცოთ მადემუაზელ სესილის გან-
ცხადების აბსურდობა.

— ო, რა თქმა უნდა.. მე ვიყავი ჩემს კლუბში. სახლიდან სუთის ნახევრისათვის გა-
ვდივარ და ფეხით მივდივარ ქალაქში, სუთ საათზე ვუჭდები ბრიჯის მაგიდას, სოდ-
რის ნახევარზე მოდის მანქანა და სახლში ვბრუნდები.

- უბედურების შესახებ თქვენ კლუბში შეიტყვეთ?
- დიახ, ასე იყო.
- და როდესაც შინ დაბრუნდით...
- დეიდა უკვე გარდაცვლილიყო და მასთან ექიმი დამხვდა.
- თქვენი ექიმი?

— არა. ის ძალზედ შორს ცხოვრობს. მეუღლემ გამოიძახა ექიმი, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა, მაგრამ მას უკვე შველა აღარ შეეძლო.

- თქვენი შინამოსამსახურებები?

— არსენს, მძღოლს, გამოსასვლელი ჰქონდა. ლაქია პირველ სართულზე იყო, მზარეული კი, ვიმედოვნებ, სამზარეულოში. გაქვთ კიდეც კითხვები? ვალდებული ვარ მათთან ვიყო, ვინც ჩემთან სამძიმრის სათქმელად მოვიდა, ყოველ წუთს, შეიძლება, მოვიდეს ქალაქის მოსამართლე, ჩემი კლუბის პრეზიდენტი. ვფიქრობ, ყველაზე უკეთესი იქნება მკაცრად გავაფრთხილოთ სესილი, თუ კი იგი კვლავ გააგრძელებს ცილისწამებას, მე მის დაპატიმრებას მოვითხოვ.

ფილიპ დელიუარს ალბათ გაუკვირდა მეგრეს ტუჩებზე გამკრთალი ღიმილი. კომისარი უკვე რამოდენიმე წუთია არ აშორებდა თვალს ბუნჩის თავზე ჩამოკიდებულ სარკეს, რომელშიც აირეკლებოდა ფარდით დაფარული კარები, ფარდა რამოდენიმეჯერ შეირხა და ინსპექტორმა შენიშნა გაფითრებული სახე, რომელიც მხოლოდ მაღამ დელიუარის შეიძლება ყოფილიყო. მეგრე ფიქრობდა, გაიგონა თუ არა მაღამ დელიუარმა მისი მეუღლის „მამაკაცური“ აღსარება.

- ნახვამდის, კომისარო. ვიმედოვნებ, იმ განმარტებების შემდეგ, რომელიც მიუღებელი ვიყავი გამეკეთებინა, გლოვას შემდგომში აღარ დამირღვევთ, ლაქია გააცილებთ გასასვლელისაკენ.

ფილიპმა ზარი დარეკა, პოლიციელს ძუნწად თავი დაუკრა და დინჯად გავიდა ფარდით დაფარულ კარებში.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მეგრე პროკურორის კაბინეტში იჯდა და სინანულით ათამაშებდა ჭიბეში ჩიბუხს. კანის პროკურორს არც ისე იოლად გაუბედავდნენ კაბინეტში მოწევას.

- აბა, კომისარო, თქვენ გაესაუბრეთ ქალიშვილს?
- და არა მარტო მას.
- და რა აზრისა ხართ? სისულელეა, არა?

— პირიქით. მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ საბრალო მოხუცმა ჩვენი ცოდვილი ქვეყანა სხვისი დაზმარებით დატოვა. მაგრამ ვინ დაეხმარა მას? ეს არის გასარკვევი... და კიდეც ერთი, თქვენ ნამდვილად გნებავთ სიმართლის გაგება?

ფრანგულიდან თარგმნეს თინან სარჯველაძემ და გივი კახკაპიოვიძემ.

(გაგრძელება იქნება)



სიმონ ზოგბიძე

პირველი ქართული ქრისტიანი მეფის მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია

ამიანე მარცელინის ცნობის სისწორისათვის, რომ 361 წელს რომელი მწერლის მიერ მოხსენიებული მერიბანე ქართული წყაროების მირიანია, ან კიდეც, 361 წელი ნამდვილად მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბოლოსწინა წელია, დამამტკიცებელია, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის, ისე ქართლის ცხოვრების რამდენიმე ცნობა. მათ შორის:

1. ცნობას, რომელსაც ქვემოთ შევხებით, ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში ყურადღება მიაქცია ს. კაკაბაძემ. იგი წერდა: რადგან წმინდა ნინო გარდაიცვალა 338 წელს, „ამიტომ მირიანის სიკვდილი ამის მიხედვით უნდა მოდიოდეს 362 წ.“⁶⁷

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (ქელოშური რედაქცია) გადმოგვცემს, რომ ნინოს სიკვდილის შემდეგ დაამთავრეს ზემო ეკლესია (ახლანდელი სამთავროს ადგილას), „მეოცესა წელსა და მეოცდაერთესა წელსა მოკულა მირიან მეფე“.⁶⁸ მკვლევარს იქვე მოყავს შატბერდული ხელნაწერების ცნობა: „და წარვიდა მირიან მეფე და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქეთა. და განიშორეს მეოთხესა წელსა. და მოკულა მირიან მეფე...“⁶⁹ მკვლევარი იქვე მიუთითებს რიცხვების არევაზე და გამოთქვამს აზრს, რომ შეიძლება თავდაპირველად დედანში ტექსტი იკითხებოდა ამგვარი სახით: „განასრულეს (ეკლესია) მეოცესა წელსა და მეოთხესა წელსა მოკულა მირიან მეფე“, მაშინ მირიანის გარდაცვალების წლად მივიღებდით $(338+20+4) = 362$ წ.“⁷⁰

სხვა ადგილას ს. კაკაბაძე უფრო კონკრეტულად აცხადებს, რომ მირიანი მოკვდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით მეოცდაოთხე წელს, ნინოს სიკვდილის შემდეგ, სახელდობრ, როგორც ზემოთ ვნახეთ, 362 წელს. ხოლო თვით მირიან მეფის შვილი რევი, მომკვდარა მამის სიცოცხლეშივე.⁷¹

მამასადამე, ზემო ეკლესიის მშენებლობა დამთავრებულა 338 წ. (ნინოს გარდაცვალება) + მე-20 წ. = 358 წ., ხოლო მირიანი მომკვდარა 358 წ. (ეკლესიის აშენებიდან) + მე-4 წ. = 362 წ.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ს. კაკაბაძის ასეთ მსჯელობას მცირე კორექტივით. მიგვაჩნია, რომ მე-20 და მე-4 წელიწადში უნდა იგულისხმებოდეს არა სრული 20 ან 4 წელი, არამედ არასრული. ხოლო თუ 20 და 4 არასრულია და ისინი ორივე ერთად

შეადგენს დაახლოებით 23 წელს, მაშინ მირიანის სიკვდილი შეიძლება დაიღწეს.
338+23=361 წელზე.

2. „მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკვდა ძე მისი რევი სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადავე მიეცა მეფობა სიციტელსავე მისსა... და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა“.⁷²

ამ ცნობით, მირიანის შვილი რევი მომკვდარა, მირიან მეფის მონათვლიდან როცა დაწყებული ყოფილა ოცდამეხუთე წელი, ხოლო თვით მირიანი, როცა სრული ოცდახუთი გასულა. მაშინ გამოდის, რომ რევი (326+24) 350 წელს გარდაცვლილა, ხოლო მირიანი (326+25) 351. მეორე მხრივ, როცა ვითვალისწინებთ ამიანე მარცელინის ცნობასა და ს. კაკაბაძის მოსაზრებაზე აგებულ მტკიცებას, გამოდის, რომ თუ მირიანი 361 წელს გარდაიცვალა, მაშინ რევი 360 წელს უნდა მომკვდარიყო. ეს ცნობა, როცა გორც ვხედავთ, მირიანის გარდაცვალების თარიღში 10 წლიან სხვაობას გვაძლევს. ამ ცნობის გარკვევისათვის მოვიშველიოთ ზემოთ აღნიშნული ნაწყვეტის შესატყვისი ნაწილი „ნინოს ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიდან:

„იმ დღეებში მოკვდა მისი (მირიანის, ს. გ.) შვილი რევი, რომელმაც ოცდაათობა მეტი წელი იცოცხლა. ამავე წელს ავად გახდა მირიან მეფე (შემდეგ აძლევს დარიგებას მის ცოლსა და შვილს ბაქარს. — ს. გ.). ეს რომ თქვა, დაიძინა“.⁷³

ამ ცნობით რევის უცოცხლია 34 წელი (და რაკი ორივე „ცხოვრების“ ცნობით, როცა მოკვდა რევი, იმავე წელს ავად გახდა (დასნეულდა) მირიანი და კიდევაც მოკვდა გამოდის, რომ თუ მირიანი 361 წელს გარდაიცვალა, მაშინ რევი 360 წელს უნდა გარდაცვლილიყო. აქედან გამომდინარე, რევი დაბადებულია მირიანის მონათვლის (360-34) 326 წელიწადს, მაგრამ რევის დაბადებას 326 წელზე ელობება შემდეგი გარემოებები:

ა) რევი არათუ დაბადებულია მირიანის მონათვლის დროს, არამედ მას შვილიც პყროლია: „და იყო ძე რევისი სნეულ და მიწვენულ სიკუდილ... მოიღო იგი და დააგდო წინაშე პატროსნისა ჯუარისა“⁷⁴ რათა განკურნებულყო. როგორც ვიცით, ჯვარი შექმნეს მირიანისა და მისი ოჯახის წევრების მონათვლის ხელადვე.⁷⁵ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—ს ამ ცნობას ადასტურებს ქართლის ცხოვრებაში შესული „ნინოს ცხოვრების“ ცნობაც.⁷⁶

ბ) ჩვენ ვიცით, რომ რევი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა, რომელიც დაბადებული უნდა იყოს 250 წლამდე. ცხადია, ამ დროს დაბადებულ თრდატს, როცა რევი საქორწინო ასაკისა იქნებოდა (345 წელს ან მის შემდეგ), გასაზხოვარი ქალიშვილი არ გყოლებოდა. თვით თრდატი გარდაიცვალა 330 წელს, ალბათ, 80-90 წლისა.⁷⁷

გ) ქართლის ცხოვრების ცნობით, რევის სალომე შეუერთავს ჯერ კიდევ მისი მამის თრდატის სიციტელში, როცა წმ. ნინო ქრისტეს რჯულის ქადაგებას ახლად იწყებდა⁷⁸, ე. ი. 321 წელს.

მაშინ თავისთავად იბადება კითხვა: თუ რას უნდა ნიშნავდეს გამოთქმა: რევი „ოცდაათობმეტი წელი იცოცხლა“ რადგან 34-ის პირველი წელი მოდის მირიანის მოქცევაზე (მონათვლის წელზე) და რადგანაც წმ. ნინოსა და მირიან მეფის სიკვდილი ნანაგარიშევია მოქცევის თარიღიდან, ამიტომაც რევის სიკვდილის წელიწადიც მოქცევის (მონათვლის) თარიღიდან უნდა იყოს ნანაგარიშევია. ამიტომაც „34“-ს წინ უნდა ეკლოს ერთი სიტყვა. „მოქცევიდან“, რომელსაც, როგორც ეტყობა, გადათარგმნის ან გადაწერის დროს ყურადღება არ მიაქციეს. მაშინ სრული წინადადება ასე უნდა სახეს მიიღებს:

„იმ დღეებში მოკვდა მისი (მირიანის) შვილი რევი, რომელმაც მოქცევიდან ოცდაათობმეტი წელი იცოცხლა“. თუ რევი 34 წელი იცოცხლა მოქცევიდან, მაშინ იმ



გარდაცვილა 360 წელს, ხოლო თუ „მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე და რომელიცა აღესრულა“ ცნობით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ მირიანის სიკვდილი 361 წელზე მოვა. თუ რევის გარდაცვალება მოქცევიდან 34 წლის შემდეგ მოდის 360 წელზე, მაშინ, ცხადია, მირიანის გარდაცვალება უნდა მოდიოდეს მოქცევიდან არა 25, არამედ 35 წლით 361 წელზე. ამ მტკიცებას მხარს უჭერენ შემდეგი წყაროები: ჯერ კიდევ 1848 წელს თეიმურაზ ბატონიშვილმა აღნიშნა, რომ მირიან მეფის მოქცევიდან 35-ესა წელსა მოკვდა რევი. ამავე წელს დასნეულდა მირიან მეფე და იგიც მოკვდაო⁷⁹. ამ მტკიცებას არა აქვს ვარიანტი 25. ვარიანტი 35-ს უჩვენებს მ. ჭანაშვილი⁸⁰. ვარიანტი 35, მიუთითა აგრეთვე უ. ბროსემ თავის ქართლის ცხოვრებაში.⁸¹

მაშასადამე, ეს ცნობაც იმის დასტურია, რომ მირიანი და მისი ოჯახის წევრები მონათლნენ 326 წელს, უფრო ზუსტად, 326 წლის აპრილის (326+35=361).

ყოვლად დასაშვებია, რომ ლეონტი მროველს ან იმ წყაროს შემდგენელს, რომლითაც იგი სარგებლობდა, დაეშვა მექანიკური შეცდომა მოქცევიდან მის გარდაცვალებამდე წელთა გამოანგარიშებაში. ან, იქნებ, თვით ლეონტი მროველმა შეგნებულად შეცვალა ციფრი „35“ „25“-ად. მას გაზვიადებულად ეჩვენებოდა მირიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა (35 წ.) ქრისტეს რჯულზე მისი მოქცევის შემდეგ, რადგან ამ რჯულზე იგი სიბერეში მოექცა. ან იქნებ „მეოცდახუთესა“ და მისი ვარიანტები: „ქე“, „მეთხუთმეტესა“, „ოცდამეხუთესა“ (იქვე, სქოლიო), — გაჩნდნენ „მეოცდათხუთმეტესა“-ს ანდა „ოცდამეათხუთმეტესა“-ს დამახინჯების შედეგად. ასევე, ყოვლად დასაშვებია თავდაპირველად ასომთავრულით ჩაწერილი „**ხ**“ (25) მომდინარეობდეს „**ხ**“ (35)-დან. შესაძლოა ასო „**ხ**“ ზედა ფეხი მოშლილი ან დამახინჯებული ჰქონდა და აღნიშნული ასოც ხომ ზედა ხაზის გარეშე იფიგეა რაც ასო ხ. ე. ი. **ხ**-სა და **ხ**-ს აღრევა შესაძლებელია მათმა გრაფიკულმა მსგავსებამ გამოიწვია.

3. კვლავ შევეხოთ ძველი ქართული წყაროების ისეთ ცნობებს, რომლებიც დაეხმობით მიუთითებენ ჩვენი მტკიცების სისწორეზე. მირიანის უფროსი ვაჟი რევი რომ ნამდვილად 360 წელს გარდაიცვალა, ამტკიცებს შემდეგო:

„და ოცდამესამე წელსა აღმართებთიგან პატიოსნისა ჯუარისა შეუქმნა კუბად რევ და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა.“

და მოკუდა რევ და დაემარხა ცოლითურთ. და შემდგომად მისა, მეათესა წელსა⁸².

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რადგან აღმართვა პატიოსანი ჯუარისა მოხდა 327 წელს, ამიტომ „კუბად“-ს შექმნა რევის მიერ უნდა მომხდარიყო (327+23) 350 წელს. მაშინ გამოდის, რომ რევი უნდა გარდაცვილიყო „შემდგომად მისა, მეათესა წელსა“, ე. ი. (350+10) 360 წელს.

ხოლო, თუ რევი 360 წელს გარდაიცვალა, მაშინ ლეონტი მროველის ცნობის „და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა“, თანახმად, მირიანის გარდაცვალების დადებას 361 წელზე არაფერი ელოდება წინ.

ასლა მირიანის გამეფების თარიღის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის ქრონოლოგიით მირიანი დაბადებულია 258 წელს და გამეფებულია 265 წელს. ვ. გოილაძე ძღვეამოსილი ქართველი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ორ ძირითად თარიღს შესაბამისად 250 და 257 წელს დებს. თუ, მართლაც, მირიანი 250 ან 258 წელს დაიბადა, მისი არათუ მეფობა, არამედ სიცოცხლის ხანგრძლივობაც სათუო ჩანს, გამოდის, რომ მირიანს 111 ან 103 წელი უცოცხლოა, ხოლო 104 ან 96 წელი გაუტარებია სამეფო ტახტზე.

თუ ჩვენ დავეყარებით ვახუშტის ცნობას მირიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის და ლეონტი მროველის ცნობას მირიანის გამეფების ასაკის შესახებ, მაშინ მირიანის

დაბადება (361-84) 277 წელზე მოგვივა, ხოლო გამეფება (277+7) 284 წელზე. მოგვივა ზორენაცის ცნობით, „თრდატი დიოკლეთიანეს (მბრძანებლობის) მესამე წელს გამეფდა ზულა“⁸³, ე. ი. 286 წელს. ხოლო თუ მართლა მირიანი 284 წელს გამეფდა, თრდატი კი 286 წელს, ამას თითქოს არ ეწინააღმდეგება ქართლის ცხოვრების მონაცემები, რომ ისინი ერთმანეთის თანამედროვენი არიან, რომ „იყვის შფოთი მათ შორის წელთა შრავალთა“.⁸⁴

ჩვენს მიერ მიღებული მირიანის გამეფების თარიღი კარგად უდგება აგრეთვე იმდროინდელი საქმის ვითარებასაც. ასე, მაგალითად: როცა სპარსელებმა მთელი რიგი დამარცხებები იგემეს რომელთაგან, დაიღო ზავი 283 წელს ამ ორ დიდ იმპერიას შორის. სპარსელთა ბატონობას ამის შედეგად III საუკუნის ბოლოსათვის ბოლო მოეღო როგორც ქართლზე, ისე სომხეთზე. 383 წელს დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, სპარსელებმა დაჰკარგეს კონტროლი სომხეთის მნიშვნელოვან ნაწილზე. 287 წელს რომის იმპერატორის დიოკლეთიანეს დახმარებით სომხეთში გამეფდა ტირიდატ III (287-330).⁸⁵ როგორც ვხედავთ, 283 წლის ზავის შემდეგ რომაელებს შესაძლებლობა ექნებოდათ, 284 წელს იბერიის სამეფოს ტახტზე მირიანი დაესვათ.

გ. მელიქიშვილის აზრით, „ზოროსტრის ქააბის“ წარწერის მონაცემებს იბერიის მეფის ამაზასპის ირანისადმი ქვეშევრდომობის შესახებ, აღსატურებს ლეონტი მროველის ცნობები ქართლის მეფის ამაზასპის შესახებ. ლეონტის ცნობით, ამაზასპმა „შეიყუარნა სპასნი“ თავისი მეფობის ბოლო წლებში.⁸⁶ ცხადია, „ზოროსტრის ქააბის“ წარწერაში მოხსენიებული ამაზასპის ქართლის ცხოვრების ამაზასპთან გაიგივებისათვის დაბრკოლება არ არსებობს. ეს წარწერა 261-62 წლებშია ამოკვეთილი და თუ ამ დროს ქართლში მეფე და ამაზასპი იჯდა, მაშინ გამოდის, რომ 262 წელსა და 284 წელს (მირიანის გამეფების თარიღი?) შორის მეფობდნენ:

რვე მართალი, ვაჩე, ბაკური, მირდატი, ასფაგური და ლევი (რევი).⁸⁷

მამასაღამე, 22 წლის განმავლობაში ქართლის ტახტზე 6 მეფე მჯდარა. თუ ამ 22 წელიწადს თითოეულ მეფეზე გავანაწილებთ, მაშინ გამოვა, რომ თითოეულ მეფეს საშუალოდ დაახლოებით 3,5 წელი უმეფია, რაც ძნელი დასაჯერებელია, რადგან იბერიის ტახტზე, მეფეთა ასეთი ხშირი შეცვლა არავითარი წყაროთი არ დასტურდება. გამონაკლისი წარმოადგენს ასფაგური, რომელიც სპარსთაგან დევნილი ვარზის ოსეთში დახმარების სათხოვნელად და, ალბათ, მრავალჯერ გაწამებულს, იქ ეწია სიკვდილი.⁸⁸ თუმცა დასაშვებია, რომ ამ პერიოდში მომხდარიყო მეფეთა ხშირი შეცვლა (მაგრამ არა ისეთი შუალედებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) იბერიაში რომელთა და სპარსთა წყალობით ერთის ტახტიდან ჩამოვლებით და მათი ორიენტაციის პიროვნების დასებით ან კიდევ მათ შორის წარმოებულ ომებში დაღუპვით. ამის გამო თუ ნამდვილად სწორია ის მეფეთა რიგები, რომელიც მოჰყავთ „მოკცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს და ლეონტი მროველს, მირიანის გამეფების თარიღად 284 წელი სათუოდ მოგვეჩვენება. მით უმეტეს, რომ ასეთ აზრს არ ეთანხმება როგორც ქელიშური რედაქციის ავტორი, ისე ჟუანშერი, რომელთაც ნაწილობრივ ქვემოთ შევხვებით.

„პრომა და ბერძენთა ზედა იქმნება მეფე მორწმუნე კოსტანტინე. ეგრეთვე მასვე ჟამსა მეფე იქმნა ზეგარდამო განსწავლული კეთილად და სათნოდ ღმერთისა მორწმუნე მეფე მირიან“.⁸⁹ ამ ცნობის თანახმად, როცა კოსტანტინე გამეფებულა (306 წ.) დაახლოებით ამავე დროს ქართლის სამეფოს სათავეში ჩადგომა მირიანის რადგან მემატთანმ მირიანის სამეფო ტახტზე ასვლის დრო მინცდამაინც კოსტანტინეს გამეფებით განსაზღვრა და, ვთქვათ, არა დიოკლეთიანეს, ნერსეს, შაბურის ან თრდატის მბრძანებლობის დასაწყისით, აქ ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ მირიანის კოსტანტინეს კეისრობის დაწყებიდან ძალიან ახლო დროს დაიკავა სამეფო ტახტი.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

მემბტიანეს ცნობას იმის შესახებ, რომ მირიანი გამეფდა კოსტანტინეს გამეფების შემდეგ „მასვე ეამსა“, მხარს უჭერს „ნინოს ცხოვრების“ მეორე ცნობა: „ხოლო პირველათისა წლის მირიან მეფისა ყოველთა უფალმან წყალობა ყო ჰრომთა ზედა და ბერქენთა და ზეგარდამო წოდებითა გამოაჩინა მეფე მორწმუნე კოსტანტინე და დედაჲ მისი ელენე დედოფალი და ნათელ იღეს სახელსა ზედა ქრისტესსა ყოველნივე ერმან და პალატმან მისმან ამაღლებითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა სამას მეათურა-მეტესა წელსა“.⁹⁰

მაშასადამე, მირიანის მეფობის 10 წლისთავი ყოფილა 318 წელს. ამ ცნობის თანახმად, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე გამეფდა (318-10) 308 წელს. როგორც ვხედავთ, „ნინოს ცხოვრების“ ორივე ცნობა ერთმანეთს მხარს უჭერს და ავსებს. ამგვარად ცნობა კონსტანტინეს გამეფების 306 წ. შემდეგ „მასვე ეამსა“ 308 წელს მეფედ გამხდარა მირიანი, სავსებით კანონზომიერი.

ახლა მირიანის დაბადების თარიღის შესახებ. ლეონტი მროველის თანახმად, მირიანი 7 წლის გამეფებულა, თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ გამოდის, რომ მირიანი 301 წელს დაბადებულა. იქნებ მირიანი სინამდვილეში 7 წლის არ გამეფებულა, იქნებ იმიტომ დასჭირდა ეს გაანგარიშება XI საუკუნის ისტორიკოსს, რომ მირიანის მეფობის ხანა ხანგრძლივი ყოფილიყო, რადგან მისი გამეფება და მეფობის ხანა როგორმე დაეკავშირებინა არდაშირისა და კონსტანტინეს პოლკაწობის ხანასთან. ამიტომ, ლეონტი მირიანის ცხოვრების ბოლო წლებზე, რომ იგი იყო კოსტანტინეს ძის კონსტანტის (337-361) თანამედროვე, არაფერს ამბობს, რადგან მის მიერ მირიანის შესახებ შეთხზული ცნობები უფრო მეტ დაუჭერებლობას დაბადებდა.

ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ცნობა, რომ სამეფო ტახტზე ასული პიროვნება ეხუცესი უნდა ყოფილიყო სავგარეულოში. საინტერესოა, ნუთუ სავგარეულოში მირიანზე (თუ ის ნამდვილად გამეფების ეამს 7 წლის იყო) უფროსი ასაკის არავინ არ იყო? ჩვენ აზრით, სტრაბონისეულ მონაცემებს მხარს უჭერს როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ისე ქართლის ცხოვრებაში დაცული ცნობები, მირიანის შემდგომი მეფეების გამეფების საკითხში, რომელიც მკაფიოდ ჩამოაყალიბა ივ. ჯავახიშვილმა თავის სტატიაში „მეფის ხელისუფლების უხუცესობით დამკვიდრების წესის დამადასტურებელი ცნობები“⁹¹. ჩვენ მხრივაც დავუმატებდით, რადგან მირიანი თავისი მეფობის ბოლო წლებში „თანამეფედ“ სვამს უფროს შვილს — რევის, ხომ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ იგი ამ დროს უკვე კარგა მოხუცებული იყო? ხოლო ჩვენს მიერ განხილული თვალსაზრისით, როცა ლეონტის ვეყარდნობით, მირიანი არც ვარდაცვალების ეამს უნდა ყოფილიყო ძლიერ მოხუცებული, ე. ი. მისი ასაკი (361-301) 60 წელს არ შეემატებოდა.

ქართლის ცხოვრებაში არის ცნობები, რომლებიც ანგარიშგასაწევეია იმ მხრივ, რომ მირიანი 7 წლის არ უნდა დაესვათ სამეფო ტახტზე, იგი ამ დროისათვის უფროსი ასაკის უნდა ყოფილიყო:

1. „მირიან იგი არს, რომელმან ეამსა სიბერია მისისასა იცნა ღმერთი დამბადებელი, და შეიწყნარა სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ“.⁹²
2. „მას ეამსა (ქართველი ხალხის მონათვლის, პატიოსანი ჯვრის აღმართვის დროს. გ.) რევის, ძესა მეფისასა, ესუა ყრმაწული მცირე, და იყო სნეულ, და მიწეენილსო სიკუდილიად“.⁹³

აღნიშნული ცნობებით თუ ვიხელოძღვანელებთ, სრულიად აშკარაა, რომ მირიანი, თუ მართლაც 301 წელს დაბადებულა, მაშინ მოქცევის დროისათვის (326 წ.) მახსნე



ისტორიკოსი ვერ იტყვოდა: „ჟამსა სიბერისა მისისასა იცნა ღმერთი და დამბადებელი“
 რევის, ძესა მეფისასა, ესუა ყრმა-წული“.

ასევე ურადლება უნდა მიექცეს „ნინოს ცხოვრების“ სხვა ცნობასაც: „...მეფე იქ-
 მნა ზეგარდამო განსწავლული კეთილად და სათნოდ ღმერთისა მორწმუნე მეფე მი-
 რიან“⁹⁴ მირიანი რომ ნამდვილად 301 წელს დაბადებულიყო, მაშინ მემპტიანე მასზე
 ვერ იტყვოდა: „განსწავლული კეთილად და სათნოდ“-ო. ამიტომ, ვახუშტის ცნობას მი-
 რიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის (84 წ.) შესახებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თუ მირიანი 361 წელს გარდაიცვალა, მაშინ ის უნდა დაბადებულიყო 277 (361-84)
 წელს. ამ ცნობით მირიანი მონათელის დროს იქნებოდა 49 (326-277) წლის. რადგან
 მირიანი მოქცევიდან 35 წლის გასვლის შემდეგ გარდაიცვალა, ამიტომ მირიანს 84
 (49+35) წლის ასაკამდე მართლაც უნდა ეცოცხლა. ეს ცნობაც ერთ-ერთი დადასტუ-
 რებაა ჩვენი ნაზრებისა და გამოდის, რომ ჩვენი მსჯელობა ეთანხმება ძველქართულ
 წყაროებში დაცულ ქრონოლოგიურ მონაცემებს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის
 შესახებ.

ამრიგად, ჩვენი კვლევის საფუძველზე მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
 ამსახველი ქრონოლოგია მიიღებს ასეთ სახეს:

- დაბადება — 277 წ.
- გამეფება — 308 წ.
- გარდაცვალება — 361 წ.

მავსადამე, მირიანი გამეფებულა 31 წლისა, (308-277), უმეფია 53 წელი (361-
 308) და გარდაცვილა 84 წლის (53+31) ასაკში. უნდა აღინიშნოს. აგრეთვე, რომ მი-
 რიანი ნადირობის დროის შემდეგ, როცა „ცნა ღმერთი დამბადებელი, და შეიწყნარა
 სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ“ ყოფილა (324-277) 47 წლის, რომის
 იმპერიიდან მოსული მღვდლების მიერ მისი მონათელის დროს (326-277) ყოფილა
 49 წლის, ხოლო როცა „იქმნა... თაყუანისმცემელ ჭუარისა პატიოსნისა“ ყოფილა
 (327-277) 50 წლის.

მიტიითაზული ლიტერატურა

- 67. ს. კაკაბაძე. ძიებანი ქართველთა IV-VII საუკუნის ისტორიის შესახებ. გვ. 8.
- 68. ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 94.
- 69. შატბერდის კრებული. გვ. 324.
- 70. ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 9.
- 71. იქვე, გვ. 10.
- 72. ქართლის ცხოვრება. ტ. 1, გვ. 129.
- 73. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ი. აბულაძის რედაქციით, თბ.
 1953, გვ. 129-130.
- 74. შატბერდის კრებული. გვ. 352.
- 75. იქვე. გვ. 322.
- 76. ქართლის ცხოვრება. ტ. 1, გვ. 123.
- 77. შდრ: მოვსეს ხორენაცის, დასახ. ნაშრ., გვ. 158-160.
- 78. ქართლის ცხოვრება. ტ. 1, გვ. 70-71.
- 79. თეიმურაზ ბაგრატიონი. საქართველოს ისტორია. პეტერბურგი, 1848, გვ. 272.
- 80. მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია. ტ. 1, ტფ., 1906, გვ. 175.
- 81. ვ. ბროსე. ქართლის ცხოვრება. გვ. 100, სქოლიო.

82. შატბერდის კრებული. გვ. 324, ჩვენ აქ შეგნებულად ვწყვეტთ წინადადებას, რადგანაც ცნობა „და შემდგომად მისა მეთესა წელსა, ამან ბაკურ დაიწყო წილენისა ეკლესიისა და განიშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა“ არ ეხამება ისტორიულ სინამდელეს, რომლის შესახებაც არაფერს ვამბობთ ამჯერად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ „და შემდგომად მისა. მეთესა წელსა...“ უნდა ეკუთვნოდეს წინა წინადადებას, რადგანაც წინა წინადადება აღნიშნული ნაწყვეტის გარეშე წარმოუდგენელია. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს ამიანე მარცელინისა და ძველქართულ ძეგლებში დაცული ცნობები.

83. მოგესეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. გვ. 166.

84. ქართლის ცხოვრება. ტ. 1, გვ. 69.

85. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 1, თბ., 1970, გვ. 568:

86. Г. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 394.

87. შატბერდის კრებული. გვ. 321.

88. ქართლის ცხოვრება. ტ. 1, გვ. 62.

89. „ნინოს ცხოვრება“. — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. 1, ედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. თბ., 1946, გვ. 227-228.


90. იქვე, გვ. 227.

91. ივ. ჯავახიშვილი. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 157:

92. ქართლის ცხოვრება. 1, გვ. 64.

93. იქვე, გვ. 123.

94. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს კელიშთი რედაქციის ეს ცნობა აღნიშნული ქონდა ზემოთ.



დღიურის ისტორიიდან

„ქოროხის“ ფურცლებზე რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა დღიურის მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურის ამ მეტად სინტერესო ეპოქის წარმოშობისა და განვითარების შესახებ, კერძოდ, XVII-XVIII საუკუნეების კალმის იმ ინგლისელი ოსტატების დღიურთა კონკრეტულ ანალიზზე, რომლებიც თანამედროვე ფსიქოლოგიური პროზის სათავეებთან დგანან.

ჩვენი ყურნალის რედაქცია ულოცავს ზემოაღნიშნული სტატიების ავტორს — ახალგაზრდა მკვლევარს ზურაბ სურმანიძეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის მოსაპოვებლად დისერტაციის წარმატებით დაცვას და აქვეყნებს მის ახალ წერილს.

დღიურების წერის ტრადიციის წარმოშობისთანავე დღიურის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, ისტორია პიროვნების თვითშეცნობის განვითარების ისტორიას წარმოადგენს. ამ ტრადიციის სათავეები ძველი და ახალი აღთქმის, მსოფლიო ლიტერატურის უძველეს ძეგლებში უნდა ვეძებოთ. სახარების ერთ-ერთი წიგნი მკითხველს აძლევს საკუთარი სულის ანალიზს ჩაუღრმავდეს: „რას არაგებს კაცს, თუ მოიგებს მთელ ქვეყანას და სულს კი წააგებს?“ (სახარება მარკოვისა, 8:36). მოგვიანებით, ადრეული შუასაუკუნეებისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ეპოქაში, ეკლესიის მსახურებმა აღიქვეს ეს სახარებისეული რჩევა — ესწავლა თვითდაკვირვება, ინტროსპექცია და უსიტყვო თვითკვირვებასთან ერთად სულიერ პრობლემათა გრაფიკულ ასახვასაც მიმართეს. ამრიგად, პატრისტიკაში დღიურის ჟანრის წარმოებათა ჩანასახია შემონახული.

ადრეული შუასაუკუნეების შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლი და გვიტოვებს დვთისმეტყველმა და ფილოსოფოსმა ავრელიუს ავგუსტინემ (ნეტარი ავგუსტინე). მისი „აღსარება“ (400 წ.) — აზრებისა და ქცევის გულახდილ გადაცემის ეს უნიკალური ნიმუში — ერთდროულად მხატვრულ-დოკუმენტური პროზის სამი ჟანრის, — დღიურის, აღსარებისა და ავტობიოგრაფიის — სტიმულად იქცა. ავგუსტინეს „აღსარება“ ტენდენციურია: „ვის ვუყვები ამას? რა თქმა უნდა, შენ არა, ღმერთო ჩემო, მაგრამ შენს წინაშე ამას ჩემს მოღვაშს, აღამიანთა მოღვაშს ვუბნები“, — წერს იგი თავისი ნაწარმოების მეორე წიგნში (თავი 3). თავის ცდომილებათა და შეცდომათა, ხოლო შემდეგ უმწიკვლო ქრისტიანად თანდათანობით გადაქცევის გულახდილი ჩვენებით იგი ცდილობს მკითხველს შესაბამისი ემოციები გამოიწვიოს, და „ქვეშაირიტი სარწმუნოების გზაზე“ დააყენოს ისინი. ამ ნაწარმოებმა სათავე დაუდო რელიგიური დღიურების ტრადიციას. ბევრმა მათგანმა თეოლოგიური კვლევით დაკავებული ფსიქოლოგებისა და ისტორიკოსების ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

შუა საუკუნეებმა ეკლესიის მხრიდან ინდივიდუალობის არად ჩამგდები, ხშირად მისი დამორგუნველი დიქტატის ქვეშ გაიარა. ამ პერიოდში ეკლესია თავისი ძლიერების მწვერვალს აღწევს და საზოგადოებას გამაღლებით უნერგავს თავისი არსებობისათვის უსაფრთხო დიქტატინას, რომ ყოველი ინდივიდი აღამიანთა საზოგადოების მსოფლიო


რიგითი წევრია და თავისი მოყვასისაგან მარტოოდენ საქმიანობითა და შრომის შედეგებით განირჩევა. შუასაუკუნეების გრანდიოზული გოთური ციხე-დარბაზების შემქმნელი საეკლესიო ხელნაწერების დახვეწილი დეკორატივი ან ნიჭიერი მოქანდაკე უსახელონო დარჩნენ. ეკლესია თავის სამწყსოს ასწავლიდა, რომ პიროვნება არარაობას წარმოადგენს, რომ მნიშვნელოვანია მარტო ღმერთის სადიდებლად გაწეული შრომა. ასეთ შეხუთულ ინტელექტუალურ გარემოში შეუქმლებელი იყო ავტობიოგრაფიული და აღსარებითი საწყისების შემდგომი განვითარება. მხოლოდ ხალხის თვითშეგნების ზრდის, პიროვნებაში საკუთარი ღირსების გრძნობის გაღვივებისა და თავისი თავის მიმართ ინტერესის აღძვრის კვალობაზე, აზრის თავისუფლების მძლავრი გავლენის ქვეშ, რაც რენესანსის ეპოქაში კლასიკური მემკვიდრეობისაკენ მიქცევით, აგრეთვე რეფორმაციის მოძრაობის პერიოდში სინდისისა და რწმენის თავისუფლებისაკენ ლტოლვით იყო გამოწვეული, ხელახლა ვხვდებით ავტობიოგრაფიული და დღიურის ჟანრის ნაწარმოების შექმნის ცდებს.

მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს ნიშანს ეტყობა წარმოადგენს მ. მონტენის „გამოცდილებანი“. მისი შექმნისას ფრანგი მწერალი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ „გამოცდილებანი“ იქცეოდა ესეს ჟანრის ნიმუშად, რასაც შემდგომში ხშირად მიუბრუნდებიან ხელოვნების სხვა წარმომადგენლები. ჩვენთვის „გამოცდილებანი“ ეგოცენტრული მიმართულების აღნიშვნაა მნიშვნელოვანი. ნაწარმოების ცენტრშია თვითონ ავტორი, მისი ყურადღება საკუთარი ხასიათის დადებით და უარყოფით თვისებებზე, გემოვნებაზე, ჩვევებსა და გუნება-განწყობისაკენაა მიმართული. იგი გულის ღრმა სულიერ თვითაღიკვლევას ჩაღრმავებული. ნაწარმოებში ავტორი აღნიშნავს თავის პროგრამას: ჩვენი სულის ხვეულებზე კვალდაკვალ მიყოლა, მის ბნელ სიღრმეებში წვდომა, მის ურიცხვ უმცირეს მოძრაობათაგან რამდენიმე მათგანის შემჩნევა არა ადვილი საქმე... აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც მთელი ჩემი აზრები საკუთარ პიროვნებაზეა მიპყრობილი, და თუ რაიმე სხვას ვაკვირდები, მხოლოდ იმისათვის, რომ მოულოდნელად რომელიმე მომენტში ეს საკუთარ თავს მივუსადაგო (წიგნი 2). მონტენის „გამოცდილებანი“ ესეს ფორმით შემოსილი სოციალურ-ფსიქოლოგიური აზრისა და თავისი შინაგანი კიდეების დღიურის სახით თხრობის მარჯვე შერწყმით გამოირჩევა.

მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურის საინტერესო ნიმუში დავიკოვავ პერცოგმა სენ-სიმონმა. მისი თავისებური დღიური XVII საუკუნის 90-იანი წლებიდან 1723 წლამდე პერიოდს მოიცავდა. მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად მასში მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრია მოხმობილი, როგორცაა მემუარები, პორტრეტები, წერილები, მაქსიმები. ავტორი ცდილობდა ეჩვენებინა ცალკეული ადამიანი და შეეღწია უხილავ შინაგან მიზეზებთან სფეროში. ამრიგად, მისი ნაწარმოები მხატვრულ-დოკუმენტური სტილის რამდენიმე ჟანრის სინთეზის აღრეულ ცდად იქცა.

ინგლისზე უფრო ადრე დღიური კონტინენტურ ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში წარმოიშვა, გერმანელი მხატვარი დიურერი 1520 წელს ფლანდრიაში მოგზაურობისას ნანახისა და გაგონილის დაწვრილებით ჩანაწერებს აკეთებს. ჟანრის განვითარებისათვის მის დღიურს რაიმე სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონია და ისტორიაში მხოლოდ დღიურის წარმოშობის თვით ფაქტია აღნიშნული.

ინგლისში დღიურის ჟანრის ჩანასახი ზოგიერთ შუასაუკუნეობრივ ხელნაწერებშია შემორჩენილი. წიგნის ბექდვის გამოგონებამდე ეკლესია ან რომელიმე დიდებული ორიგინალის გადასაწერად გადამწერებს დაიქირავებდა ხოლმე, რაღაც მოსაზრებით, გადასწერები ხელნაწერის კიდეებს საკუთარი აზრების მისაწერად იყენებდნენ. შესაძლებ-



ბელია, რომ ამ გზით ისინი ქვეცნობიერად ცდილობდნენ შეეჩერებინათ წამი, დაემტკ. რუტებინათ ცხოვრების განუწყვეტელი სრბოლა, ან მომდევნო თაობებში უკვდავეუთ თავიანთი ხსოვნა, თუნდაც ანონიმური... ეს ხომ ყველა დროში იყო და არის ადამიანის სურვილი. დღებლინში, ტონიტი-კოლეჯში შენახულ 1350 წლის ხელნაწერებში უცნობმა გადამწერმა შემდეგი მინაწერი დატოვა: „შავი ჰირის მეორე წელს... ამ სტრიქონების ავტორი — 21 წლისაა... წამკითხველმა მომიხსენიოს. დღეს შობის წინა დღეა... იქნებ დიდი ჰირი ავცდეს მე და ჩემს მეგობრებს და ცხოვრებამ კიდევ ერო ხელ გვაჩუქოს მხიარულება და სიხარული“. ერთი წლის შემდეგ იმავე ხელით წერია: „დღეს უკვე წელიწადია რაც წინა მინაწერია გაკეთებული და თუ ღვთის ნება იქნება, კიდევ ერთი შობა მეღის წინ“.

მეორე გადამწერი უფრო მეტი გულახდილობით გამოიჩინა: „დღეს შობის წინა პარასკევა“, ძლიერ წვიმს, უკვე ბინდდება... მე ძლიერ მცოვა უცეცხლოდ და უმოსასმელოდ... ლამაზად გალობს მეუღლია და თუმცა მას ლამაზი მკერდი აქვს, მე სავსებით მარტოსული ვარ. უფალო, შემეწყალე და კარგი ხელით დამასაჩუქრე... მე ძლიერ ვზრუნავ ხელნაწერის მკაფიოებაზე, მაგრამ ნუ მაგინებთ, რადგანაც დამაშავე ცული მელანი და ზადიანი ტყავია, თანაც უკვე ბნელდება. მე საშინლად ვწუხვარ იმ ცნობის გამო, რაც ახლაც კი ყურებში მიდგას, რომ ჩემი დედა და დაი ესპანეთში დაიხოცნენ“. ამ ჩანაწერის ბუნდოვანი შინაარსი გვიხიდავს თავისი მუდმივი სიახლით, რაც აღბეჭდავს უცნობი ავტორის ცხოვრების წამს, ჩაწერილი სიტყვებიდან გადმოცემულ მისი „გონების ნაკადს“ და შეიცავს შეუღარებელი ბუნებრიობის სულისკვეთებას, რის მიღწევასაც ცდილობენ ჩვენი საუკუნის მწერლები. ეს ჩანაწერები შეიცავს არა მარტო ინფორმაციას, არამედ ინფორმაციას განსვსიათვის, ე. ი. დამწერის ცხოვრებაში დრამატული მომენტების წინასწარგანზრახულ ფიქსაციას.

მსგავსი პირადი ჩანაწერების გარდა, ხელნაწერთა კიდეები შეიცავს გადამწერთა კომენტარებს ხელნაწერის შინაარსზე, ცნობებს მოვლენების შესახებ, დარიგებებს, ლოცვებს, ანეკდოტებსა და დაციწვა-შეურაცხყოფასაც. გადამწერები ხშირად შეიფრავენ თავიანთ ჩანაწერებს. ამისათვის იყენებენ ლათინურ ან ძველ ირლანდიულ თუ კულტურულ ანბანს. მაგრამ ყველაზე მეტად გვაოცებს სპონტანური თვითგამოვლენა, რასაც ამ ჩაწერებთან ავტორები იმაზე ბევრად ადრე ამუღავნებენ, ვიდრე თხრობის ასეთი მეოთხედი კლასიკური დღიურების დამახასიათებელ ნიშან-თვისებად იქცეოდა (საინტერესოა, რომ რელიგიური შინაარსის ზოგიერთი ჩანაწერი IX და უფრო ადრეული საუკუნეების ხელნაწერთა კიდეებზე აღმოჩნდა).

ხელნაწერთა კიდეებზე ჩანაწერებთან ერთად დღიურის ფორმის ზოგიერთი მომენტის მატარებლად შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალური სამრევლო წიგნები, რომლებიც მათში ჩაწერილი ადამიანების ცხოვრების ძირითად თარიღებსა და პრაქტიკული ხასიათის ჩანაწერებს შეიცავდნენ. XVIII საუკუნემდე კიდევ შეიძლება აღინიშნოს აღსარებითი ღვაწლის მაღალფარდოვანი ტექსტით, არსებობა, რომელსაც რამდენიმე საინტერესო ნიმუშები არ დაუტოვებია და ძირითადად შუასაუკუნეების პატრისტიკის აღსარებით ლიტერატურას წარმოადგენდა.

XVII საუკუნემ დიდი როლი ითამაშა დღიურის, როგორც ლიტერატურული ჟანრის ჩამოყალიბებაში. მძლავრი რელიგიური მიმართულებანი აეგზალტირებდნენ საზოგადოებას. პურიტანული იდეოლოგიის გავრცელება ხელს უწყობდა მთელი რიგი რელიგიური დღიურების გამოჩენას. იმ პერიოდის ინგლისური დღიურები მნიშვნელოვან ლიტერატურულ და ისტორიულ დოკუმენტებად იქცა. ბევრი მათგანი უწიგნური ადამიანების მიერაა დაწერილი, ხშირად ულაზათო, უშნო ენით. მაგრამ თანამედროვე თვალსაზრისით ისინი სწორედ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ თავიანთი უშუალოდით შესაძენევად



განსხვავდებიან იმ პერიოდის მრავალრიცხოვანი ლიტერატურული პროდუქციისაგან. დღიურის წერის ტრადიციის წარმოშობა ინგლისის სინამდვილეში პურიტანების რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობაზე უფრო რადიკალური კვაკერების მოძრაობის პარალელურად მიმდინარეობდა. ამ მოძრაობის აღმავლობა 1648-1650 წლების პერიოდს დაემთხვა. მან ყველა სულიერ და რელიგიურ ინსტიტუტებში გაბატონებული პურიტანული იდეოლოგიის აგრესიული მტრობა გამოაწვია, მაგრამ ყველაზე მეტი დევნა რესტავრაციის შემდეგ განიცადა: კვაკერები პროტესტანტობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, ისინი უარყოფდნენ საეკლესიო ორგანიზაციას, საეკლესიო საიდუმლოებებსა და წესებს, გამოდიოდნენ სახარების პირდაპირი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა შემდგომ პაციფიზმის ქადაგების თანმიმდევრული პროგრამით ფართო გავრცელებას პოვნებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამ მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰორჯ ფოქსი წერდა „დღიურებს“, რომლებმაც 1694 წელს გამოქვეყნების შემდეგ დიდი პოპულარობა მოიპოვეს. ეს „დღიურები“ ღრმად ინტროსპექტური მიმართულებით რელიგიური დღიურების ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს. ერთ-ერთი ჩანაწერი ავტორის რელიგიური ზეშთაბეჭდილობისადმი მიძღვნილი: „ყოველი ადამიანი ქრისტეს დედაებრივი შუქითაა კურთხეული: და მე ყველაფერში ვხედავდი მის ბრწყინვას, და ის, რომ მათ ეს ირწმუნეს, მისი მიმართვიდან მოდის და სიცოცხლის ჩირაღდნად და მის შეილებად იქცა“... XVII საუკუნეში და შემდგომ აზრებისა და გრძნობების ჩანაწერები პურიტანებსა და კვაკერებში განიხილებოდა როგორც რელიგიური ვარჯიშების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. როგორც წესი, ამ დღიურებში შეიმჩნევა იმპლიციტური დიდაქტიურობა განსაკუთრებით იმათში, რომლებიც, ჰორჯ ფოქსის „დღიურების“ მსგავსად, ავტორის მიერ გამოსაქვეყნებლადაა გამოიწველი.

რელიგიური დღიურებში ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი თემები: ანგარიში ქადაგებების შესახებ (თუ დღიური სასულიერო პირს ეკუთვნის), თეოლოგიური დისკუსიები, რელიგიური წიგნების კითხვა და წაკითხულზე საკუთარი აზრის გამოთქმა, ფილოსოფიური განსჯა, თვითანალიზი, ლოცვები და მიძღვნები, თემების ასეთი ერთობა გამოწვეულია რელიგიური დღიურების მიერ გადასაწყვეტი აზოცანების ერთობლიობით. ეს ჯგუფი ინგლისურ დღიურებს შორის ყველაზე ინტროსპექტიურს განეკუთვნება. ამაში ვლინდება ინგლისური ეროვნული ხასიათის თავისებურება, რასაც გარკვეულწილად განსაზღვრავს თავისი იდეალური აზრების ქალაქში გადატანის სურვილის უქონლობაც კი... სწორედ ესაა ინგლისური დღიურის ძირეული განსხვავება ფრანგული „ინტიმური დღიურისაგან“.



აჭარის ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების შესახებ



საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ნიშნებია საკუთრების ფორმების მრავალფერობა და თანასწორუფლებიანობა, ფასებისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების თავისუფლება, სახელმწიფოს მიზანშეწონილი ჩარევა სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისა და დაცვის მიზნით. საქართველოს ზღვისპირა ჭიშკარი აჭარა, როგორც სატრანსპორტო გზაჯვარედინი, მნიშვნელოვან ფუნქციას უნდა ასრულებდეს სამეწარმეო საქმიანობისა და საგარეო ვაჭრობის დაწინაურებისათვის, ხელსაყრელი ფასების ფორმირებისათვის. პრაქტიკულად მსოფლიო ფასები წარმოადგენენ საქონლის ძირითადი მიმწოდებლის საექსპორტო ფასებსა და აღნიშნული საქონლის შეტანის იმპორტულ ფასებს საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრებში. მსოფლიო ფასების მკვეთრი ცვლილებების პირობებში, ხელი უნდა შეეფუწყო გატანის ცალმხრივი „სანედლეულო“ ორიენტაციის შეცვლას მრავალფეროვანი სტრუქტურით, რათა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ.

საბაზრო ურთიერთობები იქნება ფორმალური, თუ შევინარჩუნებთ მწარმოებლების მონოპოლიტებს. მოთხოვნის ინტენსიურობის მახასიათებელი ფასების სასიგნალო ფუნქციები და კონსტრუქცია არ დამკვიდრდება, თუ ბაზარი მონოპოლიურ სახეს შეინარჩუნებს. აღნიშნულის საწინააღმდეგო ერთერთ საქირო ღონისძიებას წარმოადგენს სახელშეკრულებო ფასების ფართო გამოყენებაზე გადასვლასთან ერთად რენტაბელობის ზღვრული დონის ზემოთ მიღებული მოგების გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტებში. უნდა აღმოიფხვრას საგადასახადო სისტემის არათანაბარი დაძაბულობა და უწყებრივი მონოპოლიურობა. საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წესებისა და მეთოდების გამიზნული და შეგნებული გამოყენება.

საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება, მათი განვითარება და რაციონალური თანაფარდობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებელი პირობებია. მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს დაკანონება კოლექტიური საკუთრების წარმოშობისა და გამრავლების შესახებ, რასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოთა გაიჭარება, მშრომელთა კოლექტივებისათვის იმ შესაძლებლობის მიცემა, რომ მიღებული შემოსავალი გამოიყენონ სახელმწიფო ქონების გამოსასყიდად, სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნა სააკციო საზოგადოებებად, მოქალაქეებისა და იურიდიული პირების ქონების ნებაყოფლობითი გაერთიანება კოოპერატივების, სხვა სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგოების შესაქმნელად. რესპუბლიკაში თანასწორუფლებიანობის პირობებში უნდა განვიარდეს საკუთრების ყველა ფორმა: საქართველოს სახელმწიფო საკუთრება, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება, პირადი და კერძო საკუთრება, ერთობლივი საკუთრება, უზრუნველყოფილ იქნეს მეწარმეების თავისუფლება. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზაზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახალხო-სამეურნეო, ჯანმრთელობის დაცვის, ტურიზმის, საკურორტო თუ სხვა ობიექტები მხოლოდ საქართველოს გამგებლობაში უნდა იყოს და რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად იქნეს გამოყენებული.

წარმოების საშუალებებისადმი, შრომისა და მისი შედეგებისადმი უკველი მუშაკის კოლექტივის, რეგიონის, რესპუბლიკის ნამდვილად მეურნეობრივი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება აუცილებლობას და დღევანდელი მოთხოვნას წარმოადგენს. აღნიშნუ-



ლის რეალიზაცია ბიუჯეტების განმტკიცებასაც გულისხმობს. გასული წლის მონაცემებით, აჭარის ბიუჯეტის შემოსავლებში კოოპერაციული საწარმოებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან გადასახდლებმა 2,7 პროცენტი შეადგინეს, სახელმწიფო საწარმოებიდან — 14,7 პროცენტი. უმნიშვნელოა საკავშირო ქარხნებზე მოსული წილი (1,9 პროცენტი). უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის 83,5 პროცენტი საკავშირო და საკავშირო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში მზადდება (აქედან საკავშირო ქარხნებზე 40 პროცენტზე მეტი მდის). გიწარმოებში მზადდება მიგავჩნია საკავშირო ქარხნების ხვედრიწონის თანდათანობითი შემცირება და მათი მოგების ანარიცხების ზრდა (საწარმოს მთლიანი მოგების 8-10 პროცენტამდე) აჭარის ბიუჯეტში. ქვეყანას ძლიერი ეკონომიკა ვერ ექნება, თუ პრიორიტეტულ პირობებში არ იქნება ჩაყენებული მისი საფუძველი — რეგიონალური ეკონომიკა. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა მივაღწიოთ რეალურ გამოყენებას საქართველოს რესპუბლიკის უფლებებისა განახორციელოს საბიუჯეტო საქმიანობა, არეგულიროს სასაქონლოსა და მომსახურების ბაზარი გადასახადით დაბეგრისა და ფასწარმოქმნის სისტემის მეშვეობით, წაახლისოს ცალკეულ სახეობათა წარმოება და დაუწესოს მათ რეალიზაციას შედეგათები, განსაზღვროს ადგილობრივი ბიუჯეტის მინიმალური ოდენობა ერთ მცხოვრებზე საბიუჯეტო უზრუნველყოფის ნორმატივების საფუძველზე. აჭარის სინაღდლისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის უფლებების დაკანონება მოაწიონ საზღვრისპირა და სანაპირო ვაჭრობა, დაუდონ საზღვარგარეთელ პარტნიორებს ხელშეკრულებანი არსებული სავალუტო სახსრების ხარჯებზე, ან სხვა საფუძველზე პროდუქციის რეალიზაციისა და შექმნისათვის, შექმნან ერთობლივი საწარმოები, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციები. ჩვენს აზრით, ერთობლივი საწარმოების შექმნის მთავარი მიზანი უნდა გახდეს მოწინავე საწარმოო გამოცდილების შესწავლა და საკუთარ ქვეყანაში მისი ინტელისური გამოყენება.

საქართველოსა და მისი სამხრეთი რეგიონის—აჭარის ეკონომიკური თავისთავადობის მიღწევის წინაპირობებად გვესახება საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოება, საბაზრო ურთიერთობის განვითარება, ბიუჯეტების განმტკიცება, შავი ზღვის მეშვეობით საგარეო-სამეურნეო კავშირების გააქტიურება, საბოლოო ჯამში, წარმოებისა და მოხმარების სრულფასოვანი სტრუქტურების უზრუნველყოფა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ცენტრალური და მთავარი ჰიშკარი ბათუმია. ქართველმა მეზღვაურებმა საკაპოტაუო ნაოსნობით გასულ წელს გადაზიდეს 403,7 ათასი ტონა ტვირთი. გადაზიდვა შიდა ნაოსნობაში შემცირდა 17,7 პროცენტით, წმინდა სავალუტო ამონაგები საზღვარგარეთ ნაოსნობაში კი იზრდება. საქართველოს ზღვისპირეთს აქვს საკმაოდ განვითარებული მეურნეობა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის ტერიტორიული დანაწილების არსებულ სისტემაში (სუბტროპიკული მეურნეობა, ტერიტორიულ-რეკრეაციული მეურნეობა და სხვა). ამავე დროს იგი არ წარმოადგენს ერთიან სამეურნეო-ტერიტორიულ კომპლექსს, აქ მხოლოდ ტერიტორიულად არის თავმოყრილი სხვადასხვა უწყებას დაქვემდებარებული სამეურნეო ობიექტები. მრეწველობის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს ერთიანი საზღვაო-სამეურნეო ტერიტორიული კომპლექსის შექმნამ. ამაჟამად საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს, რეალური შესაძლებლობა ექმნება სრულფასოვანად ისარგებლოს შავი ზღვის ეკონომიკური, სარესურსო და სამეურნეო პოტენციალით. აჭარის მრეწველობაში უნდა გაიზარდოს ზღვით შემოზიდული ნედლეულის გადამამუშავების ხვედრი წონა. ტექნიკური ბაზის განახლება საჭიროებს გემთმშენებელი ქარხანა და აჭარის, თევზჭერის ფლოტის სამმართველო.

სახალხო მეურნეობის სტრუქტურული ძვრები, ინტენსიური განვითარების რეკლამაზე გადასვლა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება აუცილებლობის წინაშე აყენებენ ეკონომიკის მართვის მთელი სისტემის გარდაქმნას, სამეურნეო მექანიზმის რადიკალურ ცვლილებებს. როგორ შეიძლება წინ მიიწევედეს ეკონომიკა, რომელიც ხელსაყრელ პირობებს უქმნის ჩამორჩენილ საწარმოებს და ამუხრუჭებს მოწინავეებს. განსახორციელებელი რეფორმის არსი მდგომარეობს მართვის უპირატესად აღმინისტრაციული მეთოდების უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით შეცვლაში. ცვლილებების ერთ-ერთი მიმართულებაა რესურსების ცენტრალიზებული განაწილებიდან (ანუ ე.წ. ფონდირებიდან) საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა. ეკონომიკურ-მათემატიკური პროგრამირების უპირატესობანი სულ უფრო მეტად უნდა შეერწყას ბაზრის მასტიმულირებელ ფაქტორებს. ბაზრის გაჭერებასთან ერთად სახელმწიფო შეკვეთის წილი შემცირდება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის პირდაპირ კავშირებთან შედარებით.

ამერიკელი ეკონომისტები პ. სამუელსონი და ვ. ნორდლუსი სახელმწიფოს ფუნქციებიდან გამოყოფენ სამს: ეფექტიანობას, სამართლიანობასა და სტაბილურობას. პირველი გულისხმობს, მაგალითად, ბაზრის ისეთი შეცდომების „გასწორებას“, რაც მონოპოლიურობას იწვევს; მეორე — ღარიბებისა და გაჭირვებულების სასარგებლოდ შემოსავლების გადანაწილების პროგრამების შემუშავებას; მესამე — ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას, უმუშევრობისა და ინფლაციის შეკავებას. თუ ჩვენ სინამდვილისათვის მექანიკურად იგივე კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ, ეფექტიანობა წარმოადგენს სწორედ იმ რგოლს, რომელსაც უნდა ჩავეჭიდოთ, რათა გამოვიდეთ კრიზისული მდგომარეობიდან. ახლა ინტენსიურ ხასიათს უნდა დებულობდეს კანონშემოქმედებითი საქმიანობა უწყებრივი მონოპოლიურობის წინააღმდეგ.

ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიური ძვრების გზაზე ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს სახალხო მეურნეობრივი და სამრეწველო პროპორციების არასრულფასოვნება და მოუქნელობა, რაც ფინანსურ მოშლილობასა და ინფლაციური პროცესებისადმი მიდრეკილებასაც აღრმავებს. შესაღარისობის უზრუნველყოფი გაანგარიშებით, საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოებაში „ა“ ჯგუფის ხვედრი წონა შეადგენს, როგორც მინიმუმი, 85 პროცენტს (მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში 55-65 პროცენტს), მსუბუქი და გემოკვების დარგები აწარმოებენ სამრეწველო პროდუქციის 10 პროცენტს (აშშ-ში 25-30 პროცენტს), დაგროვებაზე მოდის სსკ ეროვნული შემოსავლის თითქმის ნახევარი, ხელფასზე მხოლოდ მესამედი (მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში: დაგროვებაზე 15-25 პროცენტი, ხელფასზე დაახლოებით 65 პროცენტი), ამერიკის შეერთებულ შტატებში საბინაო მშენებლობაზე სტაბილურად გამოიყენება სახალხო-სამეურნეო კაპიტალიზაციების დაახლოებით მეოთხედი, საბჭოთა კავშირში 10-15 პროცენტი.

საკუთარი მიდგომებითა და ევროპის ეკონომიკური კომისიის შეფასებებით ჩატარებული ეკონომიკურ-სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მივჩინა, რომ აჭარის ეკონომიკის გაჯანსაღება საჭიროებს: 1. ხელსაყრელი საგარეო კავშირთა თვითობების დამყარებასა და ნამდვილი ისტორიული წეს-ჩვეულებების აღდგენას მეწარმოებაში; 2. საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოებას, მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, სასოფლო-სამეურნეო ტრადიციების აღორძინებას ოჯახური მეურნეობის პრიორიტეტით; 3. რეგიონის სპეციალიზაციის გაღრმავებას, სუბტროპიკული და ზღვის პროდუქტების გადასამუშავებელი დარგების, აგრეთვე მათთვის საჭირო მანქანების წარმოების მიზანშეწონილი ტემპებით განვითარებას; 4. ელექტროტექნიკურ, ამწე-სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობასა და გემთმშენებლობაში (კატარღების წარმოება) უახლესი პროდუქციის დანერგვის ყოველმხრივ სტიმულირებას;



5. მრეწველობის „ბ“ ჯგუფის ისეთი დარგების პრიორიტეტულ განვითარებას, როგორცაა მსუბუქი მრეწველობა (ტყავის, მატყლის, აბრეშუმის პროდუქცია); კვების მრეწველობაში პურის, ხორცისა და რძის ნაწარმის წარმოება; ხის მრეწველობაში მაღალრენტაბელური დამამუშავებელი წარმოება; ბიწის სოციალურ სფეროში; 6. სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, კიმიურ მრეწველობასა და სამშენებლო ინდუსტრიაში ტექნიკური გაზის ინტენსიურ განახლებასა და ეკოლოგიურად მიზანშეწონილი წარმოების განვითარებას; 7. მაღალმთიან რაიონებში მცირე და საშუალო ზომის, ტექნიკურად კარგად აღჭურვილ საწარმოთა ქსელის შექმნას.

სანარდო იჯარაზე მომუშავე კოლექტივის გადასახადი ფიქსირებული თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროის ხანგრძლივ პერიოდში (8-15 წლით). რაც ზრდის საწარმოო კოლექტივის მატერიალურ დაინტერესებას წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. გარდა ამისა, საიჯარო კოლექტივის შემოსავლიდან ეკონომიკური სტიმულირება ნაწილდება არა დადგენილი ნორმატივებით, არამედ შრომითი კოლექტივების ინტერესების შესაბამისად, ეს კი აძლიერებს თითოეული მშრომელის პირად დაინტერესებას. იჯარას, სხვა ფორმებთან შედარებით, უპირატესობა აქვს ადრიცხვის გამარტივების ეფლსაზრისითაც. იჯარულ მეთოდზე გადასვლის შემდეგ ბათუმის ხისდასამუშავებელ კომბინატში ერთი მომუშავის საშუალო წლიური ხელფასი 1988-1990 წლებში 250-დან 350 მანეთამდე გაიზარდა. კარგი პერსპექტივებია აქციონერული ფორმების გამოყენებაში. ზღვისპირა რეგიონის ეკონომიკაში სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ კერძო სექტორის უპირატესობანი.

საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოება მოგებიდან გადასახადების შემცირებაშიც უნდა გამოიხატოს. მოგების დაბეგრვის მაღალი პროცენტი მკვეთრად ამცირებს საწარმოთა სამეურნეო ინციტივას და საბოლოო ჯამში, აზარალებს იმ ბიუჯეტებსაც, სადაც ეს გადასახადი მიდის. ვფიქრობთ, და ამას ადასტურებს მოწინავე გამოცდილება, როგორც უნდა იბეგრებოდეს მხოლოდ ერთი მესამედით.

რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით ვიზიარებთ ბიუჯეტების ფორმირების შემოთავაზებულ მიდგომას, რომლის მიხედვით საწარმოებს მათი უწყებრივი დაქვემდებარებისაგან დამოუკიდებლად ყველა გადასახადი შეაქვთ ადგილობრივ ბიუჯეტში მათი ადგილმდებარეობის მიხედვით, შემდეგ თითოეული ქვემდგომი ბიუჯეტი გადაურიცხავს ნორმატივების მიხედვით თავისი შემოსავლის ნაწილს ზემდგომ ბიუჯეტს. გაუგებარი და ადრიცხვისათვის გართულებულია ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების მოგების დაბეგვრა საკავშირო ბიუჯეტის სასარგებლოდ. დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია ფინანსური რესურსების რესპუბლიკათაშორისი ვადაწილებისადმი კონტროლი მათი მრავალარხინი ვადაცემის, ფასების არსებული სისტემის და სხვათა გამო. რესპუბლიკების შემოსავლების გამიჯვნას ართულებს ფასების სხვადასხვა დონის არსებობა, რომლებიც ღირებულებასთან შედარებით მკვეთრად განსხვავდებიან. ბაზრის გარკვეული გაჭერების მიღწევის შემდეგ მიზანშეწონილია ეროვნული ფუნდის მოჭრა.

საქიროა საგადასახადო დაბეგრისადმი თანასწორი, ერთიანი მიდგომა — არ უნდა არსებობდეს დაბრკოლება კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული სხვადასხვა ტიპის საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების გზაზე. ეკონომიკის აღნიშნულ სექტორში, უცხოური გამოცდილებით, განსაკუთრებით სრულად ვლინდება პირადი დაინტერესება წარმოების შედეგების გაუმჯობესებაში. უნგრეთში კოოპერატიული სექტორის საწარმოებში ფონდუკუგება 3-4-ჯერ უფრო მაღალია სახელმწიფო სექტორთან შედარებით. უნგრეთის მანქანათმშენებლობაში შრომის ნაყოფიერება კოოპერატივებისათვის 26 პრო-



ცენტით აღემატება კერძო სექტორს. კოოპერატიული სექტორი მაღალი ხვედრით წარმოადგენილი პორტუგალიაში (მეპაიეთა რიცხვი შეადგენს შრომისუნარიანი მოსახლეობის 69,5 პროცენტს), საფრანეთში (64,8 პროცენტი), დანიაში (61,9 პროცენტი). ნიდერლანდებში კოოპერატიული ბანკების წილი ქვეყნის ბანკების აქტივებში შეადგენს 40 პროცენტს. საქართველოში კოოპერატიული სექტორი ჯერჯერობით სუსტადაა განვითარებული, მასში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 2,5 პროცენტი (აჭარაში 0,7 პროცენტი), რაც დაბალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამითაა განპირობებული მოსახლეობის ხშირად სამართლიანი გულისწყრომა აღნიშნულ სექტორში ფასების მაღალი დონის გამო.

კონკურენციის ამოქმედებასთან ერთად, განსაკუთრებული სიმწვავეთ დადგება მართვისა და მეწარმული საქმიანობის ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და კომერციული რისკის ხელოვნებას დაუფლებული მენეჯერების ნაკლებობის პრობლემა. ამ მიმართულებით მისასალმებელია აქციონერული სკოლა-საზოგადოებების შექმნის პრაქტიკა, რომლებმაც უნდა მოამზადონ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის, მცირე ბიზნესის, საბანკო საქმის საფუძვლებისა და რეკლამის სპეციალისტები. საბაზრო ამოცანის ეფექტიანად განხორციელებისათვის გამიზნული ექსპორტ-გასაღებითი საქმიანობის მართვის მარკეტინგული კონფერენციების სპეციფიკას განაპირობებენ საწარმო, დარგობრივი და რეგიონალური ფაქტორები. ამავე მიზეზებით სპეციფიკურია მიზნის ფუნქციებიც. მაგალითად, იაპონური კომპანიები, ამერიკულთან შედარებთ, განწყობილი არიან გასაღებს ბაზარზე პირველობისა და ახალი პროდუქციის წილის გადიდებისათვის, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოცდების კრიტიკიუმებს (პირველი მიზნის პრიორიტეტი იაპონური ფირმისათვის არის 1,48 ბალი, ამერიკულისათვის — 0,78; მეორე მიზნის პრიორიტეტი შესაბამისად — 1,06 და 0,21 ბალი; მესამე: 0,02 და 1,14). ჩვენი სინამდვილისათვის, უახლოეს ეტაპზე (დაახლოებით 10 წელი), მოავარი საზრუნავი უნდა გახდეს მომგებიანობა და რესურსების ეკონომიკური ხარჯვის უზრუნველყოფა. რეგიონში თავისუფალი მეწარმეობის იდეის განხორციელების შემთხვევაში, ამგვარი მიდგომა ანოსავალი პრინციპი უნდა გახდეს.

ამ მიმართულებით, ვფიქრობთ, აუცილებელია რეგიონის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შემუშავება. ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს არა აქვთ საკმარისი მატერიალურ-ფინანსური რესურსები რთული პროგრამების შესრულებისათვის. ამდენად, უწყებრივი ბარაერების მიუხედავად, უნდა მივაღწიოთ აქარის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების ინტეგრაციას. ერთიან ფუნქციონალურ-მიზნობრივ მიდგომას საჭიროებს რეგიონის საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის რეალიზაცია. ადგილობრივ მმართველობაზე გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრებამ შეიძლება დადებითი როლი შეასრულოს სახელშეკრულებლო დისციპლინის განმტკიცებაში, მაგრამ ტერიტორიულ-დარგთაშორისი ოპერატიული მართვისა და ჩარევის სისტემა, მიმართული საწარმოთა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე, უნდა შეივსოს მატერიალური და მორალური სტიმულირებით მათი მხრიდან. აღნიშნული მოთხოვნა შესაბამისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის შემუშავებას, აჭარაში არსებული ფორმებისა და მეთოდების არსებით სრულყოფას.

რეპაზ ლორთქიფანიძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გონია

„...ლაზიკაში რომ მივედით, მთელი ზაფხული... იქ გავატარეთ, ადგილში (სახელად) მაკრეგიალუსს. მაშინ წამობრძანდა იგი გონიდან — მოგვიხსრობს XIV საუკუნის კომნენტა მემატიანე მიქელ პანარეტოსი თავის „ტრაპიზონის ქრონიკაში“.

„მაკრეგიალუსი“ ჭანეთ-ლაზეთის ცნობილი პუნქტი მაყრიალია (ახლა ქემალფაშა). 1377 წლის 10 მაისს მაყრიალში მობრძანდა ტრაპიზონის „ჭაბუკი მეფე, ბატონი მანუილი“, სადაც 15 აგვისტომდე დარჩა.

ტრაპიზონის საეპისკოპოსო ამ საზღვრისპირა პუნქტში მანუილი ელლდა საქართველოდან მომავალ სადედოფლოს, „თბილისის მეფე დავითის“ ასულს, რომელიც კომნენტა სამფლობელოში გონიდან შევიდა 1377 წლის 14 აგვისტოს.

ქართველი უფლისწულის (გულქან ბაგრატიონის) გარდა, გონიაში სხვადასხვა დროს რამდენიმე ქართველ მეფეს (ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელს) გაუგლია, ხოლო ერთი (თეიმურაზ!) კარგა ხანსაც იმყოფებოდა გონიაში, როგორც თავის სამფლობელოში (XVII ს-ის ათიანი წწ). მოგვიანებით აქვე გაიარა სულხან-საბა ორბელიანმა.

ამ პუნქტის სახელწოდების სწორი ფორმაა „გონია“ და არა „გონიო“, როგორც ის ახლა იწოდება. უცხო ენობრივ ნიადაგზე მომხდარ ამ ფონეტიკურ სახეცვლილებას, გარდა იმისა, რომ დამახინჯებულადაა დამკვიდრებული, სხვა უზერზულობამდეც მივყავართ. ესაა „გონიო“-ს შინაარსი. ქართლურ დიალექტში ის „უპატრონო“-ს აღნიშნავს, ხოლო დასავლურ ქართულ დიალექტებში — დურგლის იარაღს (ნასესხებია ბერძნულიდან). ამიტომ აუცილებელია მისი შეცვლა და ტრადიციულის (გონია) აღდგენა.

„გონია“-ს ეტიმოლოგიებიდან ორი გამოირჩევა: პირველით იგი იტალიის ქალაქ-რესპუბლიკის სახელწოდების „ვენუა“-ს სახენაცვალი ფორმაა, ხოლო მეორეთი — ზანური (მეგრულ-ჭანური) სიტყვა.

პირველი ისტორიკოსმა ვ. იაშვილმა გამოთქვა 1955 წელს, ხოლო მეორე თითქმის იმავდროულად — რამდენიმე ავტორმა (ვ. სიჭინავა, ვ. ჭანტურია).

გენუა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეც კარგა ხანს

აქტიურობდა და თავისი კვალიც თვალსაჩინოდ აღბეჭდა ამ მხარის ცხოვრებაში. ისტორიული თვალსაზრისით შეუძლებელი არ არის, რომ „გონია“ მართლაც „გენუა“-დან მომდინარეობდეს. რაც შეეხება ლინგვისტურ ასპექტს, აქ ერთგვარ დაბრკოლებას ქმნის „ე“ — „უ“-ს ნოზიცია, სადაც ქართულში ნაკლებ მოსალოდნელია „ო“-ს გაჩენა.

ზანურში „გონია“-ს „ზურგის“ მნიშვნელობა აქვს. ასე იწოდება ტალღობრივი წრე, რომელსაც ჩანჩქერი აკეთებს და სერი (მთის, გორაკის ზურგი).

აქედან განსაკუთრებით საგულისხმო მეორეა, რადგან გონიის უძველესი დასახლება სწორედ სერზეა (ზურგზე) დადასტურებული.

გონია მშვენივრად გამოკვეთილი მიკროქვეყანაა. მდებარეობს მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, შესართავის სექტორში. მისი ორი მიჯნა ყარაშალვარის ქედის შტოებზე გადის. ეს ვახუშტი ბატონიშვილის იგივე „ჭანეთის მთის მცირედ ჩრდილოეთით მოწყული ადგილია“ (მისი, აღწერა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 630). ამ შტოთაგან ერთი ჩრდილოეთით მიემართება და „მოვალს ვიდრე ჭოროხამდე“ (იქვე), ხოლო მეორე გონია-კვარიათის მიდამოებში ზღვაზე ეშვება. პირველი აღმოსავლეთ საზღვარს დებს, უკანასკნელი — სამხრეთ საზღვარს (იმავე მთის თავიდან ზღვამდე). სხვა მხარეებზე გონიას წყალი აკრავს: ჩრდილოეთით — ჭოროხი (მდ. ჩხანაფურას მიდამოებიდან ზღვამდე), ხოლო დასავლეთით — შავი ზღვა (ჭოროხის შესართავიდან ცხემურეფუნას სერამდე).

გონიის ლანდშაფტი იგივეა, რაც ჭანეთისა და, საერთოდ, მთელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთისა. აქაც ზღვისპირა ვაკობს ბორცვოვანი ზოლი ცვლის, ხოლო უკანასკნელს — მთა.

გონიის ვაკობს დასავლეთით ზღვა საზღვრავს, სამხრეთით — კვარიათის სერი, აღმოსავლეთით — გონიის სერი, ხოლო ჩრდილოეთით — ჭოროხის ტერასა. იგი ჩრდილო ნაწილში ბევრად უფრო განიერია, ვიდრე — სამხრეთში.

ქვეყნის უმთავრეს ნაწილს ბორცვოვანი ზოლი შეადგენს. ეს წითელმიწა ნიადაგებისა და ნოტიო სუბტროპიკული ჰავის რაიონი გონიის მთავარი სამეურნეო არეალია.

გონიის მასივი თავისი ზონებით მესამეული ერის ასაკისაა. ნეოგენურ ქანებში აქ ტუფოგენური ქვა-ქვიშებიც უხვად ჩანან. ზოგიერთი მათგანი საღმშენებლო მასალადაც გამოიყენება.

მთათა თუ ზეგნის სისტემათა შესაფერია გონიის ჰიდროგრაფიული ქსელიც. მდინარეთა შორის შედარებით თვალსაჩინოა მახო, ბოლოყო



და ჭარნალი. უფრო მცირეთაგან აღსანიშნავია ჩხანაფურასა და ქვემოთაღმოსავლეთის რაიონების (ორივე ჭოროხის შენაკადია).

შესანიშნავი ჰავა, ანკარა წყაროები, თევზით მდიდარი მდინარეები, ხეხილით სავსე ტყეები და სხვა ბუნებრივი სიკეთე, ადრევე შეუნიშნავს ადამიანს აქ და დაუწყია მისი ათვისება. ამას მოწმობს ქვის ხანის ნაშთები „გურჯიოღლის ნასახლევიდან“ (სოფ. მახო).

ცხოვრება აქ არც მომდევნო ეპოქებში შეწყვეტილა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ადრეკლასობრივი ხანა. სანიმუშოდ საკმარისია დავასახელოთ იგივე „გურჯიოღლის ნასახლევი“ და გონიის სერი, რომლებზეც ძვ. წ. პირველი ათასწლეულის ნაშთებია ნაპოვნი.

ამ გორა-საცხოვრისთა სწრაფვა გაერთიანებისაკენ ერთიანი სატომო ქვეყნის წარმოქმნით სრულდება. ამ ქვეყნის უძველესი ცენტრი ჭარნალის ტერიტორიაზეა, რომელიც ადრეკლასობრივ ეპოქაში (ძვ. წ. VIII-VII სს.) ძველკოლხური მეტალურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტბანი იყო.

მოგვიანებით ზღვისპირეთი წინაურდება, სადაც ძვ. წ. IV საუკუნიდან უკვე ქალაქების გზაზე შემდგარი დასახლება გვევლინება. ამ დროიდან მას თავისი ციხეც უნდა ჰქონოდა. პირველი ცნობა ამ ციხეზე რომაელ პლინიუს სეკუნდუსს დაუცავს. მისი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

ჩვენს ამოცანას ამჯერად სცილდება ამ ქვეყნის ისტორიული განვითარების სურათის წარმოჩენა. ამაზე სპეციალური მსჯელობა უფრო უპრიანი იქნება მას შემდეგ, რაც გონიის მომიჯნავე ქვეყნების ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა დამთავრდება. ასევე ითქმის ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა პერიპეტიებზე, არამედ ეთნიკურ გეოგრაფიაზეც. ამის გათვალისწინებაში განსაკუთრებული დახმარება შეიძლება აღმოგვიჩინოს არქეოლოგიამ.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა უძველესი საგეოგრაფიო ნომენკლატურაც, მაგრამ გონიაში ამ მხრივ საიმედო ბევრი არაფერი ჩანს, რადგან სამისოდ ცხოვრების უწყვეტი ჯაჭვია აუცილებელი. მართალია, ზოგიერთ ჰიდრონიმში აქ საკმაოდ ნათლად მოჩანს მისი შემოქმედების ტომობრივი ვინაობა, მაგრამ ეს მეტწილად უფრო ფართო შინაარსითაა მიღებული, ვიდრე ეს საისტორიო გეოგრაფიას ინტერესებს ამ შემთხვევაში (ვიწრო ტომობრივი ერთეული).

რომელი ქართული თუ ქართველური ტომი იყო გონიის მხარის თავდაპირველი ბინადარი, ჯერჯერობით, არ ჩანს. მოგვიანო ხანაში კი აქ უცხოური წყაროები ასახელებენ ჰენიოხებს, ბიძერებს და ძიდრიტებს. იმათგან განსაკუთრებით საინტერესოა არიან პირველნი, პლინიუსი ამ

ტომს ასახელებს იმ ტრიადაში (ჰენიოხები, ამპრევიტები, ლაზნები); რომელსაც ეკავა ზღვის სანაპირო გონია-ციხისძირის სექტორში.

ამ სამეულოდან ჯერჯერობით მხოლოდ ლაზთა საცხოვრისის განსაზღვრა ხერხდება ასე თუ ისე. ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესო მათი სამრეთი მიჯნებია, რაც პეტრა-ქაჯეთის (ახლა ციხისძირი, ქობულეთის რ-ნი) მიდამოებშია საგულვებელი.

ამათ სამხრეთით უკვე ამპრევიტები ჩანან, რომელთა ჩრდილო საზღვარი ციხისძირის სამხრეთით და ჩაქვის ჩრდილოეთითაა საძიებელი (ემთხვევა ლაზთა ქვეყნის სამხრეთ მიჯნას), ხოლო სამხრეთი — მწვანე კონცხის მიდამოებში. ამ ნიშნით თითქოს ნათელია ჰენიოხების ჩრდილოეთი მიჯნა.

უკანასკნელ ხანს ფეხს იკიდებს ი. ორბელის მოსაზრება ჰენიოხთა სვანური წარმომავლობის თაობაზე (1911 წ.).


ადრეფეოდალურ ხანაში გონია ძირითადად ქანებით იყო დასახლებული.

ყველაზე ძნელბედობის ხანა გონიის ისტორიაში ეს ოსმალთა 331-წლიანი ბატონობა იყო. იგი დაიწყო 1547 წელს, როცა ძღვევამოსილმა პორტამ გონიის ციხე დაიპყრო და დასავლეთ საქართველოზე შეტევის ბუზრად აქცია.

ოსმალებმა მალე აღწერეს მიტაცებული მხარე (ჭანეთი) გონიითურთ და თავისებურად მოაწყვეს. დასაწყისში გონია „ნაჰიდ“ (სათემო ერთეული) გამოჰყვეს არქაბეკაზაში (ტრაპიზონის ლივაში). მოგვიანებით კი, როცა მტერმა კახაბერიც მიიტაცა, გონიის მნიშვნელობაც გაიზარდა და კარგახანს სანჯაყის ცენტრიც იყო.

ოსმალეთთან უთანასწორო ბრძოლაში განცდილ მარცხს არასოდეს შერიგებია საქართველო, მაგრამ დაჩიხული ქვეყნის ცალკეულ ცდებს აქ სასურველი შედეგი არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა. საამისო ტაროსი მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან დაუდგა მას და გონიაც დაუბრუნდა დედასამშობლოს.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.



ბასულ ორ თვეში



შეიქმნა კორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი

ბათუმის მეზღვაურთა კლუბში გაიმართა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის აპარის საოქლო განყოფილების დამფუძნებელი კონფერენცია, რომელიც საინიციატივო ჯგუფის სახელით გახსნა ქორეოგრაფმა თ. ბუნიძემ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ და კავშირის მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრეს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ თ. სუხიშვილმა, კავშირის გამგეობის წევრებმა დ. წულუკიძემ, მ. ოდიკაძემ, ოსურგეთის ქორეოგრაფიის სტუდიის დირექტორმა ჯ. დუნდუამ, აპარის მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ ნ. საგინაძემ.

კონფერენციამ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის აპარის განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს ქორეოგრაფი თ. ბუნიძე.

ბასტროლეგი თურქეთში

რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ტბეთი“ (ხელმძღვანელი ჯ. ჩიჩუა) ამ რამდენიმე წლის წინ თურქეთის ქალაქ ერზურუმს ეწვია, სადაც იქაური უნივერსიტეტის რექტორმა მიიწვია. მასპინძლებს ერთი კვირის მანძილზე 4 კონცერტი ჰქონდათ დაგეგმილი. ამ კონცერტებისათვის სტურები საგულდაგულოდ მოემზადნენ. ანსამბლს ახლდნენ უნივერსიტეტის რექტორი დ. ბალაძე, კათედრის გამგეები პროფესორი ა. გობრონიძე და დოცენტი რ. დიასამიძე. კოლექტივს კიდევ ერთხელ მიენდო ქართული საშემსრულებლო

ხელოვნების პრესტიჟის დაცვა, ამიტომ იგი გააძლიერეს ძველი შემადგენლობის ცნობილი შემსრულებლებით ზ. ბაღდადიშვილითა და გ. ჩიჩუათი, აგრეთვე ორიგინალური უნარის შემსრულებელით მსახიობ დ. მეგრელიძით, რომელთაც დიდი წარმატება ხვდა.

პირველ კონცერტს ერზურუმის სპორტის სასახლეში სამი ათასი მაყურებელი დაესწრო... მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ერზურუმის მერმა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ბატონი დ. ბალაძე.

მეორე კონცერტი გაიმართა ერზურუმის უნივერსიტეტის კულტურის ცენტრში სტუდენტი ახალგაზრდობისათვის. კონცერტს დიდი წარმატება ხვდა. ერზურუმში მცხოვრები ქართველები ცრემლმორეული მოდიოდნენ სტუმრებთან და მადლობას უხდოდნენ.

თურქეთის ცენტრალური ტელევიზიის პირველი არხით აჩვენეს ანსამბლის ცეკვების ფრაგმენტები. მეორე დღეს ანსამბლი მიიღო გუბერნატორმა ფეიზი ბულუმთა, საღამოს კი ერთმა უნივერსიტეტის რექტორმა ვახშამი გამართა სტუმრების პატივსაცემად. ვახშამზე მიიწვიეს ანკარისა და ადგილობრივი ფოლკლორისა და ესტრადის მსახიობები. ერზურუმის უნივერსიტეტის რექტორმა ანსამბლს გადასცა ათათურქის სპეციალური მედალი.

შემდეგ ანსამბლი გაემგზავრა სასახლევრო ქალაქ აღრიშში, სადაც სპორტის სასახლეში მის კონცერტს 8 ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

„ბაზარამ“ ბამოსცა

გამოვიდა მწერალ ნოდარ მოდებაძის რომანი „თეა“. იგი ავტორმა საკუთარი ხარჯით დასტამბა.

ეს რომანი რამდენიმე წლის წინათ გა-

მოიცა „ხილაში ვარდის“ სახელწოდებით. ტირაუი სულ მალე გაიყიდა... და აი, ავტორმა მეორე გამოცემას შეუცვალა სახელი და რომანს „თეა“ დაარქვა. წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ზოგჯერ ასეც ხდება, პატიოსანი ადამიანი ცხოვრების გზას ასცდება და მრუდე ბილიკების ლაბირინთებში გაიხლართება. ამ დროს მას ხელის შეშველება, თანადგომა ესაჭიროება. ასეთი ადამიანიც გამოუჩნდა თეას, რომანის მთავარ პერსონაჟს, მაგრამ სული ზოროტი თურმე ახალ განსაცდელს უწაღელადანარჩენს წიგნის ბოლო ეპიზოდში შეიტყობთ.

რომანი გზაბნეული ახალგაზრდა ქალის ცხოვრებას ეძღვნება. მისი ფატირაკებიანი გზა ჩვენს ახალგაზრდობას მოუწოდებს, ფრთხილად უნდა იყოს პირველი ნაბიჯის გადადგმისას, რადგან ცხოვრებას თავისი მკაცრი კანონები აქვს და არაფერს გააპტიებს“.

წიგნის რედაქტორია ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვრულად გააფორმა გ. გუზაბიძემ.

* * *

„გამართლება“ — ასე ჰქვია ვახტანგ ზოიძის წიგნს, რომელიც ახლახან დაისტამბა. ის მოგვითხრობს ისტორიულ პიროვნებებზე და ჩვენს თანამედროვეზე, რომლებმაც ბრძოლით, ყოფითა და ცხოვრებით გარკვეული კვალი დატოვეს. ესენი არიან სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს უცხოელთა უფლიდან აჭარის გამოხსნის საშვილიშვილო საქმეში, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც საქართველოსთან ახლად დაბრუნებულ მხარეში სწავლა-განათლების ლამპარი აანთეს.

წიგნში ვკითხულობთ: „შერიფ ხიმშიაშვილს დაეხედა ისტორიული მისია, შეესრულებინა სახელოვანი სელიმის ანდერძი: „მე მჭირთ თავს, მაგრამ გე-

ტყვიო, რომ გურჯისტანი ოსმალის სტამბდამოდ არ შერჩება. ამჟამად მისი წიგნის მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“.

ასრულდა მამულიშვილთა ოცნება, აჭარა დღეს საქართველოს ხორცი ხორცთაგანი, და დედის სხეულს ვერავინ მოკვეთავს. მკითხველი სხვა უამრავ ისტორიულ მოვლენას გადაავლებს თვალს. წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე, მხატვრულად გააფორმა რ. ლომაძემ.

* * *

კოლხეთის ფირმა „არმაზის“ ხარკით გამოცემლობა „აჭარამ“ გამოსცა ბროშურა „ბოსტნეული და ჭანჭირილი“.

წიგნის შემოსავლის ნაწილი გადაეცემა საქართველოს კულტურის ფონდის განყოფილებას.

სტუმრად ბათუმში

ბათუმში სტუმრად იმყოფებოდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „მცირე დღე-გაცია“ რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით. სახელგანთქმული რეჟისორი რამდენიმე დღეს ესწრებოდა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სექტაკლებს, გაეცნო ბავშვთა ხელოვნების სტუდიის „მთიების“ სადიპლომო ნაწარმებებს: რეჟისორმა დიდი შეფასება მისცა ამ უკანასკნელთა წარმოდგენებს, შეხვდა და ესაუბრა სტუდიის კურსდამთავრებულებს, გაეცნო მთელ მუშაობის სტრუქტურას, დაათვალიერა მხატვრული ტილოები.

ნინო ნიჟარაძის სტუდია

სახვითი ხელოვნების მოყვარულები კარგად იცნობენ მხატვარ ნინო ნიჟარაძის შემოქმედებას. მისი ნამუშევრები არაერთხელ ყოფილა ექსპონირებულ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, მოსკოვში. შემოქმედებით საქმიანობასთან

ერთად იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. წლების განმავლობაში სამხატვრო სასწავლებელში ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას შეუწყო ხელი. დიდი ნიხარადის წვლილი ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრის შექმნასა და ჩამოყალიბებაში, სადაც მან შესანიშნავი სცენოგრაფიული ნამუშევრები და თოჯინები შექმნა. — მაყურებელთა მხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა თოჯინების თეატრის სპექტაკლები „მზის სხივი“, „ციხფერი ზღარბი“, „ყველა თავუნას უყვარს ყველი“ და სხვ. მათ წარმატებაში დიდი მხატვრის წვლილი.

პატარებთან მუშაობამ ისე გაიტაცა ნინო ნიჟარაძე, რომ ბავშვთა ხელოვნების სტუდია ჩამოაყალიბა. უცვლელად მუშაობდა იგი თავის პატარა სტუდიაში 50-ზე მეტ ბავშვს ასწავლის ფერწერის საიდუმლოებას. პატარა მხატვრები ნინოს ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ამზადებენ სადიპლომო სპექტაკლებს. ასე შეიქმნა უანობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული „ფიროსმანი“, „თითების თეატრი“, „ცოცხალი სურათები“, საშობაო და საადგომო წარმოდგენები.

ხელოვნების სტუდიაში ნინო ნიჟარაძემ თანამოაზრეთა მთელი ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელთა გარეშე წარმოდგენილი იმ რთული შემოქმედებითი და პედაგოგიური ატმოსფეროს შექმნა, რომელიც აქ სუფევს. ხელოვნებათმცოდნე ნათია ქორიძე, კომპოზიტორი სოსო ბარდანაშვილი, მუსიკოსი ალექსანდრე ოჩიგავა, მხატვარი ვახტანგ ბესელია, რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი — ამ ნიჭიერი ოსტატების ხელმძღვანელობით პატარებს აღტაცებაში მოჰყავთ ყველა, ვინც სტუდიელების შემოქმედებას იცნობს.



ამას წინათ ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრი გეორგიოს ფოტადის სახელობის ბერძნულ საზოგადოებას მასპინძლობდა. სტუმრებმა წარმოდგინეს სტავროს კოტამინიდის პიესა „ჰავიჩანონ“. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას და სპექტაკლს ქალაქში ფართო რეკლამა არ ჰქონია (ისინი ერთი დღით ჩამოვიდნენ ბათუმში), სადამოს წარმოდგენაზე უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ისინი ძირითადად ჩვენი ქალაქის და ახლომხლო სოფლებში მცხოვრები ბერძნები იყვნენ.

სპექტაკლმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა, რადგან მისი გმირები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ პონტოელი ბერძნების სტილი, ესთეტიკა, ვნებები, შინაგანი სამყარო, ფართოდ წარმოაჩინეს ლეგენდები ისტორიული პონტოს სანაპიროზე, მის პირველქმნილ ბუნებაზე.

პიესაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დედის, რძლისა და ჰოთლახის როლებს.

მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს სპექტაკლის დამდგმელს ნიკოს კოლოტას, მსახიობებს რილა ვასილიადუს, დორა პაპანდოპულოს, ტასოს ტიუტოპულოს, კიცა კალიაზიდს, აქილევას ვასილიადის, ლემონა სტეფანიდუს, მარია კოშიდუს, ვულა მანისარიდუს, ეტის ცარაბულიდის, მაკის პარასკევოპულოს, ნიკოს კოლოტას, დესპინა კამბენილუს.

„შარნაშაზი“ გვითხვამს

მეტად საჭირო წიგნით დაიწყო არსებობა მწერალთა საგამომცემლო კოოპერატივმა „ფარნავაშა“. ლენინგრადადელი მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქვეყნოდ ცნობილი სექსოლოგის ს. ლიბიხის პოპულარული წიგნი „სექსუალური ჰარმონია“ რამდე-

ნადმი უჩვეულოა. ამგვარი თემები ადრე იშვიათად გამოჰქონდათ სამზეოზე და, ამდენად, ვიწრო წრის — სპეციალისტების გარდა, ჩვენთვის ფაქტობრივად უცნობი იყო ის სამყარო, რომელსაც სექსუალური ცხოვრების კულტურა ჰქვია. არც ისაა გასაკვირი, თუ არაერთ-

გვაროვანი იქნება ამ წიგნზე მკითხველთა რეაქცია, ძველი სტერეოტიპული ინერცია აქაც წამოტივტივდება, თუმცა იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული, „ფარნავაზის“ ამ გამოცემას ინტერესით შეხვდება მკითხველთა ფართო აუდიტორია.



ამ ნომრის ჰომოგრაფის ნაწილი გადაირიცხება მიკროით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

8867 60 333.

610/92



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118